

652/2
1997

28

საქართველოს
ბიბლიოთეკა

ISSN 0134 3459

ქართული





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გარდა და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთან



ქროსი

170

გამოსემის 39-ე წელი 5 სექტემბერ-ოქტომბერი

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა
რა მოგავალი, კვირფასი ბედით...
ქალაქი-ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბათუმი

საქართველოს მფრავლთა კავშირისა და აჭარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია
ვახტანგ ახვლედიანი
ზურაბ გორგოლაძე
მამია პარპანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ალექსანდრე სამსონია
რამაზ სურგანიძე
ამირან ხაბაზი
ფრიდონ ხალვაში
თამაზ წიგწივაძე
ჯემალ ჯაყელი

პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
 ვით ფრინველმა გარეგანმა;
 არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
 გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
 მიწიერი ზეციერსა;
 ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
 რომ წარუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკუთხეველის
 მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
 რომ ერისა მოძმედ ვიყო
 ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
 მეწოდეს მის ტანჯვით სული,
 მის ბედით და უბედობით
 დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ცილამ ნაპერწკალი
 თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
 მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
 მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!



ცხომრება

აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ
შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს,
ტირილსა თუ სიცილსა

ილიას სახლი საგურამოში მალლიდან გადაჰყურებს არაგვის ხეობას, აქედან მოჩანს საგურამოს წარმტაცი ხედები, ტანაყრილი ტყით მოსილი მთები და ბორცვები, მთებში ბეჭდის თვალივით ჩასმული მუხრანის ველი, მარადიული ჭადარით მოსილი კავკასიონი ზვიადი მყინვარწყევრით.

ვინც პირველად მოხვდება ამ სამყაროში, უმაღლესი ეცემა, რომ ილიას სახლის ერთი ნაწილი ორსართულიანია, მეორე კი სამი-ანო. ამას თავისი მიზეზი აქვს. მუზეუმის თანამშრომლები მოგვითხრობენ, რომ ილიას ძალიან ჰყვარებია კაკლის ხე, რომელიც სახლთან ახლოს მდგარა. როცა სახლს აშენებდნენ, პოეტს ხელოსნები გაუფრთხილებია, ამ კაკლის ხეს ტოტიც არ უნდა შეაჭრათო. ისინი მართლაც ასე მოიქცნენ და სახლის ერთი ნაწილი ორსართულიანი გამოვიდა, რათა კაკლის ხეს არაფერი ვნებოდა. ეს არის გასული საუკუნის ოთხმოციანი წლები. ამ დროს ილია ჭავჭავაძე უკვე სახელმწიფო მწერალი და საზოგადო მოღვაწეა, რომლის სახელთან ენით უთქმელი ეროვნული წამოწყებაა დაკავშირებული. 1882 წლის „შინაური მიმოხილვა“ დიდმა მწერალმა ასე დაასრულა:

„ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად, ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად, ჟამი განყრად ქვათა და ჟამი შეკრებად ქვათათა, ჟამი გარდახვევად და ჟამი განშორებად გარდაცვეულისაგან, ჟამი ძიებისად და ჟამი წარწყმედისად, ჟამი დამარცხისად და ჟამი აღმოთხრისად, ჟამი განხვევისად და ჟამი შეკერვისად, ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულვილისად, ჟამი ბრძნულისად და ჟამი მშვიდობისად“.

ეს არის ამბავი იობისა, ეს არის წიგნი ეკლესიასტე ანუ ცხოვრება სოლომონ ბრძენისა.

რა არის ცხოვრება?

ეს კითხვა ბევრჯერ დაუსვა ილიამ თავის თავს, თავის ხალხს, თავის ქვეყანას. ხშირად იმეორებდა ლესინგის სიტყვებს: „მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო“. ლესინგის ეს სიტყვები ილიაზეა ზედგამოჭრილი. ამ მხრივ შეუდარებელია იგი ქართულ მწერლობაში. არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე წუთითაც არ გამდგარა საზოგადოებისაგან. ამაში ხედავდა თავისი ცხოვრების არსს. ასეთია ცხოვრების მისეული მოდელი, ცხოვრებისა, რომელსაც სამწერლო რეჟიმიც დაუქვემდებარა, „განდეგილის“ ავტორს არ შეეძლო სხვანაირად არსებობა. მან განვლო „ჟამი შობისად“ და „ჟამი სიკვდილისად“, ისე რომ ქრისტეს არც ერთი მცნებისათვის არ უღალატია, განვლო ჟამი ისე, რომ სულ ერის საკურთხეველში იდგა, თავისი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა, ტკივილი ტკიოდა და სიხარული უხაროდა. მიუხედავად ამისა, „ბედნიერი ერის“ ავტორი არასოდეს ყოფილა ბედნიერი. მთელი მისი ცხოვრება ზომ ბრძოლა და ჭიდილი იყო. იგი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და ეს დამარცხება, მის სამუდამო გამარჯვებად იქცა. გამარჯვების მიუხედავად, სიცოცხლეში არ იყო ბედნიერი, რადგან მისი ცხოვრება მისივე ხალხის ცხოვრება იყო და მისი ხალხის ბედნიერებას იგი ვერ მოესწრო. ილიასათვის ცხოვრება არ არის „ამაოება ამაოებათა“. მიუხედავად ამისა, „ეკლესიასტეს“ დაწერიდან ოცდაერთი საუკუნის შემდეგ, ცხოვრებისათვის საჭირო თავისუფალი აზრებიც ამოიკითხა. ეს მაშინ, როცა „ქვეყნის საათი მოშლილია“ და არავინ იცის „მამლის ყვილაბდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა“.

„უკვდავება რომ გწამდეს, უკვდავის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდე“, ჩაწერა თავის დღიურში 1896 წლის 6 მარტს სამოცდარვა წლის ლევ ტოლსტოიმ. დაბეჭდვით ვერ ვიტყვი, როგორ სწამდა უკვდავება ერის საკურთხეველში მდგარ ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ უკვდავთა ცხოვრებით რომ იცხოვრა, ეს ყველაზე უკეთ თანამედროვეთა მოგონებებში ჩანს. უფრო სწორად, მისი ცხოვრება ერთი განუწყვეტელი ფიქრი და გარჯა, ბრძოლა და ტანჯვა იყო თავისი ტანჯული ქვეყნისა და ხალხის ხვალისდელი დღისათვის. რა თქმა უნდა, ეს ფიქრი მას პეტერბურგიდან მომავალს დარიალის ხეობას რომ მოადგა, მხოლოდ მაშინ არ ადევნებია. პირიქით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ფიქრმა და აზრმა იგი მაშინ შეიბყრო, როცა პირველად განიზრახა და სრულიად ყმაწვილი კაცი დაადგა შორეულ ჩრდილოეთში მიმავალ გზას. ილიამ იცოდა სად მიდიოდა და რისთვის. გულშიც არ გავლია შიში. ვაითუ, თერგდალეულობა დამწამონო. პირიქით, რუსეთში იმისათვის წასულა, „რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს“.... მას თერგივით ზურგი ჩვენსკენ და პირი რუსეთისაკენ არ უქნია. ილიას ვლადიკავკ-

ასს იქით მყოფს, აზრი და გონება საქართველოსკენ პქონდა მოპყრობილი. ყმაწვილი ილია ემზადება, რათა მამულს ღვიძლი სიტყვა უთხრას და იმ სიტყვით გულისტკივილი მოუზრინოს, დავრდომილი აღადგინოს, უნუგეშოს ნუგეში მოჰდინოს, მტირალს ცრემლი მოსწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს, თავის სასოწარკვეთილ ხალხს ასმინოს, რომ არის მრავალი ქვეყანა, საქართველოზედ უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფო ბედნიერად მცხოვრებნი... ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც ყოველ კაცში ბრწყინავს, ერთ დიდ ცეცხლად შეაგროვოს თავისი ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად.

ეს იყო პროგრამა მინიმუმი, რამაც მშობლების ზედამხედველობასა და მზრუნველობას მოკლებული ყმაწვილი პეტერბურგის გზას გაუყენა. ცხადია, არ იყო იგი იოლი გზა, მას შიშიც და დაუჭვებაც ახლდა, მაგრამ არა ისეთი, ზოგიერთ ქართველ კაცს რომ დაუფლებია, ვაითუ, თერგდალეულობა დამწამონო.

„ავგიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“ — დაწერს პოეტი 1861 წელს. პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში მისი პოლიტიკური და ეკონომიკური საგნებით დაინტერესება სიყრმიდანვე ქართლის ბედით დაინტერესებამ განსაზღვრა.

1863 წელს დააფუძნა „საქართველოს მოამბე“, რომელმაც სულ ერთი წელიწადი იცოცხლა. ამავე, 1863 წელს ცოლად შეირთო თავად თადეოზ გურამიშვილის ასული ოლღა. ამ დროს იგი ოცდახუთი წლისაა. ჟურნალის დაარსება არ იყო იოლი. ეს ნიშნავს, რომ მას უკვე უზარმაზარი საზოგადოებრივი ავტორიტეტი და ენერგია აქვს. მისმა სიტყვამ უკვე კანონის ძალა შეიძინა. ასე აეწყო მისი ცხოვრების ახალი ხანა. ოჯახიც დროულად შექმნა. შეირთო ის, ვინც გულით ისურვა. ესეც ერთი მძლავრი ფაქტორია ამქვეყნიური ბედნიერებისა, მაგრამ არა, ილია ჭავჭავაძე არ იყო ბედნიერი. ეს იყო ის დრო, როცა პატრიოტი სალანძღავ სიტყვად ითვლებოდა. თუკი საზოგადოებაში ვინმე პატრიოტს გიწოდებდა, ამ საზოგადოების თვალში შეურაცხყოფილი დარჩებოდი. ვიდრე ილია გურამიშვილის ასულს შეირთავდა, ერთ ახლობელთან უთქვამს: — ეს ქალი თავის გულში სამშობლოს სახეს ატარებსო. მისი სამიჯნურო წერილები გვაფიქრებინებს, რომ ამ ქალმა თითქმის გაულო ბედნიერების კარი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ილიას ბედნიერებას აკლდა მთავარი, და თუ რა არის იგი, თავადვე გვითხრა:

„მითხარით სად შევხვდეთ, დროის გამო ნუ სწუხდებით, დროს ყოველთვის მოვნახავ, ოღონდ ერთი დღით ადრე მაცნობეთ“. ეს არის ილიას პირველი წერილი გურამიშვილის ასულისადმი, რომელიც 1863 წლის 16 იანვრით დათარიღდა. მათ შორის შუამავალი ნინო ორბელი-

ანი იყო. ილიას მეორე წერილი 18 იანვარს დაუწერია, საკმაოდ ვრცელი და მესამე — 19 იანვრით თარიღდება და დეპეშის სტილშია შემდეგ 26 იანვარი, 28, 29 და 30 და ამის შემდეგ კი თითქმის ყოველდღე უგზავნის ბარათებს. მე ამ წერილების პერიოდულობას მივაქციე ყურადღება. ილია საყვარელ არსებას თითქმის ყოველდღე წერილით ესაუბრება. ამ დროს იგი უკვე „კაცია ადამიანის?!“ ავტორია. ამაში არაფერია გასაკვირი: ესეც ცხოვრებაა, ცხოვრება დიდი ადამიანისა. ილიას რუსული რომანებიც კარგადაა ცნობილი, მაგრამ ეს მისი სტუდენტური გატაცება უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი ცხოვრება. თუმცა ისიც მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია.

გურამიშვილის ასულისადმი ილიას ბოლო წერილი 6 აპრილით თარიღდება. სულ რაღაც ორთვენახევარში 60 წერილი გაუგზავნია. დრომ შემოგვინახა ეს ხელნაწერები, რომელთა უმრავლესობა რუსულადაა დაწერილი, რადგან, როგორც მკვლევარებმა შენიშნეს თავის დროზე, ოლღას რუსული განათლება ჰქონდა მიღებული. ცხადია, ისიც რუსულადვე პასუხობდა. ერთხელ ოლღამ პასუხი ქართულად მისწერა, რამაც ჭაბუკი ილია ძალიან გაახარა. 29 იანვარს სატროფოს უბასუხა „ოლიკოჯანი! /ეს სიტყვა ქართულად წერია, შემდეგ მთლიანად რუსულადაა — შ.ზ./ შენი მხიარული წერილებისათვის მადლობა მომიხსენებია. ნამდვილი მწერალი მყავხარ, — გიჟმაჟი, მხიარული, ხუმარა, — სახელი და დიდება შენ! მერე რა ქართულით წერ! პირდაპირ გამოაცა. არაფრით არ მოველოდი, თუ შენ ასე ლაღად შეგეძლო აზრის ქართულად გამოთქმა. აი, რას ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობა! შენ ისე კარგი ხარ, ჭკვიანი, მაგრამ მაინც ცელქი, ამასთან ცოტა მოუთმენელიც ხარ, — იცი რაღა: დღეს ოთხ საათზე შენთან მოსვლასა მთხოვ, თუმცა მე დიდად მოხარული ვარ და ვეცდები კიდევ მოვიდე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ შემიშლის ხელს გითხრა, რომ ამ შეხვედრის გამო შეიძლება მთელი ჩვენი საქმე ხიფათში ჩავარდეს. მაშინ ასე განსაჯე, უნდა მოგიტაცო, გავითამაშო პატარა რომანი, რომელსაც შენი მოტაცებით დავამთავრებ...“

წერილი საკმაოდ ვრცელია. ცხადია, რომ ილია ოთხ საათზე აღარ შეხვედრია, მაგრამ ამას მათ შორის არაფერი შეუღველია. მოსალოდნელ ხიფათზე საუბარი ავტორის ზედმეტი სიფრთხილე იყო, ხოლო მოტაცების რომანის გათამაშება, მორიგი ხუმრობა. ერთი საუკუნის შემდეგ პავლე ინგოროყვამ ამ წერილებს პოემა უწოდა.

21 აპრილს, ილიამ და ოლღამ, თბილისში, სამების ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს. საეკლესიო საბუთებში ვკითხულობთ:

„1863 წ. №10, 21 აპრილს

სასიძო თ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, მართლმადიდებელ სარწმუნოების მქონებელმა იქორწინა პირველ ქორწინებით, 25 წლისა.

სარძლო თ. თადეოზ გურამოვის ქალი ოღლა, მართლმადიდებელ სარწმუნოების მქონებელმა იქორწინა პირველ ქორწინებით 20 წლისა.

თავსმდებანი /პორუჩიტელები/ 1. ვაჟის მხრივ დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი და ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე. 2. ქალის მხრივ ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილი და კოლესკი ასესორი თ. სულხან ნიკოლოზის ძე თუმანოვი. ჯვარი დასწერა ნიკოლოზ არდაზიანოვმა. ეს იყო ილიას ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი მომენტი. თავისი ბედი თუ უბედობა სამუდამოდ დაუკავშირა სასურველ ადამიანს, რომლის გვერდით მთელი ორმოცდაექვსი წელიწადი გალია და მის თვალწინ ტრაგიკულად დახუჭა თვალი.

1863 წელი განსაკუთრებულია ილიას ცხოვრებაში, დააარსა „საქართველოს მოამბე“, შექმნა ოჯახი, გაასრულა „კაცია ადამიანის“ ბოლო რედაქცია. მიუხედავად ამისა, მაინც მძიმე აღმოჩნდა იგი ილიასათვის. უსახსრობის გამო ჟურნალი დაიხურა. ილია იძულებული შეიქმნა სამსახურში შესულიყო, მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც. თავისთავად მაშინდელი თბილისი პროვინციული ცენტრი იყო, სადაც მიძინებული და კულისებში მიგდებული სულიერი ცხოვრება ნაცარწაყრილ ნაღვერდალს ჰგავდა. საჭირო იყო გაჩხრეკა და გაღვივება. ეს მხოლოდ ილიას შეეძლო, მაგრამ იგი იძულებულია დატოვოს თბილისი. 1862 წელს აღძრული ქართული ლიტერატურული საზოგადოების ჩამოყალიბების იდეაც ჩაეშალა. ეს არის პერიოდი, როცა საქართველოში საგლეხო რეფორმა მზადდება. ილიამ მოითხოვა გლეხების მიწიანად განთავისუფლება, რისთვისაც თავდაზნაურობასთან ფიზიკური შეტაკებაც კი იწვინა. „აზნაურთა საგანგებო კრებაზე — იგონებს ქრისტეფორე მამაცაშვილი — ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ილიასაკენ გაიწია“.

მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენერალ-ლეიტენანტმა ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ „უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავდაზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი მხოლოდ ორიოდ კაცუნაო, ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შეცდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგიერ უნდა ეთქვა რამდენიმე კაცი“

როგორც მოგონებიდან ჩანს, ილიამ მუხრანსკის უკან გადააყლაპვინა თავისი სიტყვა.

ილია ჭავჭავაძემ თვალი მიაპყრო და იხილა ყოველგვარი ჩაგვრა, რომელიც საქართველოში ზდებოდა, იხილა ცრემლი ჩაგრულთა, მაგრამ ცრემლის მომწმენდი არსად ჩანდა. ძალა მჩაგვრელების ხელში იყო,

ხოლო მანუგეშებული არავინ. გავიხსენოთ ბიბლიიდან ეკლესიასტეს სიტყვები: „თვალი მივაბყარ და ვიხილე ყოველგვარი ჩაგვრა, რომელიც ხდება მზისქვეშეთში, აჰა, ცრემლი ჩაგრულთა, მაგრამ ნუგეშისმცემელი არ ჩანან. ძალა მათი მჩაგვრელების ხელშია, ნუგეშისმცემელი კი არა ჰყავთ“.

• მაგრამ ილია ჭავჭავაძე თეოლოგი არ არის. მისი ცხოვრების ფილოსოფია ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც მოქმედების სტიმულატორი, რაც თავისი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო წყარო იყო. ამ მხრივაც განსხვავდება იგი პუშკინისა და ტოლსტოისაგან. ილიას ცხოვრება, ინტიმურიც და საზოგადოებრივიც ერთ არხში მიედინება. იგი არავის არ ჰგავს, მის თანამედროვეთაგან მხოლოდ აკაკის შეეძლო მიმსგავსებოდა მას. ისინი ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავნან ეროვნული ინტერესებით, მაგრამ ცასა და მიწასავით განსხვავდებიან ცხოვრების წესით.

ილიასათვის ცხოვრება ზოგადადაც და კონკრეტულადაც მოქმედებაა. „სულ წყალობა ღვთისა, წყალობა ღვთისა, — ამბობს იგი. — ერთხელ ჩვენ თითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ აღამიანი არ პრწყავს, არ სხლავს, არ ჰფურჩქნის, არ უვლის და არ პატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამა“.

1864 წლის აპრილში ილიამ თბილისი დატოვა. ახლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან საგანგებო მინდობილობათა მოხელეა. აქ იგი სწავლობს მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობებს.

1864 წლის ნოემბერი. ილია აღმოსავლეთ საქართველოში მომრიგებელი უშამავალია.

1868 წლის თებერვალი. ილია ღუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა.

სამსახურით ილიას ცხოვრება არ გაუმჯობესდა.

გავა რამდენიმე თვე და მეუღლეს მისწერს: „საქმე ეხლა ისე მოეწყო, რომ რაც შეიძლება მალე დავადწიო თავი სამსახურსა და მოვშორდე სუდიის ნაწილის სიღამპლესა და სიმყარელესა.... ქვეყანა დიდია, იქნება უსამსახუროდაც თავი როგორმე დავიჩინოთ... მარტო ეს მაწუხებს, რომ ცხოვრების სახსარი ჩვენი, სამსახურიდან რომ გამოვალ, ყინულზე იქნება დაწერილი“.

მიუხედავად ამისა, ამ წლებს ილიას ცხოვრებაში უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი ყოველთვის ჩაგრულის მოსარჩლე იყო.

თვითონ ილიას უამბია:

„მოსამართლედ რომ ვიყავი, ერთი გლეხი მიწას ედავებოდა

ყაზბეგს — ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროს მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამიფარო. შემომჩივლა გლებმა.

მე დავიბარე გლებებისაგან ნახსენები მოწმე.

— შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლებსა აქვს ნაყიდი თეიმურაზ მეფის დროს?

— დიახ შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამიღია.

ილიამ, მოწმის ჩვენების თანახმად, სადავო მიწა გლებს მიაკუთვნა. ყაზბეგმა კი აპელაცია გადაიტანა, რომელშიც წერდა: მომრიგებელმა მოსამართლემ მკვდრები ააყენა მიწიდან და ჩვენება ჩამოართვაო.

ერთხელაც ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში გაგზავნა. ესეც ილიას ცხოვრების კურიოზული შემთხვევაა.

ილია ჭავჭავაძეს თავისი წოდებრივი მდგომარეობა სულაც არ უშლიდა ხელს, გლებების მოსარჩლე გამხდარიყო. მათ გვერდით ცხოვრებამ და მუშაობამ მასაც ბევრი ისეთი რამ მისცა, რასაც თბილისში ვერ იპოვიდა. აქ ბევრ ხალხურ მარგალიტს მიაგნო, დაუახლოვდა მშრომელი კაცის ყოფას, მეტყველებას, ჭირსა და ღზინს.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება დღემდე მაინც ვერ ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. 1873 წელს იგი თბილისში დაბრუნდა. სწორედ ამ წელს ჩაეყარა საფუძველი ქართულ ბანკს, რომლის გახსნას ილიამ დიდი ამაგი დასდო. მან იცოდა ბანკის მნიშვნელობა „საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“.

ილია ჭავჭავაძემ ამ პერიოდში რამდენადმე პირადი ცხოვრების მოწესრიგება სცადა. განსაკუთრებით ყურადღებით მოეკიდა მამულს საგურამოში, რომელიც მისმა მეუღლემ მამისაგან სამემკვიდრეოდ მიიღო. 1874 წელს წამოიწყო სახლის მშენებლობა, რასაც მთელი ათი წელიწადი მოჰყვა. თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ მშენებლობისა და კარ-მიდამოს მოწყობას თვითონვე ხელმძღვანელობდა. უქმე დღეებში ყოველთვის აქით მოიჩქაროდა, ტკებოდა მისი განუთქმორებელი ბუნებით, და ქალაქის გამაყრუებელი ხმაურით დადლილი სულის სიმშვიდეს პოულობდა. სახლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით თლილი ქვის მარანი ააგო. „მისი მსგავსი ქართული სტილის სამოქალაქო ძეგლი შენობა აქამდის არ მინახავს“, — იგონებს მიხეილ ჯავახიშვილი. მდინარე არაგვზე კი თუჯის ჩარხებზე განსაკუთრებული სისტემის წისქვილი გაშალა, რომელიც ერთ-ერთი წყალდიდობის დროს დაინგრა.

საგურამოში ყველაფერი ლამაზი იყო, სახლი, ბაღი, ზვარი, აუზი, ყვავილნარი, ეზო, წყარო, ვეება ქვის მაგიდები, კაკალი, მუხისა და

ცაცხვის ხეები, რომლებიც ამ ეზო-კარს ახლაც ამშვენებენ.

დიდი მწერალი არც მამისეულ კარმიდამოს აკლესდა ყურადღებასა და მზრუნველობას. იგი ყოველ წელიწადს ჩადიოდა თავის მამულში, განსაკუთრებით შემოდგომაზე და რამდენიმე კვირით იქ ცხოვრობდა. ხშირად ოღლა თან ახლდა.

სოფელ ყვარელში ილიას სამოთახიანი სახლი ედგა, რომელშიც შედიოდა ძველებური სამზარეულო, ბეღელი, ერთი ციხე-კოშკი. ილია იგონებდა, ამ კოშკში ვარ დაბადებულიო. მისი მშობლები პირველად იმ კოშკში ცხოვრობდნენ, სახლი შემდეგ აუშენებიათ, ახლა უკვე ჭარმაგი პოეტი, როცა თბილისიდან ჩავიდოდა რამდენიმე დღით, უმეტესწილად ამ კოშკში ცხოვრობდა.

მამაპაპისეული სახლ-კარი ილიას ძალიან უყვარდა. უყვარდა ცაღაწვდილი ყვარლის მთები და რაღა თქმა უნდა, ყვარელი. ამ სოფელში ასე 13-14 დესტინა ვენახი, სახნავი მიწა და ტყე ჰქონდა.

ილიას ყვარელელი გლეხები ყველას ერჩივნა. განსაკუთრებით ჰყავრებია ერთი ნაყმევი მოხუცი ლაზარე ღონიაშვილი, ასე სამოცდახუთი წლისა, თბილისიდან ჩასვლისთანავე მოაძებნინებდა და რადგან ყოფილი მზარეული იყო, სადილებს ამზადებინებდა. ლაზარეს ერთ ქალიშვილს თბილისის გიმნაზიაში თავის ხარჯებზე მიაღებინა სწავლა-განათლება.

გლეხკაცის ცხოვრება, მისი ჭირი და ღვინა ყოველთვის გულთან მიჰქონდა, ყოველთვის ესარჩლებოდა და შეძლებისდაგვარად ეკონომიკურად ეხმარებოდა. იგი ვერ ურიგდებოდა თავადაზნაურობის უქმობით ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვას.

„ადამიანის ცხოვრება, და ნამეტნავად ეკონომიკური, განუწყვეტელი ჭიდილია და გამარჯვებული მარტო იგია, ვინც მხნეა, საქმის კაცია და ხელიდან რა გამოსდის, ვისაც ეს ზნე არა სჭირს, იმას ამ ჭიდილში ფეხზედ არა დააყენებს რა, რაც უნდა უღოლიავოთ, და არა მოქმედი და მოამაგე გადადებულია დედამიწის ზურგიდან ასავველად“.

ილიას შეხედულება ცხოვრებაზე მრავალმხრივ საყურადღებოა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მისი პირადი ცხოვრება, რისთვისაც, საზოგადოებრივ სამსახურში ყელამდე ჩაფლულს, ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. ამიტომ იყო, რომ ხშირად ხელმოკლეობას განიცდიდა და ზოგჯერ დიდი ვალებიც ედო.

თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ კერძო ცხოვრებაში ილია ძალიან თავმდაბალი კაცი იყო, არისტოკრატიულად ფეხის გაჭიმვა არ უყვარდა, სიამოვნებდა სტუმრობა, ტკბილი ბაასი და მეგობრული შექცევა. დაისზე რომ დაჯდებოდა სამუშაოდ, მეორე დღის ცხრა საათამდე თავს არ აიღებდა, ამას მართლაც რომ უმრეტო ენერგია

სჭირდებოდა.

საქართველოს რომელი კუთხიდან არ მიდიოდნენ მასთან, ზოგი რჩევას თხოულობდა მისგან, ზოგიც კილევ შემწეობასა და დახმარებას. ილია იყო ყველას შემწე და თანამგრძნობი, გზის მაჩვენებელი, ჭკუის დამრიგებელი და უნაგარო ქომაგი.

— გვიშველე, ილია, დაბალი ღობე გენახეს, ქვეყნის დაღუბა უნდათ, ზედ შეგვდგნენ, სურთ გაგვთელონ, გაგვათახსირონ — შესჩივლებდნენ როგორც საყვარელ მამას „ჭირსა შიგან“.

ილიაც დაუზარებლად და რაინდულად დგებოდა სიმართლის მხარეზე და ქვრივ-ობოლთა მოსარჩლედ. ესეც მისი მოწოდება და ცხოვრების წესი იყო.

ბონების თვალში

არსაიდან ხმა, არსით ძახილი
მშობელი შობილს არრას მეტყოდა



იმედით შეხვდა ქართველი კაცი ილიას გამოსვლას სამოქმედო ასპარეზზე. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა. ისტორიისათვის დროის ეს მონაკვეთი არცთუ ისე მცირეა. მას შეუძლია გარკვეული კორექტივები შეიტანოს ხალხების ცხოვრებაში. იმსხვრევიან ძველი კერპები თავიანთ ეპოქებთან ერთად, სახეს იცვლიან ქვეყნები და ქალაქები, იხვეწება ხალხის ეთნოგრაფიული სახე, რელიგიური შეხედულებები, მწვავედება ან მტკიცდება ურთიერთობები სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, მაგრამ დიდი პიროვნების მიერ შექმნილი ჰუმანისტური ეპოქები არასოდეს ძველდებიან. ისტორიის ასპარეზზე გამოსული ფაგორიტები გარკვეული აზრით ექსპლუატაციასაც კი უწევენ, მათსავე ნააზრევით იკვებებიან, მათსავე აღმოჩენილ იდეებსა და ბრძოლის ფორმებს იყენებენ ცხოვრების პროგრესული გარდაქმნებისათვის. აქედან გამომდინარე, გარკვეული აზრით, ილია ჭავჭავაძეც ჩვენი თანამედროვეა. თანამედროვეა იმიტომ, რომ „მგზავრის წერილებისა“ და „განდეგილის“ ავტორია. წარსულს ჩაბარდა ზოგიერთი უსამართლო განჩინება. ისიც სათქმელია, რომ ამის გარეშე ეპოქალური პიროვნება არ არსებობს. ვერც ილია ასცდა ვერაგ უსამართლობას. გარკვეულ წლებში ამ ზეეცასაც მოუწია ჩრდილში დგომა. ახლა ჩვენთვის პარადოქსულადაც ყდერს ზოგი რამ.

ვინაც ჩრდილიდან სამზეოზე გამოიყვანა და ხალხს დაუბრუნა
გარდასულ ეპოქათა ნააზრევი, ერთხანს თვითონ აღმოჩნდა ჩრდილში.

ილია ჭავჭავაძემ მკვდრეთით აღადგინა 1832 წლის შეთქმულების
განადგურებასთან ერთად დარბეული ქართველი ინტელიგენციის
დაფერფლილი მოწინავე იდეები და მომავლის რწმენა, პროგრესული
იდეალები და ლტოლვა თავისუფლებისაკენ, რომელთა შორის უმთავ-
რესი ეროვნული სულისკვეთება იყო. აღადგინა და ახალი სული
ჩაუღდა ყოველივეს, რასაც ისტორიულმა უსამართლობამ უხეში
ძალდომიერებით სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

თავის დროზე ლოგიკური იყო კითხვა. რომელიც ოცდაოთხი
წლის ჭაბუკმა დაუსვა თავის თავს: „როგორ შევეყრები მე ჩემს
ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას
ახალს და რას მეტყვის იგი მე?

მთელი თავისი სიცოცხლე ამ ორ კითხვაზე პასუხისათვის იღვაწა.
შვიდი ათეული წელი დასჭირდა ამ პასუხს. ახლა მის გარშემო მთელი
საქართველოა. და განა მარტო ახლა! სიცოცხლეშივე დაიდგა
ხელთუქმნელი ძეგლი ხალხის გულში;

გლადიკაცასიდან რომ გამოვიდა და თავისი ქვეყნის სიომ დაჰკრა,
იგრძნო საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა და მაინც ორი კითხვა
უწიოკებდა სულს. იგი უბრალო ცნობისმოყვარეობა კი არა, ნამდვილი
მოწოდება იყო.

მთავარი მაინც ისაა, რომ ილიამ იცის საკუთარი თავი, იცის ვისი
სისხლი და ზორცია, მაგრამ ისიც იცის, რომ „საქმე“ საქმეშია. „მგზავ-
რის წერილებში“ მგონი ამ დეტალისათვის ღირს ყურადღების
მიქცევა:

„შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ?“ —
ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდევ. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ
შეწყვიტა... ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

— მართლა და რა უნდა ვქნა? — ვკითხე ჩემს თავს ხმამაღლივ.

— ჩაი უნდა მიირთო — მიპასუხა სტანციის გულშემა, რომელმაც
ამ დროს შემოიტანა სამოვარი“... და ა.შ.

„მგზავრის წერილებში“ მწერალმა ავტობიოგრაფიულ დახატა.
რომელზეც მისი სულის შრეები უფრო მოჩანს, ვიდრე გარეგანი ეფექ-
ტები. ილიას სულის ანატომიას ატყვია კიდევ ერთი ანაბეჭდი — მიზნ-
ის სიცხადე.

ილიამ იცის საკუთარი თავი და უფრორე სად მიდის. აი კიდევ
ერთი დეტალი: „თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ არამც თუ წყალი
დამეღლიოს, თვალიც არ ამხილებია. მეშინოდა, თერგ-დაღეულობა არ
დამწამონ — მეთქი. რომ თერგ-დაღეულები ჩვენს ქართველ კაცს როგ-
ორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ საფუძვლიანი პასუხი

აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლა თერგ-დალეულები არიან, მეორე იმიტომ.... იმიტომ, რომ მეორედაც თერგ-დალეულები არიან, მესამე იმიტომ, იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვლე ჩვენს დარღვეულ ქართველობას“.

ილია სვამს კითხვას და იქვე უპასუხებს, თუ რატომ არ ეჭაშნიკება თერგდალეულები ქართველ კაცს.

რამდენი სიმართლეა ამ სიტყვებში, ეს არის მისი ავტორის „უარყოფითი“ თვისება. აკი ტოლსტოიმაც თქვა, მწერალს სჭირდება ერთი უარყოფითი თვისება -არ უნდა იცრუოსო. ამ შემთხვევაში, უფრო სწორად, როცა სიმართლეზე მიდგება ჯერი, ილია დაუნდობელია. მწარე სიმართლე უთხრა თანამედროვეებს, რაც სისხლის ფასად დაუჯდა. „გზავრის წერილებიდან“ ზუსტად ათი წლის შემდეგ დაწერა „ბედნიერი ერი“. მწარეა სიმართლე, მაგრამ წამალიც ხომ მწარეა?! მწარე რეცეპტი გამოუწერა ილიამ დასნეულებულ ერს. ეს იმ საუკუნეში არ იყო იოლი. ამას ღვთიური ზემოთავონება და სიტყვასთან ბიბლიური შერკინება სჭირდება. ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივად გვეჩვენება, ვკითხულობთ „კაცია-ადამიანს?!“ და გგონია, რომ იგი ბუნებრივად არსებობს სამყაროში.

ხშირად იტყვიან, გენიოსები პოეზიაში ადრეულ ასაკში იბადებიან, ხოლო პროზაში გვიან. უმაღლესი დანახვები ინგლისელ ჩატერტონს და გერმანელ გოეთეს. რაღა შორს წავიდეთ, აგერ ქართულ მწერლობაშიც გვაქვს კლასიკური მაგალითი ნიკოლოზ ბარათიშვილის სახით. ილიამ, როგორც გამონაკლისმა, დაარღვია ეს ტრადიციული შეხედულება. ოცი წლის იყო „ყვარლის მთებს“ რომ დაწერა, ოცდაორი წლისამ — „გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი?!“ ხოლო ოცდასამისამ — „პოეტი“. ეს უკანასკნელი დაამშვენებს მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიას. ერთი სიტყვით, ილია ადრე დაიბადა როგორც პოეტი და როგორც პროზაიკოსი.

ასპარეზზე გამოსვლისთანავე კალამი მომართა ეროვნული ხასიათის სიმტკიცის გასამართლებლად. მარტო პუბლიცისტური ნაწერებიც კმაროდა, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ხალხს ლუარსაბ თათქარიძე შეახვედრა, რითაც დროულად და სამართლიანად ჩაახედა სარკეში. შემდეგ კი ოთარაანთ ქვრივი გამოიყვანა ასპარეზზე, როგორც უტენი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის მაგალითი. აქ მათი სოციალური წარმომავლობაც გასათვალისწინებელია. როცა სიმართლეზე მიდგება ჯერი, ილია აქაც დაუნდობელია. არ დაინდო საკუთარი წრე, მკაცრი განაჩენი გამოუტანა სოციალურ უსამართლობას.

ო, ეს ლუარსაბ თათქარიძე, ეს კიდევ ოთარაანთ ქვრივი! რამდენი



თაობა შეახვედრა მათ, ღმერთმა იცის კიდეც, კიდეც რამდენი შეხვედრა?! ისინი არც მომავალ საუკუნეებში გახდებიან ზედმეტად ლიტერატურულ სამყაროში. არ მახსოვს ვისი სიტყვებია: „ოთარაანთ ქვრივი“ რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, ყოველთვის რაღაცას ახალს აღმოაჩენო“.

ილიას მახვილი მზერა ჩასწვდა ცხოვრების ყველა კუნჭულს, თანამედროვეებზე უკეთ ხედავს და ესმის, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის. იცვლება ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა და ვინ მოთვლის კიდეც რა. ილია ხედავს და ეურჩება საწუთროს. იგი თითქმის მარტოდმარტოა. თითო-ორიოლა თერგდალეული თუ უდგას მხარში. გულსა და გონებას უმღვრევს გარშემოთა მონური ქედმოხრა დრო-ჟამის წინაშე. მათ მერამდენეჯერ შეახსენებს, რომ „ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან. მხოლოდ იმათი აყვავება სხვადასხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილები ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა“.

ერთ ძირზე აღმოცენდნენ ოთარაანთ ქვრივი და ლუარსაბ თათქარიძე. პირველმა ცხოვრების ხეზე გამოიღო ახალი ყვავილები, ხოლო მეორე მოკვდა ისე, „როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენთაგანნი, რომელნიც არცთუ სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანას და არც თავის სიკვდილით აკლებენ“.

ილია გონების თვალთ უყურებდა ერის ცხოვრებას, ამიტომ სხვებისათვის სასაცილო ამბავი, მისთვის სატირალი იყო. მკითხველებმა იცის ვინ არის მათ შორის მართალი, ის, ვინც იცინის, თუ ის, ვინაც ტირის.

მწერალი თავის პერსონაჟებს ტიპიურ ადგილს უჩენს, რაც მეტწილად დამოუკიდებელია მათ პიროვნულ თვისებებზე და იმ სოციალურ ფუნქციაზე, რაც ნაწარმოებში დაეკისრათ. მისი რეალიზმი უკვე ახლებურია, როგორც გამოხატვის ფორმით ისე გამოსახატავი მოვლენის არსით. თითქმის შეაჯამა და ერთ ორგანიზმად წარმოადგინა წინამორბედთა და თანამედროვეთა რეალისტური ტენდენციები. შემდეგ ამას კრიტიკული რეალიზმი ვუწოდეთ. ილია ხომ რომანტიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ცხადია, ყოველ ლიტერატურულ მიმდინარეობას თავისი დრო და გარემო აქვს. საკმაოდ მრავალფეროვანი თეორიები იქმნება მათ რაობაზე. ყველაზე უფრო მარტივად და ნათლად მაინც სომერსეტ მოემმა გამოხატა რომანტიზმისა და რეალიზმის არსი — რომანტიკოსები ადამიანში იდეალურს ეძებენ, ხოლო რეალისტები ჩვეულებრივს. ილია ჭავჭავაძემაც თავისი დროის საქართველოს ჩვეულებრივი ცხოვრება გამოხატა, რაც მაშინდელ ლიტერატურულ

სამყაროში არაჩვეულებრივი მოვლენა იყო. „ამ ეგრეთწოდებულ რეალურმა მიმართულებამ, — წერდა ილია — ჩვენის აზროვნებაში ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავკარგიანობას და სამოციან წლებიდან დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდ“.

ილია ჭავჭავაძემ დადებითად შეაფასა ქართველი რომანტიკოსების ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის ღვაწლი. 1892 წელს დაწერილ სტატიაში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ვკითხულობთ: „ეგ იყო მწერლობა, რომელიც ჰზრდის და ინახავს ენასა და რომელმაც ხელახლა ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში. ამით დაიწყო, ჩვენის ფიქრით, მეორე ხანა ჩვენი ცხოვრებისა. ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი, და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ. აქ გამოჩნდება — გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა, აქ დავინახავთ — რას ითხოვდა ჟამთა სიარულში წინა დღე და პასუხს აძლევდა“.

შემდეგ ილია აღნიშნავს, რომ როცა მოვიდა ახალი ხანა ორმოცდაათიანი წლებისა, რომანტიკოსებიდან ასპარეზზე დარჩა მხოლოდ გრ. ორბელიანი. ამავე დროს გამოჩნდნენ გ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, რ. ერისთავი. „ამ სივრცე-სივრცით, ამ სიღრმე-სიმაღლით მოაღწია მან სამოციან წლებამდე — განაგძობს ილია. — თვალნათლივ დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებულ იქნა“.

ამ „ახალი ხანის“ პირველი მაუწყებელიც და მეთაურიც თავად ილია ჭავჭავაძე იყო. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი მხატვრული შემოქმედებისათვის 1857-1863 წლები. სწორედ მაშინ შექმნა განუმეორებელი შედეგები „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ „მგ ზავრის წერილები“, პოემა „აჩრდილი“ და მთელი რიგი საპროგრამო ლექსები. უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ქვეყანას მოევლინა დიდი მწერალი.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, ილიას მხატვრული შემოქმედება არცთუ ისე ვრცელია. იგი დაახლოებით ერთ ტომს მოიცავს. მას არ უწერია სქელტანიანი რომანები, სტენდალისა და ტოლსტოის მსგავსად არ შეუქმნია ვატერლოოსა და ბოროდინოს ბრძოლების მაგვარი რთული მხატვრული მოდელები, მაგრამ ილიას მიერ ასახული სამყარო ძალიან ვრცელია. ამ მხრივ „კაცია ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“ ბევრ ქართულ რომანს გადაწონის. ამ ნაწარმოებებმა ფრიალზე შეასრულეს ისტორიული მისია — უნაკლოდ გამოხატეს დრო, რომელშიც ჩატეულია მაშინდელი საზოგადოების ყოფა და ცხოვრება მთელი თავისი ვნებათა

ლეღვით. ამ ნაწარმოებებით ილია ჭავჭავაძე მოგვევლინა როგორც მხატვრული პროზის უბადლო ოსტატი, რომლის მსგავსი მანამდე არ იცოდა ქართულმა მწერლობამ.

1862 წლიდან, მას შემდეგ რაც შეიქმნა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, სრულიად ახალი ხანა იწყება ილიას მოღვაწეობაში. ფაქტობრივად, ამ ჟურნალის დაარსებით და თავად მისი რედაქტორის უნაგარო მოღვაწეობით ახალი ხანა დაიწყო ასევე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში. 1862 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეათე ნომერში ილიამ გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბის“ პროგრამა და დასძინა: „ამ პროგრამას ამჟამად აღარაფერს დავუმატებთ; რაც შეეხება ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებას, იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ; ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და, თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულებთ ჩვენი სურვილი, ამისიც კმაყოფილი ვქნებით, ჩვენის მხრით, რასაც კი შეეძლებოდა, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰკიდია“.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძემ პირველად ამ ჟურნალში გამოაქვეყნა ერთ-ერთი საპროგრამო ლექსი „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“. იგი 1861 წელს დაიწერა. მასში ნათლად აისახა ქართველი მწერლის სრულიად ახლებური დამოკიდებულება ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებთან. უფრო სწორად, ეს იყო ილიას პოზიცია, რომლითაც წარმართა საზოგადოებრივი აზრი და რომლისთვისაც არასოდეს უღალატია.

უბადლო ბელეტრისტი ძალიან ძუნწია საკუთარი თავის მიმართ. თავისი ცხოვრების რომანი კი არა და სრულყოფილი ავტობიოგრაფიაც კი არ დაგვიტოვა. იგი შემოქმედებითი ტანჯვით ცხოვრობდა და მით იყო ბედნიერი. მისთვის უცხო იყო სამწერლო დიდებაზე ფიქრი. საერთო საქმეებში ჩაფლულს, დრო სად ექნებოდა ასეთი კომფორტის მოსაწყობად.

არც დღიურები უწერია. არადა როგორი განძი იქნებოდა არა მარტო ლიტერატურის, არამედ მთელი ეპოქის ისტორიისათვის. მარტო პეტერბურგის წლები რამდენ მოვლენას ახდიდა ფარდას. თუნდაც ეკატერინე ჭავჭავაძესთან შეხვედრები რომ დაეწერა. ცოდვა კია „მეზავრის წერილების“, ავტორმა დღიურები რომ არ წერა, უთუოდ დიდი ლიტერატურული ფაქტი იქნებოდა. რამდენ რამეს მტკოდა ეკ. ჭავჭავაძე „ნაცრემლნი ღაწვით“ და „ხმით მშვენიერით“ თავისი უიღბლო მიჯნურის შესახებ. არც კოხტა აფხაზის მოგონებებია

სრულყოფილი.

ვინ იცის, იქნებ ბევრ რამეს მეხსიერებაში ინახავდა და ცხოვრების მიმწუხრზე ახდიდა ფარდას, რაც სამწუხაროდ, არ დავაცადეთ. აკაკი წერეთელმაც ხომ ხანდაზმულობით დაწერა თავისი თავგადასავალი. სამაგიეროდ ილიამ ლიტერატურული წერილებით, პუბლიცისტურ-ფილოსოფიური ნააზრევით გაუსწრო თავის დროს და ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირადი წერილებიც ავსებს და აგრძელებს ავტორის შეხედულებებს სოციალური მოვლენებისადმი, მის იდეურ-ესთეტიკურ მრწამსსა და შემოქმედებითი მეთოდის უნივერსალობას. ყოველივე ამით ილიამ შეძლო მწერლობისა და საერთოდ, ეროვნული აზროვნების ახალ რელსებზე გადაყვანა. ეს კი ნიშნავს, რომ იგი მომართა იმ სამყაროს წინააღმდეგ, რომელიც უზნეო და უკუღმართი ცხოვრების აპოლოგეტი იყო. ილია ქართველი ხალხის წინაშე აღიმართა როგორც მორალისტი და განმანათლებელი, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ დაუდევარი მებრძოლი, რომლის დევიზი იყო — ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟამდე ილიამ გამოაქვეყნა საბროგოროდო სტატია „მეცხრამეტე საუკუნე“, რომლითაც ბევრ პრობლემურ საკითხს გამოეპასუხა. ცოტა ადრე დაიწერა „ქვათა ღაღადი“, რომელშიც კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა დიდი მწერლის უტყუარი ალღო, მძლავრი და დაუშრეტელი ეროვნული ენერგია.

ილია ჭავჭავაძე ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის მოაზროვნედ, რითაც დასავლეთ ევროპის გამოჩენილ მოღვაწეებს და განმანათლებლებსაც კი მოგვაგონებს. იგი თავისი პერმანენტული აზროვნებით ხორცშესხმული ქანდაკებაა, რომელიც მტკიცე პოდსტამენტზე დგას. ამაში კი, უპირველეს ყოვლისა, მყარი ეროვნული ნიადაგი და ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები იგულისხმება.



ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
 რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
 ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
 ბოროტთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
 რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
 აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა
 და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძეგნით დავლიოთ ღღენი.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს,
 ჩვენ ცუდს არ მაღავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
 ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
 ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!



ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა

როგორც ვიცით, თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ბალკანელი სლავების ჰსერბიელები, ბულგარელები/ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარდაჭერის საბაბით, 1877 წლის აპრილში, რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. ბალკანეთის ფრონტის პარალელურად რუსეთმა მეორე ფრონტი გახსნა ამიერკავკასია—მცირე აზიაშიც და ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება იზეიმა.

1877 წლის ზაფხულში კავკასიის არმიამ მთლიანად გაწმინდა აფხაზეთი აქ მაისში გადმომხსნდარი თურქებისაგან, ხოლო 5 ნოემბერს რუსებმა ყარსი აიღეს, სულ მალე ბალკანეთიც გაათავისუფლეს. 1878 წლის იანვარში თურქეთმა იარაღი დაყარა და ზავი ითხოვა. ბერლინის 1878 წლის ივლისის საზაო ხელშეკრულებით რუსეთმა შემოიერთა საუკუნეთა მანძილზე თურქეთის მიერ მიტაცებული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, სახელდობრ, აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი— ოლთისი. ამათგან აჭარა-ქობულეთს, შავშეთსა და კლარჯეთს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით უწოდა ბათუმის ოლქი /1886 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შემოუერთდა/, ხოლო კოლა-არტაანის და ტაოს ჩრდილო ნაწილი /ოლთისი/ ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა /საქ. ისტ. 1958, გვ. 512/

ამ ისტორიულ ომში რუსი ჯარისკაცების გვერდით გმირულად იბრძოდა სამ ათეულ ათასამდე მამაცი ქართველი მეომარი, რომლებმაც სახელოვნად შეასრულეს დიდი ეროვნული მისია და დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად და ოსმალთა სამასწლიანი უღლისაგან თავიანთი გამაჰმადიანებული ძმებისა და დების გამოსასხნელად.

ბუნებრივია, რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობას იმთავითვე შეუწელებელი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ილია ჭავჭავაძე და მის მიერ ახლად დაარსებული ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“. საერთო სათაურით „ოსმალთა საქართველო“ ილიამ თავის გაზეთში 1877 წელს ცხრა წერილი დაბეჭდა, რომელთაგან ერთი უეჭველად მის

კალამს ეკუთვნის /დანარჩენი პ. უმიკაშვილისა/. ილიას უბრწყინველი
ესი წერილი სერიიდან „ოსმალის საქართველო“ რუსეთ-თურქეთის
ომის დაწყებისთანავე გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1877 წლის №9 ში და
იწყებოდა შემდეგი განთქმული სიტყვებით:

„ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე
საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას,
თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის
თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა
სარწმუნოებისა და გვარტომისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამი-
ანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის
ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად
მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ღზინში გამოტარებული —
ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი
ვანეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი
შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ
სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს
დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულოვნებამ, ერთგულებამ თავისი
ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის
საქართველო“.

ამის შემდეგ ილია განმარტავს, რომ ოსმალის საქართველოს
„დიდი პატივისაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის
ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია,
მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის
თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლისა
და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტ-
ორიაცა გვქონია“.

აი ამ „ერთი ისტორიის“ გადმოცემისას, ილია გვიყვება ოსმალის
საქართველოს შესახებ, რომელსაც კარგა ხანს „თითქმის მარტო...
ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა“, სადაც „პირველ-
ად ქრისტიანობამ... მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა“
და „ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერი, თლილის ქვით
ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშ-
ენებული“, რომ აქაური „ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას
მოჰყვა მთელი საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი“,
ბაგრატიონთა გვარის კაცმა მეფე ბაგრატ მესამემ „1014 წ. შეაერთა
სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვ-
ან“ და, რაც მთავარია, „უწარჩინებულესნი მამანნი, საღმრთო საერო
თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალის საქართველოს
შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“
მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო... ჩვენი ყოფილი

ცხოვრება იქ აღყვავებულია, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც. ჩვენის ყოფის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს“.

მე-17 საუკუნიდან მოყოლებული ოსმალებმა ეს კუთხე საქართველოს მოწყვიტეს და „ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაზარალებული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელა მიეცა მაჰმადიანობასა“ ამგვარად „დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუტარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა“.

მაგრამ ილიას ღრმა რწმენით, „სარწმუნოების სხვადა-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოებისა დაზარალება და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვავყვდობენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-ყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა“.

ილია ნატრობს იმ ბედნიერ დღეს, როცა ოსმალოს საქართველო დაუბრუნდება თავის დედასამშობლოს და ქრისტიანი და მაჰმადიანი ძმები კვლავ შეერთდებიან: „არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შეუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიკადალოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრეკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“....

ოსმალეთისაგან მიტაცებული საქართველოს ისტორიული მიწაწყლის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად ილიას ამ პატრიოტული მოწოდების დაბეჭდვას სულ მალე მოჰყვა „ივერიაში“ ილიას

მიერვე რუსულიდან თარგმნილი პროფ. დ. ჩუბინაშვილის მეცნიერული ნარკვევი „ენტოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ჭანეთის მოსახლეთა“ /1877, №14-17/ როგორც ერთგვარი დასტური ამ კუთხის უძველესი ქართველობისა და მისთვის ბრძოლის სამართლიანობისა.

ილიას მოწოდება, ფიქრი და ოცნება ახდა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში რუსეთის გამარჯვებამ და ბერლინში 1878 წლის ივლისში დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ საქართველოს შემოუერთა ოსმალეთისაგან მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთი მიწების დიდი ნაწილი, რის საფუძველზედაც აჭარის განმანათავისუფლებელი ჯარები 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში შევიდნენ.

ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტით აღფრთოვანებული ილია „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ „მინაურ მიმოხილვაში“ წერდა:

„ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან — ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდევ სამუდამოდ“.

ილია სათანადოდ აფასებს ქართველი ხალხის მიერ ამ ომში გაღებულ დიდ მსხვერპლს, რომელსაც ცარიზმის თვითმპყრობელობა ჩქმალავდა და ქებით მოიხსენიებს ამ საშვილიშვილო საქმისათვის თავდადებულ ქართველ გმირებს, რომელთა ბევრის სახელიც კი არ ვიცით: წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანსთქა ქართველობისა, ბევრმა ვაჟკაცმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი. ბევრმა ჩვენმა აფიცრობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი წარვიდა-მეთქი ამ წუთისოფლიდამ თვისტომთაგან დაუტირებელი, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით, — და მათი სახელი არც კი არავინ ახსნა და აღიარა. /საწყალო, ეგრე გულ-გმირად თავდადებულნი ყმაწვილ-კაცნი!/ თქვენ, საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით ნებით თუ უნებლიეთ და საცა ღვინი იყო-უკანასკნელი!...”

ილია ასევე საქებარ სიტყვებს არ იშურებს ომში ცოცხლად /გადარჩენილ ქართველი ვაჟკაცებისათვის: „სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის და რომელთაც გიცნობთ ჯარი და უბრალო ჯარისკაცი და სხვა არავინ ზედაც არ გიყურებთ ჩვენში! თქვენც, თქვენთა

თავდადებულთ ძმათაებრ, ჭირში პირველნი იყავით და მათთან ერთად უკანასკნელნი ხართ... თქვენ თავებს იხოცდით, თოდესა ზარმაცსა გულდაგულ ედევით და თქვენი სახელი და ღიდება სხვამ დაისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა. ამითი მაინც ინუგეშებთ, რომ ამ ომმა საცა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალ-გული და ვაჟკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენის ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა.... /ამ ღიდ საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა/. მიიღო კიდევ ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!... ნუთუ უსისხლოდ ჩვენი ბედი არას გვითმობს!...

ილიას მოწოდებით, ქართველების ახლა ყველაზე პირველი და უდიდესი მოვალეობა ის არის, რომ „ძმებს ძმურად უნდა დაგვხედეთ ყველგან და ყველაფერში... თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, — ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგევით, ქართველობა!“

ილიას ღრმა რწმენით, „ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება“, ზოლო ამ მიზნის მისაღწევით ერთადერთი საშუალებაა სახალხო სკოლების გახსნა ჩვენს სამშობლოში და პირველ რიგში, ახლად შემოერთებულ საქართველოში, „რადგანაც იქ სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან და „არ იქნება რომ ამ გარემოებამ ცოტად თუ ბევრად არ შეაფერხოს შკოლების გავრცელების საქმე“. სადაც საჭიროა, „მოწვეულ იყვნენ უსათუოდ ქართულის ენის მცოდნენი“ და სადაც „ქართული ენა უნდა დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებისა“.

1879 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია „ივერიის“ ფურცლებზე კვლავ დაუბრუნდა შემოერთებულ საქართველოს ბედს და კერძოდ, ომისგან აოხრებულ აჭარა-ქობულეთის მხარის უნუგეშო ყოფას, „ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი — აჭარლები და ქობულეთელები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქომამდე არსაიღამ მოელიან.... აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახდა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი“. ომისაგან „ყველაზე მომეტებულად დასჯილ“ ამ მხარეს კი რუსეთის მთავრობა მხოლოდ „ნამცეცებს აწვდის“, მაშინ როცა ხალხი ერთის მთიელის მაზრისა შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალნი თვის გარშემო ჯოჯოხეთსა ჰგრძნობს“. რადგან მთავრობისაგან რაიმე დახმარების იმედი არა აქვს, ილია მოუწოდებს: „ქართველობა... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორავით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ

კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც
ძმისა ძმის. წინაშე... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!... ეს
არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ.
ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვი-
რტი უნდა გამოიტანოს, ქართველობავ, ჩვენი უწმინდესი ვალია, უნდა
მივეშველოთ!...”

ილიას მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურა ქართველი ხალხი.
გაზეთ „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა პრაქტიკულად
უხელმძღვანელა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. მან მრავალჯერ ჩამ-
ოუტანა აჭარლებს შეგროვილი ფული, ხორბალი, ტანსაცმელი და
სხვა. /დ. ნაცვალაძე ილია ჭავჭავაძე და აჭარა. 1957 გვ. 18/

ახლად შემოერთებული საქართველოს ასეთი მწვავე ეკონომიკუ-
რი სიდუხჭირის სურათს თან დაერთო მუხაჯირობის შემზარავი
ცნობა: ცალკე თურქეთის აგენტი მოლების და ცალკე ძმათა გამთ-
იშველი რუსი ჩინოვნიკების ცბიერი პოლიტიკის წყალობით
აჭარლებმა იწყეს აყრა და ოსმალეთში გადასახლებაზე ფიქრი: „ეს
დაუჯერებელი, ტვინის შემარყეველი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ
მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი ან იქ სიცოცხლეო. სხვა
არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი
აალებინოს თავის ბინაზე, თავის დედულზედ და გარდაიხვეწოს ვინ
იცის საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულობამდე, ამ
სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანო, ამბობენ ყველგან, რომ ამ
ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა
კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი
ჩინოვნიკობა“... — წერდა ილია ჭავჭავაძე.

ილიას ამ მამხილებელმა წერილმა შეაჩერა მუხაჯირობის
სამარცხვინო ტალღა და ეს უძველესი ქართული კუთხე ადგილობრივი
მკვიდრი მოსახლეობის დაცარიელებისაგან იხსნა.



ჩატენილი ხიდი

/ნაწყევტი მოთხრობიდან „ოთარაანთ ქერივი“

დიდის ყოფითა და ამბით დაამარხვინა არჩილმა გიორგი. მთელი ახლომახლო სამღვდელოება, ახლომახლო სოფლები მოიწვია მიცვალებულის „გასაბატიოსნებლად“ და ამისათვის არა ხარჯი არ დაზოგა. ისე დაჰმარხა, თითქო იმისი სახლისკაცი, იმისი ოჯახისშვილი ყოფილიყო.

სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდან სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწევოდა, ასე რომ არავის გამეცვლევინა.

კესო მძიმე შავებში ჭირისუფალსავით გულხელდაკრებილი და მგლოვიარედ თავჩაკიდებული ხმაამოუღებლევ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხმაგაქმენდილი ჭლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა და უცბად წამოდგა, გამოჰტრიალდა, თითქო შეაშინა რაღაცამო.

— დახე, სტირის!... სთქვა ერთმა იქ მდგომელმა დედაკაცმა.

— სიყვარული ძნელია! — უპასუხა მეორემ — გაიგებდი ერთმანეთი ჰყვარებიან.

— საწყალი ცრემლსა ჰმაღავს, თითქო სცხვენიაო.

— რა სირცხვილია — გაიბა დედაკაცობაში ლაპარაკი — ის კი ადამიანი არ იყო? ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი, — სხვა რა უნდა სიყვარულს?

გლეხკაცობამ ზოგმა მოუწონა და—ძმას ამისთანა თავმდაბლობა და „გასაბატიოსნება“ მიცვალებულისა, ზოგი კი იძახოდა:

— კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო.

იქნება ეგრეც იყო. ეს კია: სხვის გულში მართალი ადვილი საპოვნელი არ არის.

განა არა, — არჩილს ამ სიტყვებისათვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა და როცა კესომაც შეიტყო და აპილბილდა, ეს რა დაგეწამესო, არჩილმა უთხრა:

— ნუ გიკვირს

— რატომ არ უნდა მიკვირდეს! ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადავიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხეს.

— საკვირველი ის იქნებოდა რომ ეგ არ ეთქვათ. ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ — შუა ხილია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაპრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, ღურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ ღურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან.

— მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?!

— ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოებათ, რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და, ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორიშორსა ვართ—მეთქი... იმათს ჭირსა და ღზინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას — ცალკე. გული გულს ველარ მიგვიკარებია, ველარ მოგვიხვედრებია და რად უნდა გვიკვირდეს რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის — რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ შუა? მარტო ერთი ბრტყელი ენა მწიგნობარისა — მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი — მარტო ბრტყელი ენა — მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ!

— მაშ გული ქვეყანაზედ აღარ არის? მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...

— გული.... გული, ესე იგი ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულა, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-და ვცნოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომბა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭვილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორ შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც, უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არი, მოცი-

ქული სხვასთან უნდა. უსხვავოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგალმაა, შორს... შორს... მაშ რაღად გვიკვირს, რომ იქედამ ველარა გვხედავენ, ჩვენი აღარა სჯერათ — რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკვდარს გულში? შეუძლებელია.

— ეგ, ჩემო საყვარელო, ძველი მოთხრობაა ახლად ნაამბობი: აქაო-და გლეხია, ყოველთვის მართალი უნდა იყოს.

— მაგ სულელობას რაღა მწამებ, ჩემო კარგო? მე გლეხკაცს გუშინდელ ბაღსავით კი არ შევხარი, ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვადამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია. მე — იმისაგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით — კი არა, ზოგჯერ თავისი გულითაც. ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკს პერანგქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან მებრალებიან — მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდომა...

— კვდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის. ეს თუ უნდა გეთქვა.

— შენ დამასწარ. მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი — ჩვენი მკვდარის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადვურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხედებით ზოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდარის ნახევრით გულს ვუჩხრეკთ. ამიტომაც კარგის მთქმელი, იმათია თუ ჩვენი, ან სულელი გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად...

— მაშ წასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეა!

— ვინ გითხრა? ჩვენისთანისა — იქნება პო, მაგრამ იმათი კი — არა.

— არ მესმის აკი ორივენი — ჩვენცა და ისინიც, ერთნაირად მკდარნი ვართ, შენის სიტყვით.

— ეგრეა მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტიტ შეკერილნი, იმ გვირისტიტ, რომელიც მარტო ბუნებაში იცის და ბუნება, ზომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, ღუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ღუნენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელ თოლჭყაბში სამის მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

— ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორეზედ როგორ წამოხვედი — მეტი ამ ვაივავლაში! — „აი, ბატონო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, — მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დაძონძებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივ-ვდები, რა ტკბილად დამეძინებაო. თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაძინებთო“. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებივრობაა, ღონის გასიება, დამძიმება, წყალმანკია, იმიტომ რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არი იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან...

— ნადირი კი არ დაძრწის დილიდან საღამომდე საჭმლის საშოვნელად? ჰშიამ და, რომ ამისათვის ზელ-ფეხსა სძრავს, საჭებ-სადიდებელია?! ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნეოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა.

— მაგით რა უნდა სთქვა?

— ის რომ ადამიანობით ისინი ჩვენზე უარესნი არიან. გლეხკაც-ისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ჰნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვილა სჩივის....

— მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალთ მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვი-ცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ჯაფია მდულარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული, ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ კაცს, როგორიც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თორნეში-ლა ცხვება, ჩვენი თორნე კი მარტო ჩვენისთანა კუტ პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია, რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?... ჩვენ ზედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი.... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა.... გიორგი....

— ნულარ მომაგონებ! მე ჩემი მემართება, როცა ის უბედური მაგონდება.



ქართველის დედას

აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავლისა.

ლეიბნიცი

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, — სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტიესა მცნებას, —
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათლებული.

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და თანამედროვეობა

ილია ჭავჭავაძე ჩვენი უკვდავი თანამედროვეა. ამიტომაც ქართული კაცი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და ხშირად მიმართავს რჩევისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტას.

თანამედროვე საქართველოში მწვავე აზრთა სხვაობის საგანია ეროვნული იდეოლოგიის პრობლემა. ერთნი ფიქრობენ, რომ იდეოლოგია არ არის საჭირო. იგი ვერ ასახავს ნამდვილ ცხოვრებას და ახალი იდეოლოგიაც ისევე უსახელოდ ჩაბარდეს ისტორიას, როგორც ახლო წარსულში დაემართა კომუნისტურ იდეოლოგიას.

მეორენი ფიქრობენ, რომ იდეოლოგიის გარეშე არ არის ცივილიზებული ცხოვრება და შემოქმედება. იდეოლოგია მიმართულებას აძლევს ცხოვრებას, იმედითა და პერსპექტივის გრძნობით აღავსებს ადამიანებს. ნიმუშად ასახელებენ ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც შეიმუშავა ეპოქისათვის შესატყვისი ეროვნულ-განმანათლებლური მოძრაობის იდეოლოგია და რომელიც დღეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების კლასიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ამ შეხედულებას და ვთვლით, რომ იდეოლოგიის გაიგივება მხოლოდ კომუნისტურ მოძღვრებასთან არ არის მართალი. იდეოლოგია შეიძლება იყოს კომუნისტური, ბურჟუაზიული, ეროვნული, ფაშისტური, რელიგიური და ა.შ. ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგია არის კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის დამკვიდრების იდეოლოგია.

ილია ჭავჭავაძის იდეოლოგია რუსეთის კოლონიური მდგომარეობიდან საქართველოს დახსნის, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის, სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და დემოკრატიულ პრინციპებზე ცხოვრების მოწყობის იდეოლოგია იყო.

ილია ჭავჭავაძის მთავარ იდეოლოგიურ თხზულებას მოთხრობა „მგზავრის წერილები“ წარმოადგენს, რომლის პირველი რედაქცია 1861 წელს, ხოლო საბოლოო და დასრულებული სახით 1871 წელს გამოქვეყნდა, მისი ყოველმხრივი შესწავლა, რაოდენ მოულოდნელადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ლიტერატურის ისტორიკოსთა და კრიტიკოსთა შრომებში ყურადღება

ძირითადად გამახვილებულია ტრადიციულ საკითხებზე. უნივერსიტეტში სწავლის ოთხი წელიწადი, შედარება მყინვარსა და თერგს შორის, დაბირისპირება დღისა და ღამისა, დიალოგი ლელთ ღუნისათან.

ეს ტრადიცია, ჩვენი აზრით, კიტა აბაშიძიდან მოდის, რომელიც წერდა, რომ ილია ჭავჭავაძესაც არ ჰქონია თავდაპირველად თავის ნაწერებში დაწვრილებით და სავსებით გარკვეული დიდი საგანი ერის უნუგეშო მდგომარეობისა, მისი გონებრივი და ზნეობრივი დაქვეითებისა, ამ დაცემა-დაქვეითების მიზეზი /კიტა აბაშიძის ეტიუდები. თბილისი, 1962 წ. გვ. 136/ იქვე, ამ მოსაზრებასთან ერთად კიტა აბაშიძე იმასაც აღნიშნავს, რომ „ყველაზე უწრფელესი, ყველაზედ უფრო გრძნობიერი, რაღაც ბავშვური გულუბრყვილო, მაგრამ თანაც ღრმა და სერიოზული გრძნობებით აღსავსე, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებია“, რომელიც მისი მოღვაწეობის დასაწყისშია დაწერილი /იქვე, გვ. 147/

ცხადია, თუ „მგზავრთა წერილები“ ილია ჭავჭავაძემ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში დაწერა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უკვე თავდაპირველადვე ჰქონია გარკვეული „დიდი საგანი ერის უნუგეშო მდგომარეობის“ გამოსწორების და გაუმჯობესებისა.

„მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძემ ეროვნული მოღვაწეობის ფართო პროგრამა ჩამოაყალიბა, იგი მოიცავს არა მხოლოდ პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ, არამედ ახალი ესთეტიკური აზროვნების პრინციპებსაც. მისი ღებულობითი შესწავლა ჩვენი თაობის ვალია.

„მგზავრის წერილები“ რუსული თემით იწყება. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ილია ჭავჭავაძე, როგორც ცნობილია, რუსეთთან დამოკიდებულებაში ორი რუსეთის კონცეფციით ხელმძღვანელობდა. ის ერთმანეთისაგან ანსხვავებდა, ერთი მხრივ, პუშკინის, ლერმონტოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის რუსეთსა და მეორე მხრივ ოფიციალური ხელისუფლების, პოლიტიკოსების, სამხედროების რუსეთს. ილია მაღალი წარმოდგენისა იყო რუსულ კლასიკურ კულტურაზე და გულწრფელად აღიარებდა მის სასიკეთო გავლენას იმპერიაში შემავალ ხალხთა კულტურაზე.

„რუსულმა ლიტერატურამ — წერდა ილია ჭავჭავაძე — დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძაღლონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლ-

ამ — მეცნიერებამ გაავილო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილია“ /ი. ჭავჭავაძე — ტ. 2. თბ. 1941 წ. გვ. 607/

ილია ჭავჭავაძე რუსეთის წყალობად თვლის, იმასაც, რომ საქართველო ევროპულ კულტურას რუსეთის მეშვეობით ეზიარა. ის წერდა: „ძველი თაობა, რომელსაც ეგეთი სიყვარულით და სიამოვნებით იხსენიებს ბ-ნი გ-ლი, აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულის მწერლობა — მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიც, ისიც რუსულის შემწეობით“ /იქვე გვ. 173/. წერილში „თერგდალეულნი“ და ახალი თაობა, ილია კვლავ უბრუნდება რუსული კულტურის მნიშვნელობას და წერს: „რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორივესი შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს /იქვე, გვ. 180/

მაგრამ ამავე დროს ილია კრიტიკულიც იყო ამ დიდი საგანძურისადმი დამოკიდებულებაშიც. სწორედ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის იდეოლოგიიდან გამომდინარე ის კრიტიკულად უყურებდა სხვა ხალხის კულტურის მიღწევების გადმონერგვა-გამოყენებას საქართველოში. ილია წერს: „რასაკვირველია, ამ ზემოქმედებას რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავისი საკუთარი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩნეა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ქარცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია“.

ბრძენი ილია მეზობელ ხალხთა კულტურისადმი დამოკიდებულებაში სხვა მომენტზეც ამახვილებს ყურადღებას. ილია მოითხოვს მეზობელი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის არა მხოლოდ კრიტიკულად ათვისებას /რასაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია/ არამედ მის შემოქმედებითად განვითარებას /თუ ამის ღონე გააჩნია ხალხს/: „ჩვენდა საბედნიეროდ ვიტყვით, რომ წერს ილია ჭავჭავაძე — ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და განსწავლულნი, ასე ბრმად მისცემენ ამ ლიტერატურის აუცილებელ ზემოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძებნია მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარყვიათ. ჩვენს სანუგეშოდ მარტო ამას არ დასჯერებია, ამავე კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიათ ამ ლიტერატურის წინსვლასა და არ გაჩერებულან მის რომელსამე ერთ ხანაზედ“. /იქვე, ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, პავლე

ინგოროყვას შესავალი წერილით, თბილისი, 1957 წ. გვ. 22

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე უაღრესად ფართო თვალსაზრისით განიხილავს ქართულ ლიტერატურაზე რუსული კულტურის კეთილნაყოფიერ გავლენას, მაგრამ, ამავე დროს ილია ჭავჭავაძე, როგორც ეროვნული მოღვაწე დაუფარავად ამხელდა რუსეთის ჩამორჩენილობას ევროპასთან შედარებით, ამხელს და კიცხავს რუსეთის ხელისუფლების დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას დაპყრობილი ხალხების ეროვნული და ინტელექტუალური პოტენციალისადმი.

განვითარების ევროპულ დონესთან შედარებით რუსეთის ჩამორჩენილობა აფერხებდა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების განვითარების პროცესს, ხოლო დისკრიმინაციული დამოკიდებულება იმავე დაპყრობილი ხალხების ეროვნული და ინტელექტუალური პოტენციალისადმი შეურაცხყოფდა ხალხის ეროვნულ და ისტორიულ ღირსებებს. მწერალს ამის შესახებ დაუფარავად უნდა ეთქვა თავისი ხალხისათვის და უთხრა კიდევ.

ვის ხელში ჩავარდნილა საქართველო, ვისი გავლენის ქვეშ არის მოქცეული ქართველი ხალხი — აი ამ კითხვებზე გაცემულ პასუხებში იკითხება საქართველოს ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის ბელადის იდეოლოგია. რუსი იამშჩიკის მხატვრული სახის წარმოდგენის საფუძველზე მწერალი აკეთებს განმაზოგადებელ დასკვნას რუსული სინამდვილის შესახებ: „საკვირველია რუსი მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა იამშჩიკის ბრიყვი სახე, მისი ორაყული სანახაობა, მისი მიღუნ-მოღუნებული ზღაზვნა, უადამიანო და პირუტყველი მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი“.

რუსული ცხოვრების ჩამორჩენილობისა და მისი მხილების კლასიკურ ეპიზოდს წარმოადგენს „მგზავრის წერილები“ ავტორის და ფრანგი მოგზაურის დიალოგი:

— „ეგ ეტლი ვისი მოგონილია? — მკითხა მან და მომიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არაგამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

— რუსისა, — გუპასუხე მე.

— მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულმუცელი.

— არა უშავსრა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

— მაგით დადის? იმიტომაც შორს არის წასული... ვიღა დაეწევა“. რუსეთის ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური, სალდაფონური აყვიაობისა და დაპყრობილი ხალხებისადმი დამამცირებელი, დისკრიმინაციული

დამოკიდებულების გამო მკაცრი პროტესტი იკითხება „რუსი განთავსებული აფიკრის“ ეპიზოდში. მწერალი, თანმიმდევრულად ამხელს კოლონიზატორის ანტიხალხურ სულისკვეთებას და პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ კოლონიზატორის წარმოდგენით ადგილობრივ მოსახლეობას აკლია სრულფასოვნობა.

— თქვენ ვინა ბრძანდებით? — მკითხა მან.

— მე გახლავართ ერთი სომხის სოფდაგარის დახლიდარი

— დახლიდარიო! ... — თქვა და ტუჩი აიბრუნა.

— დიად, ბატონო!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა, რომ ეს გაიგონა მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო, მხრები მოიმარჯვა, ის პირველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

— საიღამ მოდიხა-ა-ართ? — მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაც.

მეორე ეპიზოდი:

„— თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

— ქართველი

— ძალიან მეამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი კი ამბობს, რომ *Бежали робкие грузины*“, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან ამ პოიებსა“. მაგრამ ყველას მიმართ — ქართველების, სომეხების და ა.შ. — ერთნაირი აზრი აქვს „რუსის აფიკერსა“ — ისინი გაუნათლებელი, ველური, უკულტურო ხალხია. „თუმცა თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მარა მე შეგდაშვი სამეცნიერო სიტყვებს მდებარედ გითარგმნი და ამრიგად სამეცნიერო ლაპარაკის გაგებას გაგაადვილებთ“.

დისკრიმინაციული დამოკიდებულება რუსის ოფიცრისა დაპყრობილი ქვეყნებისადმი მაქსიმალურ დონეს აღწევს დიალოგში, სადაც მსჯელობა მიმდინარეობს ქვეყნის განათლებულობის შესახებ:

— ახლა დავიწყეთ იქიღამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი გაუნათლებელია... თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ეგ იმას ნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია“.

ილია ჭავჭავაძე სარკაზმით ამხელს დაპყრობილი ხალხების მართვისადმი მეფის რუსეთის დამოკიდებულებას. დაპყრობილი ქვეყნების ანუ „ინოროდცების“ ქვეყნებში მეფის ხელისუფლება მმართველებად აგზავნიდა დამნაშავეებს, ბრიყვებს, მეტროპოლიაში დაწუნებულ ჩინოვნიკებს, როგორც ჩინოვნიკი სრულიად ბრიყვია „რუსის აფიკერი“, რომელიც სამი წელიწადია თურმე ქვეყანაში მუშაობს და არ იცის რამდენი გენერალი ჰყავს ამ ქვეყანას. ეს „აფიკერი“ ბრიყვია აგრეთვე როგორც პიროვნება. მისი „კონცეფცია“ ხალხის განათლებად გაუნათლებლობის შესახებ, მისი „აღმოჩენები“ ოჯახში მოსამსა-

ხურეთა ქურდობის აღკვეთისათვის განზოგადებულად იმპერიის კოლონიური პოლიტიკის სისაძაგლეს. საბჭოთა პოლიტიკატორები და ისტორიკოსები ამ ეპიზოდებზე შეგნებულად არ ამახვილებდნენ ყურადღებას იმ გასაგები მიზეზით, რომ საბჭოთა იმპერიაში რუსი ხალხი მიჩნეული იყო „უფროს ძმად“, კავშირის ხელმძღვანელ პოლიტიკურ ძალად, მაგრამ ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ვერ დაფარავდა იმ ტკივილს, რასაც ერთი ხალხის ბრიყვი წარმომადგენელი ძალმომრეობის პოზიციიდან აყენებს მეორე ხალხს. ხალხებს შორის შეიძლება იყოს კეთილმეზობლური, მეგობრული დამოკიდებულებანი, მაგრამ არ შეიძლება ერთი ხალხის ბატონობა მეორე ხალხზე. ასეთი ბატონობა ყოველთვის წარმოშობს იმ ანტაგონიზმს, რომელზეც მიუთითა ილია ჭავჭავაძის სულიერმა წინაპარმა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა: „სახელმწიფოთა რჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“. ხალხთა მმართველობის იმპერიული სისტემის კრიტიკაში „მეზავრის წერილების“ შემოქმედი უფრო შორსაც მიდის. გარდა იმისა, რომ მეტროპოლიაში დაწუნებული ბრიყვ ჩინოვნიკს გზავნის დაპყრობილ ქვეყნებში მმართველებად და ამით ფაქტიურად აფერხებენ იმ დაპყრობილი ქვეყნების კულტურულ განვითარებას. ილია ჭავჭავაძე, როგორც ეროვნული მოღვაწე, კრიტიკული თვალთი უყურებს დაპყრობილი ქვეყნების ახალგაზრდობის ხანგრძლივად აღზრდა-განათლებასა და სპეციალისტებად მომზადებას მეტროპოლიაში. ილია შიშობს, რომ მეტროპოლიაში ხანგრძლივად ახალგაზრდობის გაგზავნას, აღზრდა განათლებასა და სპეციალისტად ჩამოყალიბებას ახალგაზრდაში მოჰყვება ეროვნული ცნობიერების, სამშობლოს ეროვნული ინტერესების შეგნების შესუსტება. ეს იდეა „მეზავრის წერილებში“ ასეა გადმოცემული: მოთხრობის გმირმა ღირსეულად განვლო რუსეთში სწავლისათვის განკუთვნილი ოთხი წელიწადი. მან ჰეშმარიტად „რიგიანად მოიხმარა“ „სიბნელისა და სინათლის შუა ბედის-გან გადებულ ბეწვის ხიდზე“ გასავლელი ოთხი წელიწადი. „ჰკუა ავარჯიშა, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცა“ და „გამოჰკვანდა ცხოვრების ის კვირტი, რომელმაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანი მოუტანა“. მაგრამ სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა მამულიშვილის წინაშე ასეთი კითხვები ამოტივტივდა: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის. იქნებ მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომამქციოს, როგორც უცხო ნიად-აგზედ გადარგულსა და აღზრდილს? იქნებ ზურგიც არ შემომამქციოს, იქნებ მიმითვისოს კიდევცა, რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემი ქვეყნის ღვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა გქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ

გამიყოლოს და მიამბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის
დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი მისთვის
გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა?“. საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ეროვნული
სამსახური

ხოლო რა უნდა გვესმოდეს „მის სიტყვებში“, ილია ჭავჭავაძე
ერცლად წარმოგვიდგენს ამ „სიტყვის“ ეროვნულ შინაარსს და
გვარწმუნებს იმაში, რომ მამულიშვილი გამუდმებით უნდა
ფიქრობდეს მამულის სატკივარზე, უნდა იზრდებოდეს და
ემზადებოდეს სამშობლოს სამსახურისათვის: „იქნებ მიმიღოს კიდევ
და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად
დამიგდოს ყური, მაგრამ, მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა
ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი
აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოგვინო, მტირალს ცრემლი
მოგწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო, იმ სიტყვით ვასმინო: რომ
არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრ-
ამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი, და ის თითოეული ნაპერწკალი,
რომელიც არ შეიძლება რომ ყოველთვის კაცში არა ყოლავდეს, ერთ
დიდ ცეცხლად შევავროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის
გასათბობელად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის
თქმასა?“ აი, რა მწვავე პრობლემები ახლავს, ილია ჭავჭავაძის აზრით,
ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი ახალგაზრდობის აღზრდა-განა-
თლებას. ეს მარადიული პრობლემაა. იგი ყოველთვის იჩენს თავს, თუ
დაწყებით სტადიაზე აღზრდამ მოზარდში სამშობლო ქვეყნის დვრიტა
არ ჩადო. ილია ჭავჭავაძე ამ პრობლემას განსაკუთრებულ
მნიშვნელობას ანიჭებს, მისი აზრით, შეიძლება შეიღმა მშობელ
ქვეყანას გასაგებად უთხრას სიტყვა, მაგრამ თუ მასში საკუთარი
ქვეყნის დვრიტაც არ არის დადებული, მხოლოდ სიტყვაზე დარჩება —
„საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა
იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდევ. ვიგრძენი, რომ ამ
კითხვამ შესწავიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი
გრეხილი“.

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ამ სიტყვებში ჩვენ ღრმა
პედაგოგიურ იდეებსაც ვკითხულობთ. საოჯახო და სასკოლო აღზრდა
— განათლებამ სწორედ საქმისათვის უნდა მოამზადოს ახალგაზრდობა.
საბჭოთა სკოლა, რომელმაც თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია
ქვეყანას, საბოლოოდ მაინც სწავლების სკოლად დარჩა და ბოლომდე
ვერ გადაწყვიტა ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის რეალურად
მომზადების პრობლემა, ახალი კანონი განათლების შესახებ, რომელიც
საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 27 ივნისს მიიღო, იძლევა
იმედს, რომ სკოლა ცხოვრებისათვის მოამზადებს საქართველოს
ახალგაზრდობას.

მოთხრობის მეოთხე თავში მწერალი თავის დემოკრატიულ შეხედულებებს გადმოსცემს. დემოკრატია ფართო შინაარსის მქონეა, მწერალი დემოკრატიული ბუნების პიროვნების სახეს გვინახავს და მიაჩნია, რაც უფრო მაღალი ინტელექტუალური და სხვა ღირსებებით გამოირჩევა პიროვნება, მით უფრო ახლოს უნდა იყოს ის ადამიანებთან, მით უფრო ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს ის მასებისათვის, ე.ი. რაც უფრო დიდია პიროვნება, მით უფრო ახლოს უნდა იყოს რეალურ ცხოვრებასთან. მწერალი ამხელს ყველას, ვინც მყინვარივით გამოჩენილი და გამორჩეულია, დიდი და განსაცვიფრებელია, მაგრამ მიუწვდომელია მასებისათვის, როგორც გენიალური გერმანელი პოეტი და მეცნიერი გოეთე. ასეთი სიდიადის მიმართ ხალხის დამოკიდებულებას ასე გამოხატავს ილია ჭავჭავაძე: „მყინვარი... დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი, დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათბობს“... მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი, თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისტანა სიმაღლე, არც მაგისტანა განზედ ღგომა, არც მაგისტანა მიუკარებლობა“.

დემოკრატიზაციის ქადაგების მჭევრმეტყველურ ნიმუშს წარმოადგენს მსჯელობა თერგის ხასიათის შესახებ. მწერალს მდინარე თერგი მოსწონს იმიტომ, რომ იგია „სახე ადამიანის გაღვიძებული ცხოვრების“. თერგი ახლოა ცხოვრებასთან „იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა“. ილია ჭავჭავაძე, როგორც დემოკრატი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ „ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდან დადებულია“. აქ, დემოკრატი მწერალი ისევ მიმართავს შედარებას მყინვარსა და თერგს შორის და აცხადებს: „მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს. მაღალიაო: რად გინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და მე ვერ ჩამომწვდება“.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე დემოკრატიზმის იდეას განიხილავს უაღრესად პრაქტიკული ასპექტებით. დემოკრატიულია, თუ არ არის დემოკრატიული საზოგადოება, ვლინდება როგორც საზოგადოებრივი წყობილების პოლიტიკურ სისტემაში, ისე საზოგადოების ერთი წევრის ცხოვრების წესში. პიროვნება დემოკრატია, თუ ის ახლოა ცხოვრებასთან. ხალხთან, თუ მას ადვილად მიწვდება

ჩვეულებრივი ცხოვრების შვილი, თუ ის თავად ასევე ადვილად
ჩამოწვდება ჩვეულებრივი ცხოვრების შვილებს. როცა დემოკრატიულ
პრინციპებზე ვლაბარაკობთ ჩვენ, უპირატესად, მხედველობაში გვაქვს
საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპები. ილია ჭავჭავაძე
პიროვნებაში ეძებს ცხოვრების დემოკრატიზაციის პრინციპებს. თუ
მეცნიერებასა და კულტურაში, ხელისუფლების საკვანძო თუ ჩინოვ-
ნიურ პოსტებზე წარმოიჩენილი პიროვნება არ არის ბუნებით
დემოკრატი, საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემა, ალბათ, ვერ
იქნება დემოკრატიული, სხვათა შორის, ეს პრობლემა ყოველთვის
აწუხებდა და აწუხებს ქართულ მწერლობას და საყურადღებო მოსა-
ზრებას გამოთქვამს ქართველი მწერალი კიკო ლომაური. ის წერს:
„ცული მოხელეებისაგან ქვეყანა ნაკლულევანობაში“. ვფიქრობთ,
ხალხოსანი მწერლის ეს უაღრესად საინტერესო იდეა სათავეს ილია
ჭავჭავაძის „მეზავრის წერილებიდან“ იღებს.

ილია ჭავჭავაძის დემოკრატიული შეხედულებების მწვერვალს,
ალბათ, მაინც ადამიანის უზენაესობის აღიარება წარმოადგენს, „ვამ,
რა ცარიელია ეს სახსე ქვეყანა უადამიანოდ“ — იტყვის მწერალი და
ჩვენს წარმოდგენაში თვით უკიდევანო და უმრავალფეროვანეს
ბუნებას თითქოს სწორედ ადამიანის არსებობა ანიჭებს აზრს და
სილამაზეს. აქედან გამომდინარე, ცხოვრებაც, საზოგადოებრივი
ცხოვრების პოლიტიკური სისტემაც ღირებულია თუ მასში მთავარ
ღირებულებად ადამიანია აღიარებული. ადამიანისათვის უნდა
არსებობდეს სახელმწიფო და არა ადამიანი სახელმწიფოსათვის.
საგულისხმოა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ილია
ჭავჭავაძის შემოქმედების მკვლევარები იძულებულნი იყვნენ გვერდი
აეგლოთ ამ იდეებისათვის და გაზვიადებული ყურადღება ექცეოდა
დღისა და ღამის დაპირისპირების ფილოსოფიურ აზრს. მაგრამ იქვე
ილია ჭავჭავაძე ღამის ფაქტს გმობდა სწორედ ადამიანისადმი დამოკ-
იდებულების პოზიციიდან, ღამე რომელიც მეტაფორული სახეა
დესპოტიზმისა, იმიტომ სძულს ილიას, რომ სწორედ ღამემ დააბეჩავა
და დააშინა ბუნების თავისუფალი შვილი — ადამიანი. „პოი, ბნელო
ღამეგმეჯავრები შენ მე! შენ რომ არ არსებულები ქვეყნისათვის, მე
მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ
იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის
გონებას და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შემშინებულსა გზა თვისი ვერ
უპოვნია, — და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდელამდე ათასში
ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ბრძოლას ვერ გადაუჩვე-
ვია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურებისა“. ახლა მკითხველი დავგერწმუ-
ნება, იმაში თუ საბჭოთა მეცნიერება რატომ ვერ გაამახვილებდა
ადამიანის თავისუფლების დემოკრატიულ იდეებზე ყურადღებას

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში. ილია ჭავჭავაძე
ლამის მეტაფორით გმობს ყოველგვარ რეჟიმს — დესპოტიზმსა და დიქ-
ტატორულს. რადგან ამ რეჟიმების პრინციპები პიროვნების თავ-
ისუფლებას ზღუდავს და აუფასურებს. უკიდევანოა ილიას პროტესტი
ადამიანის თავისუფალი ნების შეზღუდვის გამოვლინებათა წინააღმდე-
გ. „ჰოი, ბნელო ღამე! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ
იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს
იმაღავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს
ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნის სჭედავს
ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭვდად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ
ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამი-
ანის დამფრთხალს გონებასა უბედურებას ბედნიერებად აჩვენებს
ხოლმე, შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის
სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ
ჩემგან, დღეო, ნათელო, მოვედ შენ!“

ამრიგად ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ მკვეთრად
გამოხატული იდეოლოგიური ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც
ქვეყნის ბედნიერების ერთ-ერთ მთავარ პირობად ადამიანის თავ-
ისუფლებას აღიარებს.

ქვეყნის ბედნიერების მეორე და უმნიშვნელოვანეს პირობას
თავად მოცემული ქვეყნის თავისუფლება წარმოადგენს. ილიას
საქართველო კი ბედნიერი ვერ იყო ვერც ეროვნული თვალსაზრისით.
სახელმწიფოებრიობა ქვეყნის ტკივილი „დაუყუჩავი ტკივილია“. ამ
იდეას ეძღვნება „მგზავრის წერილების“ მეექვსე ნაწილი, რომელშიც
ნათქვამია: „გათენდა, რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიყრაცო! რა
მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყნავ! მე
მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაუყრებუ-
ლიყოს, მაგრამ, თერგი მაინც ჰბლავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკი-
ვილი დაუყუჩავია“.

მაგრამ ვინ უნდა უშველოს თავისუფლებადაკურგული ქვეყნის
დაუყუჩავ ტკივილებს, ვის შეუძლია ბრძოლა ქვეყნის ეროვნული თავ-
ისუფლებისათვის? ილია ჭავჭავაძე ამ კითხვებს პრინციპულ
მნიშვნელობას ანიჭებს და თვლის რომ სამშობლოს ეროვნული თავ-
ისუფლებისათვის ბრძოლა თავისუფალი მამულიშვილის ხვედრია.
როგორც ცნობილია, მონობაში აღზრდილი და მონური სულ-
ისკვეთების მქონე ადამიანებისათვის უცხოა ბრძოლა სამშობლოს
ეროვნული თავისუფლებისათვის. ბიბლიურმა მოსემ ორმოც წელ-
იწადს ატარა ეგვიპტეში დაბადებული ხალხი სამშობლოში
დასაბრუნებლად მხოლოდ იმიტომ, რომ მონობიდან თავდახსნილნი,
მაგრამ მონური სულისკვეთების მქონე თაობა თავისუფალ

სამშობლოს ვერ ააშენებდა.

ილია ჭავჭავაძეც ბიბლიურ პრინციპებზე დგას და საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ თავისუფალ პიროვნებას ეძებს, პიროვნებას, რომელიც მშობელი ქვეყნის ინტერესებით ცხოვრობს: „გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდევარი ფაცა-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი! მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს ქვეყნის უბედურებით გულ-ალტკინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყნავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“.

ილიამ იპოვა ამისთანა ადამიანი, მაგრამ იპოვა მთაში ბუნების თავისუფალი შვილის მოხევე ლელთ ღუნის სახით. ლელთ ღუნისა შეხედულებები ცხოვრებაზე ბუნებაში თავისუფლად აღზრდის შედეგია, მას არ გაუვლია ცივილიზებული ქალაქის ცხოვრება, არც საქვეყნოდ ცნობილ უნივერსიტეტში მიუღია განათლება. იქნებ სწორედ ამისთანა განათლება ჩაახშობდა მასში თავისუფალ სულს და სწრაფვას ქვეყნის თავისუფლებისათვის? არც ეს კითხვა მიგვაჩნია უადგილოდ. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“ — ბრძანებს ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ფიქრობს, რომ ადამიანში ეროვნულ ნიადაგმოკლებულმა აღზრდა-განათლებამ შეიძლება ჩაკლას თავისუფლების შეგნება. ფიქრობთ, ამიტომ, ილიამ სამშობლოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში ყველაზე სანდოდ და იდეალად ლალი ბუნების წიაღში აღზრდილი ლალი მოხევე დასახა. მწერალს ასე ჰყავს წარმოდგენილი თავისუფალი მთის შვილი: „ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდგა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულაუმიდვრელად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გვეგონებოდათ, — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედა“.

მოხევე ლელთ ღუნია სულით ხორცამდე თავისუფალი ადამიანია. საგულისხმოა, რომ მის წარმოდგენაში სიმდიდრეს ჯამრთელობა სჯობს. ჯანმრთელი ადამიანი, რომ ვაჭირდეს „ბალახითაც გაძლების, სატკივარს რაი ეყვის?“

ლელთ ღუნია ქცევაშიც თავისუფალია. როცა უეცრად თოვის უზანგი ჩაუწყდა და ცხენს გვერდზე მოექცა, თავისთვის ჩაილაპარაკა: „საჭირ-ბოროტთა შეკაზმულ ცხენი დაილოცა შიშველ ცხენ: ფეხ

გადაწვდილი და გადაჯდოდი“.

მოხვევ ლელთ ღუნია ქართულად ხედავს და აზროვნებს. მისი აზრით ქართველი ყველაფერში ქართულად უნდა ჩანდეს-სამოსითაც, მეტყველებითაც, აზროვნებითაც. რუსულ კოსტუმით მორთულ მგზავრს შენიშნავს: „რუსულში ქართველ კაცს მეუცხოვების“. მისთვის კიდევ უფრო მიუღებელია რუსული გამგეობა და ბატონობა საქართველოში. „რუსობაში ვარნ აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის“. ლელთ ღუნიათან საუბრიდან მკითხველი აკეთებს დასკვნას: ხალხმა ეროვნულ ტრადიციებით რომ იცხოვროს, იგი აუცილებლად თავისუფალი უნდა იყოს, იგი ეროვნული სახელმწიფოებრიობით უნდა ცხოვრობდეს. თუმცა რუსის ბატონობას საქართველოში მშვიდობიანობა მოჰყვა და მეზობელი ქვეყნებიდან მტრული თავდასხმები შეწყდა, ლელთ ღუნია მაინც დამოუკიდებელ საქართველოს შენატარის. „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟადდის, ქალი ქალადდის. ადრიდა ერის - ურის დავეყუდნით, ერთ-ურის ვიხვეწებდნით. ადრიდა ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით. შინ მიწრიელს, გარედ მავნეს დავულ-ავმინდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მიგვერძნდით, ერის-ურის ლალ მტერთან ჩავეფარვინდით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხიიშინდით და ესრეთ იყვის ბრალეა კაცისა. ერთ-ერთობა“. სახელმწიფოებრივი და ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვამ, მოხვეის ღრმა რწმენით, საფუძველი და საყრდენები გამოაცალა ტრადიციულ ქართულ ზნეობრიობას. ეროვნულ ადამ-წესებს, საქართველოში უცხო ძალის გაბატონებამ ეროვნული სახე დაუკარგა ქართულს: „აწინა ერობა დაიშალის, ავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა—ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის ატირდომილ ვინ გააცინოს, დაცემულ ვინ აღადგინის. აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ-პირად და გულად ჭულურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ. ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი“.

„მგზავრის წერილების“ ერთ-ერთ მთავარ მოტივს მოძრაობის, ბრძოლის, შრომის, შენების იდეები წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძის მიერ სამშობლოს განთავისუფლებისა და აღორძინებისათვის შემუშავებული პროგრამა ემყარება მოძრაობის იდეას: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ — წერს ბრძენი ილია.

დაგვერწმუნებით, ეროვნული იდეოლოგიის ძირითადი პრინციპების უფრო მკვეთრ ფორმებში ჩამოყალიბება შეუძლებელიც კი არის. „მგზავრის წერილების“ ავტორის კონცეფციით ეროვნული

იდეოლოგია თანაბარი მნიშვნელობით მოიცავს ქვეყნის ცხოვრების
როგორც სახელმწიფოებრივ ისე ყოფით-ზნეობრივ კატეგორიებს.
ხალხის ეროვნული სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობა მისი
მაღალზნეობრივი ცხოვრების საფუძველია. აი, ამ თვალსაზრისით
გვითხულობთ დღეს ილია ჭავჭავაძის უკვდავ ქმნილებას, „მგზავრის
წერილებში“ და დარწმუნებული ვართ, რომ მისი მნიშვნელობა კიდევ
უფრო იზრდება ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.



ყველამ ვიცით, რომ ლიგერატურას ასაზრდოებს საზოგადოება.
ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვივართ, რომ ჩვენს ლიგერატურას
დღედადლე საზოგადოება აკლდება. დღეს თუ ჩვენს ლიგერატურას
მკითხველი და გულშემატკივარი ჰყავს, ერთი ეგრეთწოდებული
ინტელიგენციაა... ყოველი კი ახლად მომავალი... ჰთაკილობენ
ქართულს ლიგერატურას და იკვებებიან იმ წვრილად ფშვნილ
ნამცეცებითა, რომელიც აქაურ წვრილმან გაზეთებს ყოველდღე
გომრებით მოაქვთ.

ილია

/პოემიდან „აჩრდილი“/

„დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ზვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩავრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მიეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულ ღღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა!
ძლიერო ღმერთო, შენთვის ბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიუნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა...
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!“





ილია - აჭარის მოქმდნაშული

როდესაც საქართველოს უჭირდა, ღმერთი მუდამ წარმოაჩენდა ხოლმე მხსნელის სახით ზნეობრივად განწყენილ მამულიშვილებს, რომელნიც უანგაროდ, თავგამოდებულნი ემსახურებოდნენ ქართველი ერის კეთილდღეობას. მსგავს პატრიოტთა რიგებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან პირველ რიგში მიეკუთვნებოდა ილია ჭავჭავაძე, რომლის ნიჭიერებამ, შრომისადმი და მამულისადმი სიყვარულმა განაპირობა ქართველი ერის შეკავშირება.

ილია დღენიადაც იმის მცდელობაში იყო, რათა დაერწმუნებინა რუსეთის ხელისუფლება აჭარის განთავისუფლების აუცილებლობაში. ოცნების მიღწევის შემდეგ ილიას მთავარ საზრუნავ საგნად შეიქმნა ახლად შემოერთებული აჭარისადმი უანგარო დახმარება განათლების, კულტურის, ეკონომიკისა და ეროვნული თვითშეგნების აღორძინების მიზნით. იგი აჭარაში ხედავდა საქართველოს ერთიანი სხეულის ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო სამშობლოსაგან და მისი შეერთების ნაკერის მოშუშება მოითხოვდა მკურნალობის განსაკუთრებულ მეთოდებს.

ჯერ კიდევ აჭარის განთავისუფლებამდე ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს სათაურით „ოსმალის საქართველო“, სადაც იგი ქართველთა ცნობს მაჰმადიანი ქართველების დიად წარსულს, უღვივებს მათ ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობას, რათა ყველა ქართველმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა აჭარის დედასაქართველოსთან დასაბრუნებლად, წერილში აღნიშნულია: „... ოსმალის საქართველოს დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით — არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია...“

უწარჩინებულებს მამანო, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიკაძულო „გვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი ამ მხარის კაცი იყო. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია. ჩვენის სულის ძლიერებას

აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. სწავლა აკონ-
თლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქცა
ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს...

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალის
საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭი-
რავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს
კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი, ჩვენდა სასიქ-
ადულოდ. კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიან-
ის სინდისს და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს,
თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმურადვე მიიყრდენს თვალ-
ში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი და თუ იმისათვის საჭი-
როა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი
დაიდვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრეკება და თავს არ შესწირავს მას“.

ილიას აღნიშნულ მოწოდებას პატრიოტული გრძნობიერებით
გამოეხმაურა მრავალი ქართველი, მოღვაწენი, საქართველოს
სხვადასხვა კუთხეში იქმნებოდა მებრძოლ მოხალისეთა რაზმები. იყო
შემთხვევები, როცა მოხალისეთა რიგებში შესვლაზე სურვილს გამოთ-
ქვამდნენ 12-14 წლის ყმაწვილებიც კი.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში 1877-1878 წწ/ ქართველ
მოლაშქრეთა თითოეულმა წევრმა გამოავლინა გმირული ქმედება,
ქართველი გენერლების გიორგი ყაზბეგის, გრიგოლ გურიელისა და
კონსტანტინე ერისთავის მეთაურობით.

ილიას წერილების შინაარსი ქართველი ერის გულისტკივილის
ამოძახილი იყო. საქართველო სხეულმოკვეთილი /იგულისხმება აჭარა/
კვნესოდა და ღმერთს ევედრებოდა სხეულის სიმართლის აღდგენას.
ღმერთმა ისმინა ვედრება მრავალტანჯული ერისა და აღუსრულა მის
საწადელი, აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს, მაგრამ სულ მალე
დატრიალდა დიდი ეროვნული ტრაგედია, ომისაგან კუთხის
მოსახლეობა აღმოჩნდა სიღუპში: განადგურებული სახლ-კარი,
საკვები პროდუქტების უკმარისობამ, ტანსაცმლის უქონლობამ,
ჩინოვნიკ მოხელეების უდიერმა დამოკიდებულებამ და თურქოფილთა
რელიგიურმა პროპაგანდამ აიძულა აჭარის მოსახლეობის უმეტესობა
აყრილიყო მამა-პაპათა სახლ-კარიდან და გადახვეწილიყო თურქეთში
„მუჰაჯირად“. ყოველივე ამან დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა
ქართველი ერი, საჭირო იყო სწრაფი რეაგირება, აქაც თავისი გადა-
წყვეტი სიტყვა სიტყვა ილიამ, რომელიც ამ სამწუხარო ფაქტს
გამოეხმაურა წერილით „შინაური მიმოხილვა“, სადაც იგი შემდეგი
სიტყვებით მოუწოდებს ქართველობას: „... აჭარლები და ქობულე-
თელები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან. აჭარა და ქობულეთი
ომის მოედნად გახდა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე

ოსმალის. ამიტომაც აშკარაა რომ არც რუსი გაუფრთხილებოდნენ
ხალხის სიკეთესა და არც ოსმალს.

„... აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს კოჩხეთი რამოდენად
გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია
ჩაფარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმს, რომელსაც შველა
ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის, ქართველობავე, ნუ ექ
მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენ ძმებსა და დებს,
რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც
დღეს შენთანვე მოვიდნენ.

... შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ ძნელად სიყვარული ჩვენ-
შიაც ისე ყოვლად შემძლებია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ძმობა,
ურთიერთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უმცირესი სიტყვა არ არის
ქართველობისათვის

... აბა, ქართველობავე, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს
ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ
ქვეყანას მამაპაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისაო და შავ დღისთვისაო“...
ილიას მოწოდება გულმხურვალედ აიტაცა ქართველმა ერმა. იგი
უფრო შემჭიდროვდა ეროვნული მთლიანობის წინადაგზე, ფართოდ
გაჩაღდა მოძრაობა აჭარელთა დასახმარებლად.

საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებნი ურთიერთშორის
აგროვებდნენ სურსათ-სანოვავს, ტანსაცმელსა და ფულს და აგზავნი-
დნენ აჭარაში დახმარების ფონდში მოსახლეობაზე დასახმარებლად.
ამასთანავე ხელისუფლების მონაწილეობით დაიწყო განადგურებული
სახლ-კარის აღდგენითი სამუშაოები, აღნიშნულმა თანადგომამ
აჭარლებს შთაუწერა იმედი მდგომარეობის გასწორებისა, რამაც
საგრძნობლად შეამცირა „მუჰაჯირად“ წამსვლელთა რაოდენობა.

აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნებასთანავე ქართველ
საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით, რომელთაც თავკაცობდა დიმიტ-
რი ყიფიანი, თბილისში მოიპატიჟეს აჭარის დეპუტატია 16 კაცის
შემადგენლობით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ხუსეინ
ბეჟანიძე /დეპუტაციის ხელმძღვანელი/, შერიფ ხიმშიაშვილი, ნური
ხიმშიაშვილი, ხუსეინ აბაშიძე, მუფთი სურმანიძე, ახმედ ხალვაში და
სხვები. დეპუტაციის საპატიგცემულოდ 1878 წლის 20 ნოემბერს
მუხრან ბატონის სასახლეში გაიმართა ნადიმი, რომელსაც
მასპინძელთა მხრივ ესწრებოდნენ: აკაკი წერეთელი, გრიგოლ
ორბელიანი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, დ.
ჯორჯაძე, დ. ფურცელაძე/ სულ 90 კაცი.

ნადიმზე ბევრი თბილი და პატრიოტული სიტყვა ითქვა,
რომელთა შორის დამსწრეთა განსაკუთრებული მოწონება
დაიმსახურა აკაკი წერეთლისა და შერიფ ხიმშიაშვილის სიტყვებმა.

აქაკიმ თავის სიტყვაში ღრმა გრძნობით გამოხატა ქველს ქარი, ველის სათქმელი და სიხარული, რაც აჭარის შემოერთებით გახსნილა ქართველმა ერმა, მან აღნიშნა:

„... დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო! და რას უნდა მივაწეროთ ეს? ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებულის ჩვენის მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება.

დიალ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიღეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გავგიფუჭებია.

ეს ანდერძი იყო: დედა-ენა და ერთობა! ამავების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევია და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარხსენებულს მამა-პაპებს.

პირველი, ესე იგი, ენა ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება, და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელნიც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები გვყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ესე იგი, ერობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთ გვარად აუბეჭდავთ, როგორც ვარეგანის, ისე შინაგანის, საკუთრად ქართველის ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთის შეხედვისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც: ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ წავალთ — საკმარისია, რომ აქვე, აი სუფრანზედ მივიხედ-მოვიხედოთ.

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენის წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი არასოდეს არ ყოფილა მოშლილი.

დიალ, დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუკი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს...“ /გაზ. „დროება“ №239, 1878/.

აქაკის გამოსვლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა აჭარის დებუტაციის წევრი შერიფ ხიმშიაშვილი, აჭარის ერთერთი განმანათლებელი, მან წმინდა ქართულ ენაზე წარმოსთქვა: „კაი იქნება ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ. შემოერთებული... განათლება სჭირდება, ბატონებო, იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ... და ასე უნდა... აბა რა ძმა ხართ თუ ისე აბდლურად დატოვებთ.

შეხვედრას ილია ჭავჭავაძე არ ესწრებოდა. გადაუდებელი საჭიროების გამო იგი ქალაქიდან გასული იყო, მაგრამ ჩამოსვლისთანავე მან ძირფესვიანად შეისწავლა შეხვედრაზე სიტყვაში გამომსვლელთა ძირითადი მოთხოვნები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შერიფ ხიმშიაშვილის წინადადებაზე, აჭარაში განათლების აღორძინების თაობაზე, რომლის გარეშედაც შეუძლებელი იქნებოდა აჭარელთა ეროვნული თვითშეგნებისა და კუთხეში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება.

ილია გრძნობდა, რომ აჭარაში განათლების განვითარების გარეშე ხალხის სიბნელიდან გამოყვანა გაძნელებოდა, ამიტომაც საჭირო იყო სასწრაფოდ მშობლიურ ქართულ ენაზე სკოლების გახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქულ სკოლებს შეცვლიდა რუსული სკოლები, რითაც აჭარელთა ეროვნული თვითგამორკვევა შეფერხდებოდა, რაც გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანდა.

ილია აღნიშნავდა: „სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება. განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად... უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას.

... თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ...“ /ილია ჭავჭავაძე, ტომი მე-4, „ერი და ისტორია“ თბილისი, 1955, გვ. 340/

და სწორედ ამიტომაც ქართველ ერში განათლების აღორძინების მიზნით ილიამ დიმიტრი ყიფიანთან ერთად ჩამოაყალიბა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის უბრალო მშრომელ ხალხში განათლების შეტანის საქმეში, რითაც საშუალება მიეცა ქართველ კაცს თავი დაეცვა საქართველოში კალიასავით მოდებულ, საშოგარზე ჩამოსული უცხოელებისაგან.

საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის წინადადებით გადაწყვიტა, რაც შეიძლება მოკლე დროში ბათუმში გაეხსნა პირველი ქართული სკოლა. იმ დროისათვის ამან დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ერთის მხრივ მუსულმანური რელიგიის მესვეურნი — ხოჯები და მოლები ქართული სკოლის გახსნაში გრძნობდნენ დიდ საშიშროებას მუსულმანური რელიგიისა და „მედრესების“ საწინააღმდეგოდ, ამავე დროს რუსი ჩინოვნიკების მიზანი იყო აჭარაში გახსნილიყო სკოლები, მხოლოდ რუსულ ენაზე სწავლებით, რაც მათ მიერ შემუშავებული შორს

გამიზნული პოლიტიკის ნაწილს შეადგენდა. ილია ყოველივე ამას
კარგად გრძნობდა და ამიტომაც გადაწყვიტა აჭარაში ქართული
სკოლის გახსნის გაადვილების მიზნით დაახლოებოდა ადგილობრივი
მოსახლეობის პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლობას, მათ-
ან ერთობლივი ძალისხმევით 1881 წელს ბათუმში გაიხსნა ქარ-
თველთა შორის წერა — კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
პირველი ქართული სკოლა.

ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნამ ქართველი საზოგ-
ადო მოღვაწეების დიდი სიხარული გამოიწვია. იაკობ გოგებაშვილი
ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „განზრახვა, რომელმაც გამო-
იწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად
შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მოეზიდნა, პირველი
დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულის წერა-
კითხვაში. მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარაში
ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა
ძმათა შორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა
წარსულს საუკუნეში. /ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი მე-
2, 1940 წ. გვ. 267/

სკოლის გახსნაზე ბათუმში ჩამოსული ილია ჭავჭავაძე
სპეციალურ თათბირს აწყობს ნური ხიმშიაშვილის სახლში — ხუსეინ
აბაშიძის, ხუსეინ ბეჟანიძისა და ბათუმის „უჩასტკის“ უფროსის
გაბუნias თანდასწრებით, სადაც გადაწყდა სკოლისათვის დაეკი-
რავებინათ საცხოვრებელი ბინა „ახმედის“ უბანში, სკოლის პირველ
მოსწავლეთა შორის რომელთა რიცხვი 30 აღწევდა, 9 მოსწავლე
სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა წარმომადგენელი იყო, მათ შორის ხუსეინ
აბაშიძის ქალ-ვაჟი ულფიე და ზია, ხუსეინ აბაშიძის ძმისშვილი მემედ
იბრაიმის ძე აბაშიძე, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და
სამუსლიმანო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის ლიდერი. სკოლის პირველ მასწავლებლად დაინიშნა
ცნობილი პედაგოგი, პუბლიცისტი და სახალხო განათლების დიდი
მოამაგე ალექსანდრე ნანეიშვილი, რომელიც სკოლაში ასწავლიდა
თითქმის ყველა საგანს. ალ. ნანეიშვილი 1882 წლის 15 ივლისს თავ-
ისი სურვილით ბათუმის სკოლის გამგე-მასწავლებლის თანამდე-
ბობიდან განთავისუფლდა, რომელიც ილია ჭავჭავაძის რეკ-
ომენდაციით შესცვალა სახალხო განათლების გამორჩეულმა მოღვაწემ
მოსე ნათაძემ, რომელმაც აღნიშნულ სკოლაში უანგაროდ იმოღვაწა
ათი წლის განმავლობაში.

მ. ნათაძის მოღვაწეობა მარტო სკოლით არ განისაზღვრებოდა. ის
აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში,
აქვეყნებდა წერილებსა და სტატიებს, რომლებშიაც განსაკუთრებულ

ყოფილებას აქცევდა ქართველი მაჰმადიანების სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი აზრით საქართველოსთან ახლად დაბრუნებული ეროვნული სხეულის აღდგენა და განმტკიცება შეიძლებოდა მხოლოდ განათლების განვითარების გზით.

მ. ნათაძის მონღოლებამ ბათუმის სკოლაში მუშაობა გააუქმებეს და უკვე 1883 წლის ზამთრისათვის მოსწავლეთა რიცხვი ერთიორად გადიდებულია. ამის შემდეგ სკოლის შენობის სივრცის გამო, მ. ნათაძეს მეცადინეობა ორ ცვლად შემოუღია.

მ. ნათაძე 1891 წლის იანვარში მოულოდნელად გარდაიცვალა.

მ. ნათაძის ნაცვლად ბათუმის ქართულ სკოლაში გამგე-მასწავლებლად დაინიშნა მიხაკო შარაშიძე, რომელმაც ექვსი წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურა აჭარის მოსახლეობას. მ. შარაშიძის კანდიდატურა ილია ჭავჭავაძის მიერ იქნა შერჩეული, ილიამ იცოდა, რომ კარგ მასწავლებლებზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართებოდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ამიტომაც მის სიცოცხლეშივე ბათუმის სკოლის მასწავლებლებით დაკომპლექტების საკითხს დიდი მოუცლევლობის მიუხედავად თვითონვე განაგებდა.

მიხაკო შარაშიძე ილიამ ბათუმში გამომგზავრებამდე შემდეგი სიტყვებით დაარიგა: „ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხისმგებელ ადგილზე გამეგზავნე, იმედია გაამართლებ ჩემს ნდობას, იყავი წყნარი და მშვიდი, როგორც მტრედი, ხოლო დაკვირვებული და ეშმაკი, როგორც გველი, დიდი სიფრთხილით არის მუშაობა საჭირო ქართველ მუსულმანებს შორის. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები — ჩვენი ძმები მეტად ნიჭიერი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რათა მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. იარე საყავებში ნუ, დაერიდები, სარდაფებში, მეჩეთში და ერთი სიტყვით იქ, სადაც ქართველ მუსლიმანებს სჩვევიათ თავის შეყრა. დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრივ წერა-კითხვასთან ერთად თუ მათ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“. ამ დარიგებაში ნათლად სჩანს ილიას რეალური მიდგომა საქმისადმი და მისი განუსაზღვრელი სიყვარული აჭარლებისადმი.

ბათუმში ქართული სკოლის გამართულად მუშაობამ დიდი დაინტერესება გამოიწვია სამუსლიმანო საქართველოს ყველა რეგიონში. განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა ამ მხრივ შავშეთის ყოფილმა მეფობელმა ნური ხიმშიაშვილმა.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. ფრენკელი, რომელიც 1878 წელს რუსეთის არმიას შემოყვა ბათუმში, ნური ხიმშიაშვილს შემდეგ დახასიათებას აძლევს: „ნური ხიმშიაშვილს დიდი ნდობა ჰქონდა თავის

ხალხში, ითვლებოდა განვითარებულ ადამიანად. მიუხედავად იმისა, რომ მეთაურობს ოსმალეთის მილიციას, დიდი ხანია ურთიერთობა აქვს რუსეთთან, წინასწარი მოლაპარაკებით მან თავისი ათასეული დაითხოვა, თურქეთის სარდლობას კი აცნობა, ჯარისკაცები სახლში გაიქცენო“... ნური ხიმშიაშვილი ამასთანავე სურსათ-სანოვავით ამარაგებდა რუსეთის ჯარს.

ნური ხიმშიაშვილმა იცოდა, რომ მისი ოცნების განხორციელება დამოკიდებული იყო საქართველოს სულიერ მამაზე ილია ჭავჭავაძეზე, ამიტომაც ნური ხიმშიაშვილმა დიდ ილიას 1882 წლის 31 მარტს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „...მოკლე ხანში ვტოვებ ბათუმს და მივდივარ ჩემს მამულში, შავშეთის მაზრაში.

... მე მსურს შავშეთში სკოლა დაარსდეს, რათა იქ მცხოვრებთა მიეცეს საშუალება აღზარდონ თავისი შვილები და ასწავლონ მათ ჩვენი დედა-ენა... რაც შეეხება სახლსა სკოლისათვის და მასწავლებლებისათვის, მე მივცემ მუქთად სადგომს და მის მოწყობილობას და ვალად ვიღებ შეგკრიბო ყმაწვილები რიცხვით 60-80, ღარიბებსა და ობლებს მე თვითონ მივცემ სარჩოს... იმედი მაქვს ყოველივე ამაზე გვაცნობებთ თქვენს გადაწყვეტილებას და შეძლებისამებრ დაგვეხმარებით“. მოგვიანებით შავშეთში მართლაც დაარსდა სკოლა, რასაც ილიამ და ნური ხიმშიაშვილმა ჩაუყარეს საფუძველი.

1893 წლის დასაწყისში ბათუმის პირველი ქართული სკოლისათვის გადაწყდა საკუთარი შენობის აგება, რისთვისაც საჭირო იყო მშენებლობისათვის თანხის გამოძებნა და მიწის ნაკვეთის გამოყოფა. აღნიშნულ საკითხთა გარკვევის მიზნით ბათუმში ჩასვლისთანავე სერგეი მესხმა სკოლის მასწავლებლის მ. ნათაძის საშუალებით გაიცნო ის პირები, რომლებიც ბათუმის ოლქში ავტორიტეტით სარგებლობდნენ, აღნიშნულთან დაკავშირებით ს. მესხი გადმოგვცემს: „...სასიამოვნო შედეგი ამ ლაპარაკისა ის იყო, რომ მე დავრწმუნდი იმათ გულწრფელ მოქმედებაში, რომ იმათ მართლა ჰსურთ სკოლისათვის ადგილიც მოგვცენ და სასკოლო შენობის აგებაშიც დაგვეხმარონ.

აღრე, რუსის ჩასვლამდინ ბათუმში, მაჰმადიანებს ჰქონდათ იქთავიანთი საკუთარი სასწავლებელი, რომელსაც ორას საუენზე საუკეთესო ადგილი ეჭირა ზღვის ნაპირას. ეს ადგილი რუსის მთავრობამ წაიღო დამოუნიისათვის და იქ რომ მაჰმადიანთ სკოლა იყო, ის კი დაანგრია.

ახლა ბათუმის ბეგები და საერთოდ ყველა მაჰმადიანები თხოულობენ, რომ ან იმ ადგილის ფასი მოგვცესო და ან ამის საფასური ადგილი ბათუმის რომელსამე სხვა უბანშიო — ეცადეთ, ამოიგეთ ეს ადგილიო, ან იმის სამაგიერო სხვა ადგილი გამოართვით მთავ-

რობასაო, ჩვენ ეს ადგილი დავვითმია „წერა — კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ და ჩაიბარეთო.

... მე სრულიად საიმედოთ და თითქმის გათავებულად მიმანია ეს სასკოლო ადგილის საქმე, უეჭველია, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ იქ საკუთარი ადგილი გვექნება“.

სკოლისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის საკითხი გაჭიანურებულია, ამიტომაც მემედ აბაშიძის მამამ იბრაიმმა 1883 წლის 19 თებერვალს თბილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნულია: „ჩვენ ძმები ვართ, ისტორიული უკუღმართობით თურქეთის ხელში ჩავარდნილი და ახლა გამოხსნილი. ჩვენ წინათ გვქონდა საკუთარი სკოლა. იგი დაანგრეს და ვიღაც ჩინოვნიკმა ხელი მოითბო. მიწის ფართობის დაბრუნებას ვეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, ამ საქმის დაბოლოება თქვენ უფრო შეგიძლიათ. ჩემი წერილი არ ჩაითვლება კერძო წერილად, არამედ იგი შეიცავს ბათუმის მაჰმადიან ქართველების აზრს და შეხედულებას“. იქვე გკითხულობთ: „როცა სკოლისათვის საკუთარი შენობის ასაგებად მიწის ნაკვეთის შოვნის საქმე გაძნელებულა, ზუსტად აბაშიძეს 27 აპრილს სპეციალური ბარათი გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის, შეუტყობინებია — „ჩემი მამულიდან მიწას შევწირავ ბათუმის სკოლის ასაგებადო“ და მართლაც მან პირობა შეასრულა და სკოლის შენობისათვის გამოყო უსასყიდლოდ მიწის ნაკვეთი, სადაც ეხლა ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 ქართული სკოლა არის განლაგებული.

სკოლის მშენებლობისათვის თანხის გამოძებნის მიზნით გრიგოლ ვოლსკიმ და სერგეი მესხმა 14 იანვარს საფუძველი ჩაუყარეს ნინოების დღისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო საღამოს გამართვას. პირველი საღამო გაიმართა 1894 წელს, აღნიშნულთან დაკავშირებით დავით კლდიაშვილი გადმოგვცემს: „იგი არაჩვეულებრივი იყო ბათუმისათვის, თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია და საღამო დიდებულად ჩატარდა. ვებერთელა საზოგადო საკრებულოს დარბაზი ზღაპრულად იყო მორთული, ელექტრონი, რაც მაშინ იშვიათი იყო, უხვად ანათებდა მთელ საკრებულოს... საღამოზე მოწვეული იყო საყვარელი მეოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზე დაუხვდა მთელი ქართველობა... აკაკიმ საღამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და რა თქმა უნდა დიდად აღაფრთოვანა ხალხით გატყედილი დარბაზი.

საღამომ დიდი ფული შემოიტანა — სამი ათასზე მეტი, თოთხმეტი იანვრის საღამო — ნინობა, მაცოცხლებელ წყაროდ შეიქმნა სასწავლებლისათვის, გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა...”

მოზიდული თანხით 1895 წელს აშენდა ბათუმის პირველი ქართული სკოლის კაპიტალური შენობა და შეძენილი იქნა მისთვის საჭირო დანადგარ-მოყწობილობანი.

1997 წლის იანვრის თვეში ჩემი ინიციატივით ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აღვადგინეთ საღამო მიძღვნილი ნინოობისადმი, რომელიც ტრადიციულად უფრო დიდ მასშტაბში ჩატარდება ყოველწლიურად.

ბათუმის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ ქალაქის მმართველობა დავალებული ჰქონდა ბათუმის ოლქის უფროსს, ხოლო მთელი საქალაქო მეურნეობის საქმიანობას უძღვებოდა საპოლიციო სამმართველო.

1878 წლიდან ქ. ბათუმი გამოცხადდა თავისუფალ სავაჭრო ზონად და მას მიენიჭა „პორტო-ფრანკოს“ სტატუსი, ამან გამოიწვია უცხოური კაპიტალის მოზიდვა და პარალელურად ქალაქში იწყება მშენებლობის აღმავლობა.

ქალაქ ბათუმს 1888 წლის 28 აპრილს მიეცა თვითმმართველობის სტატუსი და 1888 წლის 25 აგვისტოსა და 2 სექტემბერს ჩატარდა ქალაქის სათათბიროს /საბჭოს/ ხმოსანთა პირველი არჩევნები, სულ არჩეული იქნა 36 ხმოსანი, მათ შორის არჩევნებში ყველაზე მეტი — 11 ადგილი დაიკავეს ქართველებმა, მეორე ადგილზე 10 ხმით გავიდნენ სომხები და ა. შ.

ქალაქის გამგეობა 4 წლის ვადით დაკომპლექტდა შემდეგნაირად: ქალაქის თავი - კ. დ. გავროვსკი, გამგეობის წევრები დ. ი. ბიკოვი, ა. ი. კოიანდერი და ი. ს. შადინოვი, ქალაქის საბჭოს მდივნად დაინიშნა სერგეი მესხის ძმა ივანე მესხი, რომელსაც ქალაქის მმართველობის ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა. ახლადშექმნილ გამგეობას ძალიან რთულ ვითარებაში უხდებოდა მუშაობა, რადგანაც საჭირო იყო საქალაქო მეურნეობის ახლად შექმნა.

ქალაქის სათათბიროს მეორე არჩევნები უნდა გამართულიყო 1892 წელს, მაგრამ იგი გადატანილი იქნა 1894 წლისათვის.

ილია გრძნობდა, რომ ახლადშემოერთებული აჭარა აღორძინების გზას დაადგებოდა, თუ ძალაუფლებას აიღებდა ხელში ქვეყნის ბატონ-პატრონი ქართველობა. ამის მიღწევა შეიძლებოდა მაშინ, თუ ქალაქ ბათუმის თვითმმართველობაში გავიდოდა რაც შეიძლება მეტი ქართველი, ამისათვის კი საჭირო იყო ფართო მასშტაბის ფართო მუშაობის წარმართვა და ამ მუშაობას სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე, მას მხარში ამოუდგნენ იმ დროს ბათუმში მომუშავე გრიგოლ ვოლსკი, დავით კლდიაშვილი, ივანე მესხი და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივი ქართველი პატრიოტები, რომლებმაც 1895 წლის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისათ-

ვის ფასდაუდებელი მუშაობა გასწიეს და შედეგად საუკეთესო
მიიღეს, არჩევნებში გაიმარჯვეს ქართველებმა და მიიღეს ხმების
უმეტესი ადგილი, არჩევნებზე დასასწრებლად თბილისიდან ჩამოვიდა
ილია, რომელიც ერთი წუთითაც არ მოშორებია საარჩევნო ყუთს,
ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება საკმარისად არ
ჩაითვლებოდა, თუ ქალაქის თავად არ იქნებოდა არჩეული ქართველი,
ამისათვის საჭირო იყო ისეთი კანდიდატის გამოძებნა, რომელიც
სიყვარულით სარგებლობდა ქართველ ერში და ავტორიტეტით
ხელისუფლებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქალაქის თავად
გაყვანა გაჭირდებოდა. ასეთ კანდიდატად დასახელდა ლუკა ასათიანი.
მას მხარტვეს ბათუმის საზოგადოების წერილობითი თხოვნა,
რომელსაც ხელს აწერდა 21 კაცი, თავდაპირველად ლუკამ უარი
განაცხადა შეთავაზებულ თანამდებობაზე. მიზეზად დაასახელა ასაკი
და გადაღლილობა, დიდი თხოვნის შემდეგ ლუკა დაითანხმეს. მან აღწ-
ივნა: „თუ ამგვარ საიმედო პირად ვარ მიჩნეული, მადლობის მეტი რა
მეტქმის და სულითა და გულით ვემსახურები, რამდენადაც ჩემი
ძალღონე შემაძლებინებს“ /დავით კლდიაშვილი „ჩემი ცხოვრების
გზაზე/ და მართლაც მან ეს აღთქმა ბრწყინვალედ შეასრულა და
ბათუმელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა, რაც დღესაც შეუცვლელ-
ად შენარჩუნებული გვაქვს, ლუკას ბათუმში საცხოვრებელი სახლი
უყიდეს, რითაც ის ცენზიანი მგოსანი გახდა.

დიდი ბრძოლის შემდეგ ლუკა ასათიანმა კენჭისყრაში გაიმარჯვა.
საქალაქო საქმეების დიდი მცოდნე პირველი დღიდანვე განახლებული
ენერგიით შეუდგა ქალაქის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის
საქმეს. მისი წარმატებები დიდად აღიზიანებდა მის მტრებს.

1898 წლისათვის დაინიშნა ახალი არჩევნები. განვლილ სამ წელ-
იწადში ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა, მმართველობამ დიდი უნარი
გამოიჩინა, ქართველმა ხმოსნებმა დაამტკიცეს, რომ ისინი მზად არიან
დიდი საქმეების საკეთებლად. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა
საშიში იყო, რადგანაც რუსობამ და სომხობამ გადაწყვიტა ახალ
არჩევნებში რევანში აეღოთ, დამარცხების შემთხვევაში ქართველობა,
როგორც წინათ დაჩაგრულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამიტ-
ომაც ქართველთა შეგნებული ნაწილი გაერთიანდა, შეიგნო, რომ
არჩევნებში დამარცხება სიკვდილის ტოლფასი იყო, რადგანაც ქალაქ-
სა და ხალხს უკეთ ვერავინ მოემსახურებოდა, ვიდრე სათავეში
მოსული ქართველი მოღვაწენი. ამიტომაც გაჩაღდა დიდი მუშაობა,
რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ლუკა ასათიანი, გრიგოლ ვოლსკი,
ივანე მესხი, ზია აბაშიძე, დავით კლდიაშვილი და სხვა მრავალი.

არჩევნები მოეწყო 1898 წლის 18 ოქტომბერს და 15 ნოემბერს.
არჩეული იქნა 41 ხმოსანი. უმეტესობას შეადგენდა ქართველობა, მათ

შორის ხმოსნებად არჩეული იქნენ ზია და ფეხელი აბაშიძეები ჩემი აბაშიძის ბიძაშვილები/.

1899 წლის 7 იანვარს მოეწყო ქალაქის თავისა და გამგეობის წევრების არჩევნები, ქალაქის თავად არჩეული იქნა ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრად — გრიგოლ ვოლსკი, მდივნად კი — ივანე მესხი.

1902 წელს სამუშაოზე წასვლის წინ, დილით ლუკა ასათიანი უცებ გარდაიცვალა. ლუკას გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ქართველები. საჭირო შეიქმნა სასწრაფოდ ქალაქის თავის ახალი კანდიდატურის გამოძებნა, აქაც ილიამ იმარჯვა და მისი რეკომენდაციით ქალაქის თავად აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე ანდრონიკაშვილი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1902 წლიდან 1916 წლამდე იმუშავა, ილიას მიერ შერჩეულმა კანდიდატებმა სრულად გაამართლეს მისი იმედები, მათი მონდომებითა და შრომისმოყვარეობით ბათუმი სულ ოცი წლის განმავლობაში პატარა, ბინძური სოფლიდან თანამედროვე ევროპული სტილის ქალაქად გადაიქცა. მათმა დიდმა ძალი-სხმევამ განაპირობა ბათუმში ქართული ტრადიციების დამკვიდრება.

ილიას, გადმოცემის თანახმად, არ უყვარდა სხვა რეგიონში მოგზაურობა, მას სახლში მჯდომარე კაცს ეძახდნენ. ამის შესახებ სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს: „ილიას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: შინ მჯდომი იყო, გასვლა და მოვლა საქართველოს კუთხეებისა არ უყვარდა. როდესაც აკაკი ყოველ წელს შემოივლიდა ხოლმე მთელს საქართველოს, ილია თავის საგურამოს არ გამოსცილებოდა... ოცი წელი ვიცხოვრე გორში და ერთხელ არ მინახავს ილია ჩვენთან მოსული“.

მაგრამ ილიასათვის აჭარა სულ სხვა კუთხეს წარმოადგენდა, აჭარა და მისი მცხოვრებლები საჭიროებდნენ მის განსაკუთრებულ მამაშვილურ მეფარველობას და მან ეს დიდი პატრიოტული მისია პირნათლად შეასრულა. ის ხშირად ეწვეოდა ხოლმე ბათუმს, მის გარეშე არც ერთი საჭირბოროტო საკითხი არ გადაწყვეტილა აჭარაში. ერთიანი საქართველოსათვის და განსაკუთრებით მრავალტანჯული აჭარისათვის ილიაზე მეტად არავის არ შესტკიოდა გული. მან იხსნა საქართველო ურთულეს პერიოდში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსი არ გააჩნდა.

ეროვნული საქმის გაცემების პერიოდში ილიას გვერდზედ ყოველთვის ედგნენ პატრიოტი აჭარლები: გულო კაიკაციშვილი, შერიფ ხიმშიაშვილი, ნური ხიმშიაშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, იბრაიმ და ხუსეინ აბაშიძეები, მემედ აბაშიძე და სხვა პატრიოტი მოღვაწეები.

აჭარლებმა გულითა და სულით შეიყვარეს ილია ჭავჭავაძე და ამიტომაც მათთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა დიდი ილიას ვერავალი მკვლელობა. აჭარელთა მწუხარება გულის სიღრმიდან ამოხეთქილი

სიტყვებით გამოხატა მემედ აბაშიძემ სამხიმორის ღებეშაში, სადაც აღნიშნულია:

„ქართველი მაჰმადიანები, აღშფოთებული ნიჭიერის მგოსნის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილიკო ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა. ქართველთა საუკეთესო ძალნი უნდა შეერთდნენ ამ ბოროტმოქმედების გამოსაკვლევად, რომ ამით მაინც შეიმსუბუქონ ეს დიდი სახალხო მწუხარება“.

ასე დასრულდა ქართველი ბუმბერაზის ილიას ღრმად შინაარსიანი ცხოვრებისეული გზა. რომელიც ქართველი ერის კეთილდღეობასა და მის ერთიანობას ემსახურობდა.

დღეისათვის ილიას ოცნებამ ფრთები შეისხა, საქართველო დამოუკიდებლობის გზას ადგია და აშენებს თავისუფალსა და დემოკრატიულ სახელმწიფოს, რაშიც აჭარას თავისი კუთვნილი წვლილი შეაქვს, ჩანაფიქრი რეალურ საქმედ რომ იქცეს, არ უნდა დავივიწყოთ მისი გაფრთხილება:

„... დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გაიმართოს, გამაგრდეს. ამას არა ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს. ასეთი ერი, ვიმეორებ, დაარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზევით აცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს...“

ბათუმელთა ვაღია რომ იმ სახლში სადაც ბათუმში ჩამოსვლისას ილია ჭავჭავაძე ჩერდებოდა /გრიგოლ ვოლსკის ყოფილი საცხოვრებელი სახლი, მ. აბაშიძის პროსპექტი №52/ რომელზედაც ჩემს მიერ გაკრულია მემორიალური დაფა ილიას ბარელიეფით, გაიხსნას სახლ-მუზეუმი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისადმი, სადაც წარმოჩინდება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ქართველ მამულიშვილთა საქმენი, რომელმაც გაუკეთებელი გააკეთეს აჭარის აღორძინებისათვის.



ილია ჭავჭავაძე

დაე თუნდ მოგკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;

რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.



გამოსათხოვარი სიტყვა

ახალმოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძვეს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის დასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხერების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარას გამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! — გარემოც! გადაგება ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ველარც არას დააკლებს და ველარც რაიმეს მიუმატებს. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარა ნახავ!

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზი ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს! და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამატკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას: თანასწორობას, ძმობასა და სიყვარულს!

მშვიდობით, ძმაო!... საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!...



სამშობლოს კიანწო და ღანწო!

9 ამ თვეს უღმრთოდ და ვერაგულად სამშობლოსათვის წამებული დიდი ილია მშობელმა მისმა, როგორც ჭეშმარიტი ღვიძლი შვილი, ჩაიკრა სამარადისოდ თავის მშობლიურ გულ-მკერდში!... და გულ-ამოსკვნილი ცხარისა ცრემლებითა და ნაღვლიანისა ხმითა მიმართა თვის სანუგეშო და საიმედო შვილის ილიას მკვლელებს — ბოროტ ავა-ზაკებსა:

„აწ თქვენთვის არამი იყოს ჩემი ამაგი, თქვენდამი ჩემი ზრუნვა, შრომა და ღვაწლი — ჩემი მშობლიური ტკბილი ძუძუ, რითაც გაიკვებენით! შიშვლები შეგმოსეთ, ობლები დაგავაჟაკეთ, ცოტათ თუ ბევრად ცხოვრების სასპარეზო მოედანზედ გამოგიყვანეთ, იქნებ მომწველებდით და ჩემს ძველ წყლულებს მალამოს დამიდებდით და მით ტანჯვა-მწუხარებას შემიმცირებდით და დამამედებდით — მეტიკი, მაგრამ ამაოდ!... თქვენისთანების შობასა, ქვა რომ მეშობა, იქნებ სამშობლოს სახეიროდ სადგომებზედ ანუ გზატკეცილებზედ მაინც მოხმარებოდა, ხოლო ამგვარი შემარცხვენი, საზარელი და თავზარდამცემი შემადრწუნებელი საქციელი არ მომხდარიყო?!

თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემის ცხოვრებისა!... თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემის არემარისა!... თქვენ დაჰგმეთ ჩემი ვინაობა!... თქვენ უარჰყავით ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეული ისტორიის საზღვარს იქითა!... თქვენ დამასახიჩრეთ!... თქვენ დამამახინჯეთ!.. ამომთხარეთ შანთებით ორივე თვალები!.. ამომგლიჯეთ ენა, გულ-ღვიძლი ისე, როგორც უღმობელმა ჯალათმა!...

აწ ძალ აღარ მიძს! დასტკბით ჩემი სისხლითა, გაიხარეთ სამშობლოს მტრებო!..“

აი ამგვარის ცხარე ცრემლებითა და წყევლა-კრულვით მოგმართ-ათ სამშობლომ ილიას სამარისაგან, ამ გულშემზარავი საქციელის გამო, მაგრამ მშობლიური კილოთი გამონათქვამი ნაღვლიანი გოდება თქვენ ყურთა სმენას ეჩოთირება! და არა გასურთ გაიგოთ ის, რაც თქ-ვენთვის საინტერესო არაა და რაც თქვენთვის უმნიშვნელოა!... ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა გადაჭარბებული, რა მახინჯი და რა თავზარ-დამცემი მოვლენაა... განა მოსასაზრებელი უნდა ყოფილიყო ესეთი საზიზღარი საქციელი?... ვინმე ვარდის კონითა რომ შეხებოდა ილიას, ესეც არ ეპატიებოდა!... მტრებზედ შესატევი იარაღი იხმარებოდა განა

სამშობლოს საუკეთესო შვილზედ? სირცხვილი თქვენს ვაჟკაცობას!
განა დღეის იქით შეგიძლიათ სთქვათ, რომ ჩვენც ვართ ადამიანებიო?
არა! ამის თქმის უფლება დღეიდან სამუდამოდ დაკარგული გაქვთ!

აბა ერთი მითხარით, რას ერჩოდით იმ მწუხარს და მშვიდობიან მოხუცს? რა დააშავა მან? რამ მოგაფიქრებინათ და გადაგაწყვეტინათ ეს შხამიანი საქციელი? იქნებ იმისთვის მოჰკალით იგი, რომ დაუღალავად იბრძოდა სამშობლოსათვის? იქნებ იმისათვის მოჰკალით ის დიდებული მეოსანი, რომ იგი დიდს თაყვანს სცემდა დედა ენას და თავისი ქვეყნის ერს? იქნებ იმისთვის აწამეთ ის მეცნიერი, რომ იმან ყველას ამცნო და შთაუწერა განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა და ეროვნული გრძნობანი და სიყვარული?...

შეცდით თქვენ უგუნურობო! შეცდით და ვერ გაიგეთ მისი ცხოვრება, მისი მიმართულება, მისი სერიოზული აზრები და ოღნავადაც ვერ დააფასეთ იგი! მისთანა სულმნათ მოღვაწეებს სხვა განათლებულ ქვეყანაში სიცოცხლეშივე ძეგლს უგებენ, ხელით ატარებენ და სულში ისმენ. თქვენ კი გულს უგმირავთ და ზედმეტ ჩირქსა სცხებთ! რისი იმედი გაქვთ? თუ დღეს ცხოვრების ჩარხი მრუდეთ ტრიალებს, ნუ გგონიათ, რომ ეს ხანგრძლივი იყოს! ცხოვრება მალე ჩავარდება კალაპოტში, ის მალე დაიწყებს ჩვეულებრივად ტრიალსა და პირუთენელად აღნუსხავს ყოველივე იმას, რაც თქვენ ჩაიდინეთ, დამსახურეთ!

დიალ! დიდი დანაშაული მიგიძღვით როგორც ილიას, ისე სამშობლოს წინაშეც, მაგრამ ჯერ კიდევ საშუალება გაქვთ, ოღონდაც კი გულწრფელად მოინდომეთ და ხმამაღლა აღიარეთ საქვეყნოდ:

„ჩვენ სინდისმა გვიღალატა, უგუნურობამ შეგვაცდინა, შურმა დაგვძლია, გთხოვთ მოგვიტევოთ; — თქვენ სულგრძელი და მომთმენი ბრძანდებით, მუხლმოდრეკილი თქვენს წინაშე შენდობას ვითხოვთ — გვაბატით, შეგვინდეთ!“ ვიცი და მჯერა: ილია ისეთი სულგრძელი და გრძნობამაღალი არსება არის, რომ გაბატებთ და თან სამშობლოს წინაშეც იშუამდგომლებს, რომ თქვენ აქაც იქმნეთ შენდობილნი!

აი, თქვენდამი ჩემი რჩევა და ღარიგება, თქვე უბადრუკო და მუხანათნო!



ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალბით, ლამაზ ფალბით
მორთული და მშვენიერი
უწყინარი, უჩინარი,
ქედდრეკილი მადლიერი.
უშფოთველი, ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი
ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი
ნახედნი და ღონიერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი, ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ღმობიერი..
თვალაბმული, თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი:
ყველა ყრუი, ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმბიერი...
მცირე დიდი ყველა ფლიდი,
ცულლუტი და მანკიერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მტვერწაყრილი, თავდაბრილი,
ყოვლად უქმი უდიერი..
უზღუდონი, გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი...
მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი...
არ რის მქონე, არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!



მემედ აბაშიძე ილიას მკვლელობის შესახებ

არ ყოფილა ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა რომელსაც მემედ აბაშიძე არ გამოხმაურებოდა.

განსაკუთრებით დიდი ტკივილი მიაყენა მას პოეტის, პროზაიკოსის, პუბლიცისტის, კრიტიკოსის, ისტორიკოსის, განმანათლებლის, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის უდიდესი მოღვაწის, ეროვნულ-განმანათლებელის მოძრაობის ლიდერის ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ თანამემამულეთა მიერ 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან.

მემედ აბაშიძე მაშინ სამძიმრის დებეშაში წერდა:

ქართველი მაჰმადიანები, აღშფოთებული ამ საზარელი მკვლელობით „მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა. ქართველთა საუკეთესო ძალნი უნდა შეერთდნენ ამ ბოროტმოქმედების გამოსაკვლევად. /ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, თბ. 1907, გვ. 260/

1907 წელს კი „ნიშადურში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით „სამშობლოს დანნო და ძმანო“. იგი წერდა: „უღმრთოდ და ვერაგულად სამშობლოსათვის წამებული დიდი-ილია მშობელმა მისმა, როგორც ჭეშმარიტი ღვიძლი შვილი, ჩაიკრა სამარადისოდ თავის, მშობლიურ გულ-მკერდში და გულამოსკვნილი ცხარისა ცრემლებითა და ნაღვლიანისა ხმითა მიმართა თვის სანუგეშო და საიმედო შვილის ილიას მკვლელებს — ბოროტ ავაზაკებსა:

აწ თქვენთვის არამი იყოს ჩემი ამაგი, თქვენდამი ჩემი ზრუნვა, შრომა და ღვაწლი, ჩემი მშობლიური ტკბილი ძუძუ, რითაც გაიკვებენით! შიშვლები შეგმოსეთ, ობლები დაგაფაჟაყცეთ, ცოტად თუ ბევრად ცხოვრების საასპარეზო მოედანზედ გამოგიყვანეთ, იქნებ მომშველბოდით და ჩემს ძველ წყლულებს მალამოს დამიდებდით და მით ტანჯვა-მწუხარებას შემიმცირებდით და დამაიმედებდით-მეთქი, მაგრამ ამაოდ! თქვენისთანების შობასა, ქვა რომ მეშობა, იქნებ სამშობლოს სახეიროდ სადგომებზე ანუ გზატკეცილზედ მაინც მოხმარებოდა“.

შემდეგ ნათქვამია, რომ თქვენ ამომთხარეთ შანთებით თვალები, ამომგლიჯეთ ენა, გულ-ღვიძლი ისე, როგორც უღმრთელმა ჯალათებმა, სამშობლოს მტრებმა... „ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს რა გადაჭარბებული, რა

მახინჯი და რა თავზარდამცემი მოვლენაა. ვინმე ვარდის ფონითა რომ შეხებოდა ილიას, ესეც არ ეპატიებოდა. მტერზედ შესატყვისი იოალი იხმარებოდა განა სამშობლოს საუკეთესო შვილზედ?... იქნებ იმისთვის აწამეთ ის მეცნიერი, რომ იმან ყველას ამცნო და შთათუნერგა განუჩეველად წოდებისა და მღვდმარეობისა ეროვნული გრძნობანი და სიყვარული?“.

კითხულობ ამ წერილს და რწმუნდები, რომ მჭერმეტყველების ნიმუში გიღვეს წინ. განცდა სულ უფრო იძაბება, აზრები გეხსნება, კეთილშობილების, მამულისათვის თავდადების შეგრძნება გეუფლება, მატულობს ზიზღი გარეწარ-ნაძირალებისადმი.

— „მისთანა სულმნათ მოღვაწეებს სხვა განათლებულ ქვეყნებში სიცოცხლეშივე ძეგლს უდგამენ, ხელით ატარებენ და სულში იძვრენ... თუ დღეს ცხოვრების ჩარხი მრუდეთ ტრიალებს, ნუ გგონიათ, რომ ეს ხანგრძლივი იყოს! ცხოვრება მალე ჩავარდება კალაპოტში, ისევ დაიწყებს ჩვეულებრივად ტრიალს და პირუთვნელად აღნუსხავს ყოველივე იმას, რაც თქვენ ჩაიდინეთ, მოიხვეჭეთ, დაიმსახურეთ“... — წერს მემედ აბაშიძე.

დასასრულ ილიას უბადრუკ და მუხანათ მკვლელებს მოუწოდებს „გულწრფელად მოინანიონ და ხმამაღლა აღიარონ საქვეყნოდ ეს საზარელი დანაშაული“ /იქვე გვ. 222-225; ნიშადური, 1907 №7 გვ. 3/

მემედ აბაშიძეს პირადი ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. კარგად იცოდა მისი დამსახურების შესახებ ჩვენს მხარეში კულტურული ცხოვრების განვითარების, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურის გაშენებისა და ბაქოს ნავთობის ბათუმიდან ტრანსპორტირების საქმეში. ორივე ამ დარგმა ნამდვილად ააყვავა აჭარა. რომ ი. ჭავჭავაძე ყოველთვის იყო აჭარისა და აჭარლების უერთგულესი ქომაგი. ამბობდა კიდევ: „არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთ, დღეს მაჰმადიანობის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმით და ქართველი ჩვენდა სასიქადულოდ კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი“... /ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. 4 გვ. 11 თბ. 1987/

მ. აბაშიძეზე უდიდესი გავლენა იქონია ი. ჭავჭავაძის სტატიამ „ოსმალოს საქართველო“ — „არც ერთობა ერისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალავს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად

მებრძოლი და ერთდამიგე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულოვნებით, ერთგულობით ძლიერია. თუნდ დროთა ზრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს — მაგრამ მაინც ღრვეულთა შორის იღუმალი შემსჭვალება, იღუმალი მიმზიდველობა იმდენად სუფევს, რომ სამყოფია მხოლოდ ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“ /გაზ. „ივერია 1877, №9 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1984, გვ. 547-548/

დიდი ილია ერის ისტორიულ ერთიანობას უყოყმანოდ აყენებდა რელიგიურ ფაქტორზე მალსა. ამიტომაც ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა მომავალი შემსჭვალება — შეერთება გვიწინასწარმეტყველა, კანონზომიერ აქტად ჩათვალა იგი.

აქედან გამომდინარე, მ. აბაშიძემ ნათლად განჭვრიტა ის, რომ დედასამშობლოს თითქმის 400 წლით მოწყვეტილ აჭარის ღირსეულ შვილებს შორის არასოდეს ჩამკვდარა ქართული სული, მისი სწრაფვა დედასამშობლოსაკენ. სულ ელოდნენ ისეთ დროს რომ ისევ ამოხეთქილიყო მათში საერთო ისტორია და კვლავაც მძლავრად გაედგა ფესვები ერთსულოვნებას. ასეთი დრო მართლაც დადგა. ეს იყო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, რის შედეგადაც აჭარა საბოლოოდ დაუბრუნდა დედასაქართველოს. პირველი იმპერიალისტური ომისაგან აწიოკებული აჭარლების დაცვა-პატრონობა დედასამშობლომ იკისრა. ეს იყო აჭარლების მტკიცე შემობრუნება მშობლიური ერისაკენ, რაშიც უდაოდ დიდია მემედ აბაშიძისა და მისი თანამებრძოლების ზასან ლორთქიფანიძის, ჰაიდარ აბაშიძის, რეჯებ ნიჟარაძის, აბდულ მიქელაძის, მამა-შვილ თოფან და ყედირ შერგ-აშიძეების, თემურ ხიმშიაშვილის, გულოადა კაიკაციშვილისა და სხვათა ღვაწლი.

ეს რაიმე შემთხვევა-შემსჭვალებაა ასევე აჭარელთა ერთსულოვანი გამოსვლა ქართული ენის დასაცავად 1978 წლის 14 აპრილს, რამაც ქართული ენის დღესასწაულს დაუდო საფუძველი. ამ შეჭირვება-შეერთების წყალობითაა ისიც, რომ აჭარის მოსახლეობამ ბატონ ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით, მშობლიური ერი არაერთგზის იხსნა ზიფათისაგან და ააცილა დიდი სისხლისღვრა, ააშორა დიდი ჟამიანობა.

უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის ანდერძისეული რჩევა-დარიგების საფუძველზე, მ. აბაშიძე უარყოფდა აჭარაში ისლამის საწინააღმდეგო ძალისმიერ ქადაგება-ბრძოლას. გრძნობდა რომ ეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა საქართველოს. მემედ აბაშიძემ პირველ რიგში ეროვნული ერთიანობა, განათლების, კულტურის, მეცნიერების განმტ-

კიცება-დანერგვა, სახალხო მეურნეობის განვითარება და ცხოველური პირობების გაუმჯობესება, აჭარლებში ქართული ეროვნული სილამაზის აღწევა დაისახა მიზნად.

ი. ჭავჭავაძის ფრთხილმა და სამართლიანმა მიდგომამ აჭარლების მიმართ საერთოდ და განსაკუთრებით მათი რელიგიური შემწყნარებლობისადმი, ასევე განაპირობა ის, რომ მ. აბაშიძემ ერთ-ერთმა პირველმა ილიას მკვლელობაში ბრალი ფ. მახარაძეს დასდო: ეს მოხდა 1918 წელს. მაშინ კვლავ იწყეს ი. ჭავჭავაძის სახელის ტალახში გასვრა, რაშიც ფ. მახარაძეც ჩაერია. მ. აბაშიძემ ერის სასიქადულო შვილის აუგად ხსენება ვერ მოითმინა და ამის გამო ფ. მახარაძეს გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში კენი უწოდა. ეს რომ ასე იყო ყველამ იცოდა, მაგრამ ფ. მახარაძეს თვითონ სტალინი მფარველობდა და ამიტომაც არა თუ დასაჯეს, არამედ მაღალ თანამდებობებსაც არ ჩამოაცილეს.

„ბერიას უნდოდა ფ. მახარაძის განთავისუფლება სამსახურიდან, მაგრამ სტალინმა ნება არ დართო“ /ალ. სიგუა, ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე, თბ. 1991 გვ. 46/.

ბერიამ სხვა მხრივაც შეუტია ფ. მახარაძეს, მაგრამ ამოდ. შეშინებულმა ფ. მახარაძემ აღიარა კიდევ, რომ ბერია მის მიმართ სწორია: „ვერაფრით ვერ ამიხსნია როგორ მოხდა, რომ ასეთი უაზრობა დავსწერე... ყველაზე უფრო სერიოზული შეცდომა დავუშვი... ამის შემდეგ მე გადაჭრით გარდავიქმენი“ და სხვა /გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“ 1936,9-10 იანვარი/

ასე და ამრიგად, მეც აღმეძრა ინტერესი ამ საზარელი მკვლელობისადმი და კერძოდ ფ. მახარაძისადმი. მ. აბაშიძის შვილმა ბატონმა იბრაიმმა, მაშინ იგი მშენებლობის №9 ტრესტში მუშაობდა, ჩამაყენა საქმის კურსში და წყაროებზეც მიმიტითა, კერძოდ, ჟურნალ „მოგზაურზე“, ფ. მახარაძის წიგნებზე, ი. ჭავჭავაძის მკვლელობის დოკუმენტების კრებულებზე. ისიც მითხრა, რომ ფ. მახარაძემ მამამისს ყოველივე 1932 წელს გაუხსენა — ფაქტიურად უმუშევარ მ. აბაშიძეს პენსია მოუთხოვია, მაგრამ საქმე თვითონ გაიფუჭაო, უბრძანებია ფილიპე მახარაძეს და უარით გაუსტუმრებია მემედ აბაშიძე.

უკეთ რომ გავიგოთ ფ. მახარაძის მსოფლმხედველობა, უკეთ რომ გავერკვეთ საქმის ვითარებაში, აკაკი წერეთელს დავესესხოთ, რომელიც წერდა რომ უცნაური პუბლიცისტი მარილაძე /„კვალის“ თანამშრომელი ფილიპე მახარაძე — ი.ბ./ ბოსიაცია. ნაცარაშვილობის მეტი არა ეტყობა რა, მაგრამ მაინც „მარილაძეობით“ მოაქვს თავი. ესაა გამოფუტუტებული უზნეო, რომელსაც სოფლის დასაბამი ასევე იმ დღიდან წამს, როცა თვალები გამოჭყლიტა. ასეთნი ამტკიცებენ, რომ ქართველთა წარსული ანუ ისტორია ტყუილია, საჭიროა

მოისპოს, რადგან „მამა-პაპის საფლავსაც კი ნაგავსა და მტყე-
აყრის“. მარილაძე ასეთების ტიპური წარმომადგენელია. ასეთებს
წარსული გველივით ეზიზღებათ და აწმყო ჭირივით ეჯავრებათ. „მაშინ
რაღა გვიყვარს მამა-პაპათა საფლავის მაგინებელი და ვიღაზედ
ზრუნავ თუ თანამედროვეობა გეჯავრება? საიდან გინდა გამოახტუნო
მომავალი? გაგიგონია, ალია მომკვდარა და რომელი ალია და სად, კი
არ იცი“, — დასძენდა ა. წერეთელი.

იქვე გვითხულობთ: „ეტყობა, რომ ბ-ნი მარილაძე ვერ შერიგებია იმ
მოსაზრებას, რომ გიორგი წერეთელს ვერ მოუვიდა კარგი მიმრქმელობა
და ანარეკლის ანარეკლი მიიღო ნამდვილ მარქსელად!... ცრუ მარქსელი
ხარ. საჭიროა ძველის შესწავლა, ცოდნა და არა კეტის ტრიალი
დასამსხვრევად“ /„ივერია, 1903, 5 დეკემბერი, 1904, 30 მაისი და სხვა/

ფ. მახარაძისა და მისი თანამზრახველების წინააღმდეგ
გაილაშქრეს „შურდულმა“ და სხვა გამოცემებმაც: „ჩვენს ქვეყანაში
გაჩნდა ერთი მიმართულება, რომელსაც არ სწამთ და ეზიზღებათ
მთელი ჩვენი წარსული. მიწასთან ასწორებენ მწერლებს, მოღვაწეებსა
და ხალხის მტრებად გამოჰყავთ. ფ. მახარაძეც ზომ „ვეფხისტყაოსანს“
ზღაპრად მიიჩნევდა, ისიც ამისთანების წრეში იყო“ /„შურდული“,
1907 №1 გვ. 6/

1905-1907 წლებში ფ. მახარაძე რედაქტორობდა სოციალ-
დემოკრატების ორგანოს „მოგზაურს“, რომლის მიზანი იყო
მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი იდეების განადგუ-
რება. 1905 წლის 15-22 მაისს გამოაქვეყნა კიდეც „პასუხი“, რომელ-
შიც ერის წინამძღვარს კერძო საკუთრების იდეოლოგს უწოდებს: მის
სისაძაგლეზე მეტი არაფერი მინახავს, არც გამიგონიაო, ამიერიდან
ქართველ მკითხველს საქმე ექნება ქართველ მემამულესთან,
რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისათვის მოუნდო-
მებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებინა. „ჩვენ არა გვგონია,
საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე,
რომელსაც ასე უღობილად მიჰყავდეს ცხოვრებაში გლეხების
გაყვლეფის პრინციპი... მთელი სიცოცხლის განმავლობაში იგი
ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა
ჩაეგდო ხელში, რისთვისაც არაფერს ზოგავდა“.

ი. ჭავჭავაძე კერძო საკუთრების ვაგლახი იდეოლოგია, მთელი
სისასტიკით გაყავს ცხოვრებაში კერძო საკუთრების სისტემა, მზადაა
დაკარგოს სინდისი, პატიოსნება, შეძლება. გლეხი ადამიანად არ
მიაჩნია“, „საგურამოს ცნობილ გმირს“, „დიდბუნებოვან გვამს“,
„სისაძაგლე არ უნდა ეპატიოს“, პრესის დანიშნულებას იგი იმაში
ხედავდა, რომ სიმართლისათვის გზა აეჩქია, ჭეშმარიტება დაეფარა“,
„ჭავჭავაძის ღვაწლი ჯაშუშობის ასპარეზზე მარტო ამით არ თავდება,

გაშუქების როლი მას ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისლბორცებული... ილიაზე მეტი გაბეზლობა არ ჩაუდენიათ გაშუქებაში განთქმულ გრინგმუტს, მეშჩერსკის, კომაროვსა და გინდ პალმს! ილია თურმე ლექსებს წერდა, წიწამურში მას დაესხნენ და მოკლეს /„მოგზაური“, 1905 15-22 მაისი, ფ. მახარაძე, თხზ. ტ. 2, გვ. 141-153 280-283 365/ იმის გამო, რომ ბერბიჭაშვილი, ჯაში და სხვები ფ. მახარაძის და სხვათა დავალებას ასრულებდნენ, ისინი კარგა ხანს არავის დაუსჯია, მათი მამხილებელი მასალებიც გაუსაიდუმლოებიათ, მაგრამ საზარელი ბოროტება ამით მაინც არ დაფარულა, საპენსიო კომიტეტის წევრს იოსებ იმედაშვილს სახლში უცნობი წვევია და პენსიის გადიდება უთხოვია: ამაგს არ მიფასებენო. რა ამაგი გაქვს ასეთიო, — უცნობმა სიამაყით უბასუხა: „მე ილია ჭავჭავაძე მოგვალა, აი ამ ხელით ვესროლე ბერდანკაო“. ელდანაკემ ი. იმედაშვილს უცნობი თავისი უფროსის შ. ელიავასთვის წარუდგენია. მაინც ვერ მოუთმენია და ილიას მკვლელისთვის „მაგარი მუშტიც უთხლეშა“. ჩემს დაჩაგვრას არ შეგარჩენთო, — დაქადნებია მკვლელი იმედაშვილს და გაქცეულა. ის უცნობი გიგლა ბერბიჭაშვილი იყო. /გ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზაზე, თბ. 1964 გვ. 96-97/

და მაინც, ბერბიჭაშვილი და სხვები 1941 წლამდე ანუ ფ. მახარაძის გარდაცვალებამდე არ გაუსამართლებიათ. მისი დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: „ვინ იყო ის გარეწარი, რომელმაც გაბედა და ილიას მკვლელი სამსახურში მოგაწყო“?

— ფ. მახარაძე — იყო პასუხი — რატომ მოკალით? — იმიტომ, რომ ილია მუშებისა და გლეხების მტერი იყო, ებრძოდა მშრომელი ხალხის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას.

— ვინ შთაგავონათ ეს?

— ყოველ კრება-თათბირზე, რომელსაც ფ. მახარაძე და სხვები მართავდნენ, მხოლოდ ეს სიტყვები გვესმოდა /ა. სიგუა, ვინ მოკლა ი. ჭავჭავაძე, თბ. 1991 გვ. 24, 27/

ნოე რამიშვილის 1919 წელს გადაუწყვეტია კიდევ ფ. მახარაძისა და სხვათა მხილება. ამის დამადასტურებლად ა. სიგუას მოჰყავს ახალი მასალაც, კერძოდ მისი შვილის ა. რამიშვილის მიერ 1939 წლის 23 აგვისტოს ვაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ილიას მკვლელობაში მამა თავიდანვე ბრალს სდებდა ბოლშევიკებს და უპირველეს ყოვლისა იმ საზიზღარ ფილიპე მახარაძეს“ /იქვე, გვ. 68/.

1935-1936 წლებში ალ. სიგუას წამოუწყია ამ და სხვა მამხილებელი მასალების გამომზეურება, რის გამოც ფ. მახარაძეს გამოუძახია და გაუფრთხილებია იგი თავი დაენებებინა ამ საქმისათვის. ამიტომ იყო, რომ ა. სიგუას სტატია ისე ვადაუკეთებიათ როგორც

„ფ. მახარაძეს უნდოდა“ /იქვე, გვ. 4/.

ა. სიგუა ამხელს ოზურგეთელ დ. ჯაშსაც, ილია ჭავჭავაძის მოტაცებას, რომელიც ოხრანკის აგენტის „ჯიგიტის“ სახელით იყო ცნობილი. მას ილიას მკვლელობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ყველაფერი სკოდნია: „მის მიერ ილიას წინააღმდეგ გაშლილი პროპაგანდა-აგიტაცია უდრიდა მკვლელთა გვერდით, თოფით ხელში ღომასა და მოქმედებას“. /იქვე, გვ. 4, 31/.

მოიპოვება სხვა ცნობებიც: ბერბიჭაშვილს უთხრეს კიდეც. ჩვენ გვაქვს 1907 წლის მასალები, რომლებითაც მტკიცდება, რომ ილიას მკვლელი შენ ხარ, რაზედაც ბერბიჭაშვილს უპასუხნია: „ჯაშია მოთავე, ორგანიზატორი /ვ. ძიძიგური, მასწავლებლის მოგონებები, თბ. 1957, გვ. 232, ვ. ძიძიგური, გზები და ადამიანები, თბ. 1965, გვ. 240/.

ბერბიჭაშვილი 1921 წელს დაბრუნებულია ირანიდან, სადაც „რევოლუციონერი“ გახდა, რის გამოც მიიღეს კომპარტიაში. 1937 წელს თანამდებობის კაცი ყოფილა. /იქვე გვ. 233-234/. მკვლელობის მასალების ნაწილი გამოქვეყნდა თბილისში 1938 წელს. აქაც საუბარია „ჯიგიტ“ ჯაშზე, ბერბიჭაშვილსა და სხვებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ნავომარელი ალ. გრეკოვის დაკითხვების ოქმები. იგი ყველგან ადასტურებს, რომ 1907 წლის ზაფხულში ბახველი პ. პერეყინის სახლში გამართულ 16-კაციან საიდუმლო კრებაზე რ. ვადაჭკორიამ განაცხადა: ი. ჭავჭავაძე უნდა მოვკლათ. კითხვაზე რატომო, ასე უპასუხნია: გვიღალატაო.

კრებაზე ისიც ითქვა, რომ ეს გადაწყვეტილება „ცენტრალურ კომიტეტს“ გამოუტანიო, რის გამოც გამოყოფილა 6-კაციანი ტერორისტული ჯგუფი რ. ვადაჭკორიას ხელმძღვანელობით. მკვლელობა ითავა ქურდმა და მძარცველმა დოლიძემ. ამ თათბირს ესწრებოდნენ ანდლულაძე, შავიშვილი, ყლენტი და სხვები /ა. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ. 1938 გვ. 81, 85-87, 95/ აი ამიტომაც, რომ ამ ტრაგედიასთან დაკავშირებული მასალებიდან ირკვევა, რომ „მკვლელობის ძაფები გურიიში მიდიოდა“, რომ ბახვის კრების ორგანიზატორი კი იმ დროს ფ. მახარაძე ყოფილა.

ფ. მახარაძისა და სხვათა მამხილებელი სხვა მასალები აქ უკვე აღარ მოგვყავს. ამ სამარცხვინო მკვლელობის ორგანიზატორები ისედაც მხილებული არიან და ამოძირკვულნი.

ასე გამართლდა მემედ აბაშიძის პროგნოზი, რომელშიც ფ. მახარაძეს იგი კაენს უწოდებს. გამართლდა ისიც რომ ცხოვრების ჩარხი წაღმა შეტრიალდებოდა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა.

ილია ჭავჭავაძე

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ლამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაუინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება.
გრძნობა გრძნობაზედ შეუბოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიათ, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განგუზიარო!...



ილია ჭავჭავაძე და ისტორიული მეცნიერების კვლევის აქტუალური პრობლემები

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშე პროზის უბადლო ისტატი, შესანიშნავი პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფოლკლორის შემგროვებელი და შემსწავლელი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, ეკონომისტი და სოციალოგი, სოფლის მეურნეობის ჩინებული მცოდნე და საბანკო საქმის წინამძღოლი, დიდი ილია ჭავჭავაძე მის მრავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად გვევლინება, როგორც არა მარტო ქართველი ერის მეისტორიე, არამედ მსოფლიო ისტორიის შესანიშნავი მკვლევარიც.

სახელმწიფო, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები თავის გამოხატულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში პოულობდნენ, მათ შორის მხატვრულ და პუბლიცისტურ ლიტერატურაშიც, რომელიც ემსახურება საზოგადოების განვითარების პროგრესს, მის განახლებასა და წინსვლას, ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული და მხატვრული ფორმით ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და მეოცე საუკუნის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ იგი თანამედროვე ეტაპზედაც. აქტიურად ეხმარება — ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე მყოფი საქართველოს გადაუჭრელი პრობლემების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზით მიმავალ ჩვენი სამშობლოს ინტერესებს.

ილია ჭავჭავაძის, როგორც ჩინებული ისტორიკოსის შრომები, მისი ისტორიული მეცნიერების ნააზრევი ყურადღებას სწორედ თანამედროვე ეტაპზე იქცევს, ვინაიდან ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე კაცობრიობის ისტორია და მათ შორის ქართველი ერის ისტორია თავიდან უნდა დაიწეროს; არა მარტო იმიტომ, რომ თითქმის დღემდე არაფერია დაწერილი და გამოკვლეული, ან 70 წლის განმავლობაში ერთპარტიული სისტემის, მარქსიზმის განზომილებით იწერებოდა და ისაზღვრებოდა ისტორიული მეცნიერება, არამედ, შემდეგი უცილობელი ფაქტორების გამო:

პირველი — აღადიანთა საზოგადოების ისტორია უფრო ღრმავ,

მდიდარია, ვინემ დღემდე მასზე შრომები დაწერილი
გამოქვეყნებული;

მეორე — ოცდამეერთე საუკუნის თაობა გამოდის ისტორიის
არენაზე, ახლებური ხედვით, მოვლენათა მსვლელობაში ახლებური
წვდომით; ყოველი ახალი თაობა კი კრიტიკულად აფასებს წინა
თაობის ნაღვაწს „... შვილმა უნდა იცოდეს, — წერდა ილია ჭავჭავაძე
— სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების
უღლის წევა. შვილს უნდა გამოკვეთილი ჰქონდეს, რაში იყო მართალი
და კარგი მისი მამა, რაში იყო მცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა
კეთილი ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის
ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უმისოდ თვი-
თონ შვილი რაც გინდა მხნე და გამჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს
დაემსვავსება“ /ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ტ. 4 გვ. 201-202/

ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდობას, უმრავლესწერ ხედება
წიგნის მაღაზიის თაროები დეტექტიური ლიტერატურით დაზნექილი,
ხოლო სასარგებლო ლიტერატურის ფასი, შეძენის საშუალებას არ
აძლევს; ვიდეო და კინო დარბაზები დაჩრდილა — ყაჩაღობის, მკვლ-
ელობის, ძარცვის, პროსტიტუციის ამსახველმა ფილმებმა.

სწორედ აქ გვჭირდება ილიასეული სიღინჯითა და სიღარბაისლით
მოვლენების, ფაქტების ახსნა და ინტერპრეტაცია, ილიასეული აწონ-
ილი სიტყვა, რომ ახალგაზრდობას შევასწავლოთ ერის ისტორია,
მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება.

მესამე — ისტორია ხსოვნაა, ისტორია წარსულია, ისტორია
რეალობაა და მისი გადაკეთება და შეცვლა შეუძლებელია; მაგრამ
ისტორია მარტო წარსული, გარდასულ დღეთა აღწერა როდია,
არამედ იგი მომავლის სამსახურში დგას; ისტორიის ღრმად და
მეცნიერულად შესწავლის გარეშე შეუძლებელია დღევანდელობის
სწორად განსაზღვრა, გვირაბიდან გამოსასვლელი და ეკლესიისაკენ
მიმავალი გზის პოვნა; არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომავლის სიულეტი
— წარსულის ჩრდილში უნდა ვეძიოთ. „დავიწყება ისტორიისა, თავისი
წარსულისა და ყოვლის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნიდან, — მომა-
სწავებელია ერის სულით და ხორციტ მოშლისა, დარღვევისა და
მთლად წარწყმენდისა. წარსული მკვიდრი საძიკველია აწმყოსი,
როგორც აწმყო-მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ეპი-
ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ
წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუყენებია. ამიტომაც არის ნათ-
ქვამი ერთის ბრძენისაგან

ილიას მხედველობაში ჰყავს გოდფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის /1646-
1716 წ. წ./ გამოხატვაში /ვერმანელი ფილოსოფოსის, მათემატიკ-
ოსის, ფიზიკოსის, იურისტის, ისტორიკოსისა ენათმეცნიერის/ რომ

აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა /რომელი
გაეჭვადე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4 გვ. 200/

ისტორიული მეცნიერების გაგების, მისი დანიშნულების ამოხსნის პროცესში ვლინდება სხვადასხვა კლასების, სოციალური ჯგუფების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, სხვადასხვაგვარი, არამეცნიერული დამოკიდებულება. ეს პროცესი ყველაზე მეტად გაღრმავდა სოციალიზმის დემონტაჟის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. საქმე მარტო „მარქსიზმის დოგმებს“, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმულების უარყოფას კი არ ეხება, არამედ, ისტორიკოსთა დიდი ნაწილის შრომების უარყოფას, საზოგადოებისა და ცივილიზაციის განვითარების სრულიად მცდარი პოზიციის წარმოჩენას, წინასწარმეტყველებენ „ისტორიის სილატაკს“ და ა. შ. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე ყურადღებას მეცნიერული შემეცნებისა და ისტორიულ რეალობას შორის არსებული ურთიერთობის ანალიზი და მეცნიერული შესწავლა იპყრობს; ნ. ჩერნიშევსკის გამოთქმისა არ იყოს, „ისტორია ნების პროსპექტი როდია“, რომ ისტორია როდია სწორხაზოვანი, იგი უმრავლესჯერ ტეხილი და მრუდე ხაზს ემსგავსება. ილია ჩერნიშევსკის ამ სიტყვებთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ ისტორიის მსვლელობა როდია სწორხაზოვანი, ყოველ საფეხურს საზოგადოების განვითარებისა ახლავს თავისი „ჩავარდნები“, „ზიგზაგები“, მაგრამ საერთოდ ახალი, განვითარებადი, პროგრესული წინ უსწრებს მასზე უფრო ნაკლებად განვითარებადს. მეცნიერ-ისტორიკოსის ვალია საზოგადოების ისტორიის კვლევისას წინმსვლელობის, პროგრესის როლი წარმოაჩინოს.

მეოთხე — ისტორიული მეცნიერების ყველა დარგი 90-იანი წლებიდან ახალი მასალებით, წყაროებით, ფაქტებით შეივსო, რომელსაც ობიექტური განსჯა, მეცნიერულად განზოგადოება, სწორი ინტერპრეტაცია სჭირდება; საარქივო მასალების გამოყენებაზე „ტაბუს“ მოხსნამ, მართალია შესაძლებლობა მისცა მეცნიერ-ისტორიკოსებს ახალი მასალების გამოყენებისა, მაგრამ ამავე დროს თავი იჩინა სრულიად ახალმა მოძრაობამ, პიროვნულმა ეგოიზმმა, წარსულის, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის, საზოგადოების ელიტისადმი მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი მასალების კვლევამ და გამოქვეყნებამ, რაც საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს, ახალგაზრდობას აწვდიან დაუდგენელ, გაყალბებულ მასალებს; ნიკო ნიკოლაძე, აღნიშნულის თაობაზე წერდა: „ყველა მოძრაობა, რომელიც დაყრდნობილი არ იქნება საქმის „შემოქმედებით“, ანდა პოზიტიურ მხარეზე, არამედ მხოლოდ უარყოფით მხარეზე, და ან დაეყრდნობა მომავალი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ მასის თუნდაც ინტელიგენტური ნაწილის გაა-

ზრებულ წარმოდგენას და დაეყრდნობა მხოლოდ ხალხში არსებულ უკმაყოფილებას, განწირულია და მისი დამარცხება გამოადგამს /ნიკო ნიკოლაძე თხზ. ტ. 4 თბ. 1964 წ. გვ. 260/.

ისტორიული სამართლიანობა, დამოუკიდებლობის გზით მიმავალი საქართველოს გადაუჭრელი პრობლემები, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მშენებლობის მეცნიერულად განსჯის ამოცანები, დაბეჯითებით მოითხოვს მეცნიერ-ისტორიკოსებისაგან ილია ჭავჭავაძის დიდებულ, ღრმად მეცნიერულ ნააზრევზე დაყრდნობით იქნეს გაშუქებული ისტორიული მეცნიერების წინაშე მდგომი პრობლემები; ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის მესაიდუმლე და წინამძღოლი, მუდამ ქართველ ერთან იყო ჭირსა და ლხინში, მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართველი ერის უშრეტეს სულიერი და პოლიტიკური მოღვაწეების წყაროა. მისი დაბადების 160 წლისთავზე, როცა ქართველი ერი კონფლიქტებითა და სამოქალაქო ომით გატანჯული, დემოკრატიული კონსტიტუციური გზით დაეძებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, სწორედ თანამედროვე ეტაპზე სჭირდება ერს თანადგომა და ერთიანობა. დიდებულად ჟღერს მისი სიტყვები: „მარად და ყოველგან, საქართველოვ მე ვარ შენთანა... მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული, შენთა შვილით სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აჟმყო, შენი წარსული“.

სწორედ ილია ჭავჭავაძეს ესადაგება ის პოლიტიკური აზრი, რომ პიროვნების ისტორიული დამსახურება იმით კი არ განისაზღვრება და კი არ უნდა იქნეს შეფასებული, თუ რა არ მოუცია, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცა ახალი წინამორბედთან შედარებით.

ილია ჭავჭავაძემ, თავის წერილებში, შრომებსა და ცალკეულ გამოსვლებში: „საქართველოს მოამბეზე“, „ზოგიერთი რამ“, „ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“, „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების საქმე“, „იანოვსკის წერილის გამო“, „წოდებათა თანასწორობა“, „ერი და ისტორია“, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, „ქებათა ღალადი“, „მეცხრამეტე საუკუნე“, შინაური მიმოხილვა „აი ისტორია“ და სხვა, გადმოსცა ისტორიის როლისა და დანიშნულების, ისტორიული მეცნიერების განვითარების კანონზომიერი პროცესი. იგი არ ყოფილა განკერძოებული მეცნიერ-ისტორიკოსი, ერის ისტორიას განიხილავდა ისტორიული განვითარების ერთიან კონტექსტში, მსოფლიო ისტორიის გააზრებითა და მის პრობლემებთან კავშირში.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული შეხედულებების კვლევას პირველად აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი შეეხო. მკვლევარმა პირველ ყოვლისა მიუთითა ილიას მიერ ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობისა და ამოცანების, ისტორიული მეცნიერების უმთავრეს

ფუნქციას — ეროვნული თვითშეგნების ამაღლების პრობლემას, რომელიც ილიას წარმოდგენით ისტორია, პირველ ყოვლისა, ხალხის ისტორიას უნდა სწავლობდეს. დიდმა ივანემ მართებულად მიუთითა, რომ ილიას გაგებით საზოგადოების განვითარების პროგრესი, წინმსვლელობა შემოქმედებით ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ილიამ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ეკონომიკურ მხარეს, რომ მას ეკონომიკა, მიწათმფლობელობა, ერის ისტორიის მთავარ საფუძვლად მიაჩნია.

ასევე ივანე ჯავახიშვილმა კონკრეტულად მიმოიხილა ილია ჭავჭავაძის ისტორიული მოსაზრებები დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, თამარ მეფის ომებზე, დიმიტრი თავდადებულისა და გიორგი სააკაძის პიროვნებების ახლებური ხედვით წარმოჩენაზე.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული შეხედულებების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა, ავთანდილ იოსელიანმა, ვ. გაბაშვილმა, პ. რატიანმა, ი. კაჭარავამ და სხვებმა.

ილია ჭავჭავაძის ისტორიულ შეხედულებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერის ერთიანობის, განუყოფლობის საკითხი. მისი აზრით ეროვნული კონსოლიდაციით დაინტერესებული ისტორია დაეხმარება ერს მთლიანობის აღდგენაში.

თბილისის ქართველ საადგილმამულო ბანკის კრებაზე, 1895 წლის 19 მაისს ილია ჭავჭავაძის მიმართ ითქვა, რომ „ეგ მოსული არის და ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვსო“. ამგვარი უხამსი გამოსვლის გამო ილია გულისტკივილით წერდა: მე არ ვახსენებ ვის უთქვამს, მე პიროვნებას არ ვებრძვი, მე ასეთი აზრის დაბადებას ვებრძვი, რომ ეს აზრი ძირშივე უნდა ამოიწვასო. შემდეგ ილია დასძენს: „ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი — ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ღხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითულის ჩვენგანის, უწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა“ /ი. ჭავჭავაძე, ტ. მე-9 თბ. 1957 წ. გვ. 261-262/

ილია ჭავჭავაძეს ერის ზრდის, შეკავშირების, მისი სასიცოცხლო ძალების ამოქმედებისა და მტრისაგან დაცვის ერთ-ერთ ფაქტორად, საკუთარი ერის ისტორიის ცოდნა მიაჩნდა; ამასთან ისტორიის უცოდინარობაში ხედავდა ერის დასუსტებას, გაქრობას, დაქვეითებას, რომ ერის გაქრობა მაშინ იწყება, როცა ერს თავისი ისტორია ავიწყდებაო,

„როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოვანო, ვისაც ალაჩ ახსოვს — ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისიც უნდა სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომიდა და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კიდეც. ისტორია თავის გულის — ფიცარზედ იჭედავს მარტო სულისა და გულის მოძრაობის ერისას და ამ დაჭედვითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“./ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 4 თბ. 1955 წ. გვ. 179/

ერის ბედობაზე ღრმად დაფიქრებული, მისეული სიღინჯითა და სიღარბაისლით, მეცნიერულად იკვლევს ქართველი ერის ისტორიას, იკვლევს არა უბრალოდ ფაქტობრივი მასალების შეგროვებითა და გადმოცემით, არამედ იკვლევს სიღრმისეულად, განზოგადოებულად, მსოფლიო ისტორიის ჭრილში ჩასმითა და ინტერპრეტაციით. ამ თემას მიუძღვნა დიდმა ილიამ თავისი განთქმული ნაშრომი „ერი და ისტორია“.

ერის ისტორიაში ილია ჭავჭავაძე ხედავდა არა მარტო წარსულს, არამედ მის მომავალსაც. იგი წერდა: „ბევრ ერს ქვეყანაზედ სულაც არ ჰქონია წარსული, სულაც არ ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ზოლმე სულიერსა და ზორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრსა და საგანს არსებობისას, მის წმინდათა-წმინდა, და რომელიც მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის... უღმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონ ერი დაემტერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ზოლმე ამისთანა ხალხს“./ი. ჭავჭავაძე ტ. 4 გვ. 200-201/

ამდენად ისტორიის ცოდნასა და შესწავლაში, ისტორიის სიღრმეში ხედავდა ილია ერის სიძლიერეს, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საშუალებას, სიღიადესა და მხნეობას. სრულიად ახალგაზრდა ილია, 24 წლის ასაკში, 1861 წელს წერდა: „ისტორია იმითაა დიდი, რომ გვიჩვენებს ჩვენ წინაპართა ცდომილებას, ამასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა კაცსა უკან მიმდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას



გამოვიტანთ, რაც მამა-პაპას უქნიათ, ის ჩვენ უნდა ვქნათ, ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინეთსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ველარ წავსდგამთ". /ი. ჭავჭავაძე ტ. 3 გვ. 121.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ისტორიის, წარსულის წარმოჩენა და შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია დაჩაგრული, მცირე ერებისათვის; ვინაიდან ისტორია აღრმავებს ეროვნულ თვითშეგნებას, სრულყოფს ერის ძალას, აფხიზლებს და მოუწოდებს ერს ერთიანობისაკენ. საამისოდ ილიას მოჰყავს ავსტრიის სლავთა გამოღვიძების მაგალითი: „ავსტრიის სლავებმა ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოჩხრიკეს, მიახლოებით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოვლისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ვინაობას, ეროვნებას, მათს ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედგა... მოიგონეს ისტორიის შემწეობით დავიწყებულნი სახელოვანი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა... ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო... ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა“ /ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.5 გვ. 57/.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში საერთოდ და განსაკუთრებით მის ისტორიულ შეხედულებებში გამორჩეული ადგილი უჭირავს ცივილიზაციის განვითარების ეტაპებს, საზოგადოების სრულყოფის საკითხებს. მისი აზრით, ცივილიზაციის განვითარებას მრავალმხრივი ფაქტორები განაპირობებენ, მაგრამ რაც მთავარია მისი განვითარების საფუძველს ადამიანის შემოქმედების ნაყოფს მიაწერდა; რომ ცივილიზაცია შედგება იმ ძალისა და შრომისა, რომელსაც ერთეულნიც ახმარს ძალღონეს და საზოგადოებაც საერთოდ, იგი ერთიანი ძალღონით იქმნება. „ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულიობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა, რწმუნება იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წეს-წყობილება ოჯახებური, საზოგადოებრივი, სამოქალაქო კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა, სულ ერთად და ერთს ღროს მოქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელსამე ღროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტ-ნაკლებობით“. /ი. ჭავჭავაძე, „აი ის ტომია“ ტ. 4 გვ. 28/

ამდენად, დიდი ილია ცივილიზაციის, საზოგადოების განვითარებას ხსნის მართალია საუბრის უბრალო ფორმით, მაგრამ სიღრმისეულად არა ზებუნებრივ საფუძველზე დამყარებით, არამედ ობიექტური შეფასებით, რასაც შედეგად საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების სრულყოფა და განვითარება მოჰყვება.

და არა მარტო ცივილიზაციის განვითარებაზე მიუთითებდა, ილია ჭავჭავაძე, არამედ იმ სიახლეზეც, რომელიც საზოგადოების განვითარების თანამდევნი და განუყოფელია... ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ 10 წელში ცხოვრება ფერს იცვლის... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საამქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის, ძველ თაობას ახალი ცვლის, ან გვერდში უდგება, ახალ-ახალი ცოდნით, ახლის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანითა და ღონით, ცხოვრების ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს." /ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6 გვ. 343-345/.

ახალი საზოგადოებრივ ურთიერთობების მშენებლობაში, საზოგადოებაში ახალი დროის დადგომისა და ახალი დასის გამოსვლაში ილია განსაკუთრებულ ადგილს ახალგაზრდობას ანიჭებდა. იგი წერდა: „... ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალი თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა, ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი... ახალი კაცი ძლიერია თავისი აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავისმოსაწონებელ სახელს ახალი კაცისას მართლისა და ახალის აზრით დაიმსახურებს და არა ყვირილითა და ფიცით“.

იკვლევდა რა ისტორიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ერის განვითარებასა და სრულყოფაში მისი გარემოს, გეოგრაფიული ფაქტორის, ეკონომიკის განვითარების, გუთნის როლის განსაზღვრას, ერის წარმოჩენას საერთოდ, „ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს“ /ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 10, გვ. 34/.

ხალხის ისტორიის შესწავლას, ილია, როგორც ითქვა, ეკონომიკის, სამეურნეო საქმიანობის შესწავლას უკავშირებდა. მისი კვლევის ობიექტად იქცა, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა საუკუნეთა მანძილზე ქართველი ერის გადარჩენა, მისი ფიზიკური გადაშენებიდან თავის დახსნა, რით იგერიებდა ამოდენა მომხდურთ საქართველო. „... უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. ეს საგანი რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მესიტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა, აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“ /ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 4 გვ. 176/.

ყურადღებას იპყრობს ილიას შეხედულებები — ხმალის, გუთნისა და ოქროს შესახებ. ეს აზრი მან 1881 წლის შინაურ მიმოხილვაში გადმოცა დიდებულად. აქ წარმოდგენილია გუთნის — ანუ გლეხობის, ხმალის — ერის თავდაცვისა და ოქროს, ანუ სავაჭრო ურთიერთობის ამოცანები და განსაზღვრა მათი როლი საზოგადოების ისტორიაში. ოქროსა და ხმალს ქვეყნის პატრონად წარმოუდგენიათ თავი, ოქროს შეუძლია ყველაფერი იყიდოს, ხმალს კი ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება. ილია არ იზიარებს ოქროსა და ხმალის მოსაზრებებს, ვინაიდან გარდა ამათისა ქვეყნად არის ძალა, მართალია ქედმოხრილი, ჩუმი უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი, ფეხშიძემდ დაიარება, არ იკვეხნის, დინჯად დაიარება, მის გარეშე ოქროს ქვეყანაზე მოედანი არ აქვს და არც ძალოვან ხმალს დიდი ძალა და გაძლება არ აქვს. ეს ერთად-ერთი გუთანია, რომელსაც შეუძლია ოქროსა და ხმალს შორის ჩადგომა, ქვეყნის ხსნა. „ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა ვვაქვს, ადგილზედ რომ ფეხმოყიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსასენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით და გადურჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, — ეგ იმიტომ რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამითგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი, ძალონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება“ /ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 5 გვ. 122-123/

ამიტომ მოითხოვდა დიდი ილია, რომ ქართველი ერის ისტორიაში უნდა აესახათ ქვეყნის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და განათლების საკითხები, და გადასატრეული პრობლემები.

ერის გაძლიერების, მისი მსოფლიო არენაზე გაყვანის საქმეში, ილია დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურის, განათლების, მეცნიერების შემოქმედებითად განვითარების საქმეს. მისი აზრით, ერის მიერ ეკონომიკის, კულტურის განვითარებისათვის მოღვაწეობა ინტენსიური ცხოვრებისა სათავეც არის და განვითარების შედეგიც. „უფრო უნდა გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გაფოლადდეს, გამოიჭედოს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია და ქვაკუთხედი. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში“. /ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 4 გვ. 22/

ეს მოსაზრება მომდევნო ეტაპზე, ილია ჭავჭავაძემ ერთის მხრივ ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მეორე მხრივ ისტორიული მასალების შესწავლის განზოგადოების შესაბამისად კიდევ უფრო დახვეწა, სრულყო და კრეოდ ჩამოაყალიბა. „ისტორია და წარმატება

იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავტარგიანობას შეჰპარს, ვინც მარტო დღევანდელობას ავია თუ კარგი — ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რამესა ანდერძს მამა პაპეულის, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს — რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხილად მიუჩნევია ხვალისათვის... ტყუილად კი არა სთქვა ტურგენევმა, რომ ეს ქვეყანა ტადარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჭებოდეს და ჰმუშაობდეს... ისტორია და წარმატება მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილებაა“ /ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 9, თბ. 1959 წ. გვ. 113-114/

სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივი იქნება თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც ისტორიკოსი, უპირველეს ყოვლისა ქართული ეროვნული ისტორიის შესწავლითა და მისი ღრმა ცოდნით ჩამოყალიბდა, ამასთან დეტალურად შეისწავლა მსოფლიოს უახლოესი ისტორიის საკითხები.

ერის ისტორიის წარმოჩენა დიდმა ილიამ, საქართველოს წყაროთმცოდნეობის ზეპირგადმოცემების, თქმულებების, მითოლოგიის შესწავლით დაიწყო. ამასთან, ნაშრომში „ი ისტორია“ წერდა: „მოწმედ და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდოიანი არიან, მაგრამ ზშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნეჩვეულებებისა“. /ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 4 გვ. 29/

ქართველი ერის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საწყის ეტაპად ილიას უპირველეს ყოვლისა ენის, მითოლოგიის, ზნეჩვეულებების, სარწმუნოების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის შესწავლა მიაჩნდა; ამ პროცესში ასევე სიტყვიერების და ენის შესწავლას აქცევდა გარკვეულ ყურადღებას. მისი აზრით „ცხოვრება ერისა გადამოილია, გამომზეურებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოვლის მისი თავგადასავლისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისა“ ილია ჭავჭავაძე თხზ. ტ. 4 გვ. 30 ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა მომავალ მეისტორიეებს შეეგროვებინათ და შეესწავლათ ეკლესია-მონასტრებში გაფანტული წერილობითი წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ბევრი სურათი და მოწმობა მოეპოვებინათ, რომლებსაც ვერ კიდევ ამჩნევიათ ჩვენი წინაპრების ჰკუთნა და გონებით ნამოქმედარნი. მოითხოვდა ძველი ხელნაწერების შეგროვებასა და მის კატალოგიზირებას, მუზეუმების დაარსებას და ა.შ.

ილიას ღრმად ჰქონდა შესწავლილი და საჭიროების შემთხვევაში თავისი აზრის დასაბუთებულად მოჰქონდა მასალები ძველი ანტიკური ეპოქის, ბერძნული, რომაული, არაბული, ასურული ძეგლებიდან საქართველოს ისტორიის წყაროებში.

წერილში „აი ისტორია“ იგი წერდა: „მას აქეთ, რაც ლურსმულია წერილებმა თავისი გული გადაუშალა მეცნიერებას წასაკითხად, რაულინსონის, ტალბოტის, ჰინკის, და ოპერტის წყალობითა, მას აქეთ — რაც ლერონმანმა და ამ ბოლო ხანებში, — სულ ოთხი — ხუთი წელიწადიც არ არის, — სეისმა ვანთან ნაპოვნი ლურსმული წერილები გამოარკვეეს, ეჭვი აღარავის აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა — ბინა, სხვათა შორის, არმენიაც ყოფილა, ე.ი. ვანის ტბისა და არარატის მიდამო ადგილები არზრუმითურთ, ლენორმანმა და მის შემდეგ ინგლისელმა სეისმა საქვეყნოდ დაამტკიცეს, რომ ე.წ. ძველად „არმენია“ გეოგრაფიული სახელია და არა ეთნოგრაფიული. მათის სიტყვით აქ მდგარან სხვადასხვა სახელწოდების თემნი ქართლის თესლისანი“.

ილია ჭავჭავაძემ სერიოზული მეცნიერული მოსაზრებები გამოთქვა „ქართლის ცხოვრების“, როგორც ისტორიული წყაროს შესახებ, ასევე დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის პოლიტიკურ შეხედულებებზე, მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

მაგრამ ილიას ყველაზე მეტად აწუხებდა ქართველი ერის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებები, ერის სახელის შებღალვა, დაკნინება; 1899 წელს დაწერა ნაშრომი „ქვათა ღაღადი“, რომელშიც მიუთითებს, რომ ჩვენისთანა დაბრეცვეული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე; ჩვენი მოწინააღმდეგეები ყოველმხრივ ცდილობენ დააკნინონ, გააჩანაგოს ერის სახელი, აბათილებენ ჩვენი ისტორიის ნაშთს, სისხლით მორწყულ ღვაწლს, ცდილობენ ქვეყანა დააჯვრონ ერის ჩამორჩენილობაში, სიმდაბლესა და ა.შ. „ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთხელ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჭკუამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველშემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — დიდი სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამავების შეგინება ერთი იმისთანა სიბრეცვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“ /ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 2 გვ. 97/

აქვე დიდი ილია კიცხავდა ლიბერალებს, იმ განათლებულ თაობას, რომელნიც ხმას არ იღებდნენ ერის ინტერესების დასაცავად. იგი დასძენდა, რომ თუ სამრახისი არ ამხილა, მისი ავტორი სამარცხვინო ბოძზე არ გააკარი, დოყლაპიები არ გამხილეთ, მაშინ ვინდა დაიცავს ერის ინტერესებს, ვინ არ დაგვესხმის თავს და არ განაქიქებს ქართულ ერსა და მის ისტორიას „საქმე ის არის, რომ მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი, და სამღურავისა, ან წყენისა, ან შფოთის ატეხის

შიშით ნურავინ გაიხეთქს გულს. განა არ ვიცით, რომ მხოლოდ არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა-ეს საბჭოთა თვალსაზრისით, ურუბში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ... რად უნდა გავჩერდეთ? /ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 8 გვ. 103/

ყველაზე მეტად ილიას გულისტკივილს იწვევდა საქართველოს დაუსუსტებისა და დაშლის, პოლიტიკური დაქსაქსულობის პროცესი, რამაც გამოიწვია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაქვეითება. მისთვის დამახასიათებელი სიღინჯითა და სიღარბაისლით, პუბლიცისტური სიზუსტით წარმოაჩინა ილიამ ერის ეს საბედისწერო მომენტი. „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და დანაწილდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავრობოდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გაწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულისტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას ღღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე. მას ღღეს აქეთ თვითოეული ღღე თითქოს რასმე სიკეთეს გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცსში და გვხრწნიდა თავიდან ფეხებამდე იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანას, რომ ერთობა ხელახლად ჩამოეგდოთ... მაგრამ გარედან მტრებმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ... ერთხელ ზურგ შექცეულს ბედს პირი ჩვენკენ ველარ აქნევენეს“ /ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 5, გვ. 73-74/.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე საუბრისას, კერძოდ, როგორც ისტორიკოსის კვლევის მეთოდებსა და ხერხებზე მსჯელობისას, ყურადღებას იპყრობს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი — ეს არის ისტორიული მოვლენების, ფაქტების, ერის ისტორიაში მომხდარი ქარტახილების წარმოჩენა ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდით. დიდი ილია მართებულად მიუთითებს, რომ საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონები ყველა ქვეყანაში, შეფარდებით, ერთნაირად მოქმედებს; ასეთი კანონზომიერების შესაბამისად ყველა ერსა და ქვეყანას გარკვეული ცვალებადობით განვლილი აქვს ერთი და იგივე ისტორია; ამასთან მას საჭიროდ მიაჩნდა ისტორიული განვითარების პროცესი საერთოდ და კერძოდ ქართველი ერის ისტორია განვითარების ერთიან პრობლემებში, მსოფლიო ისტორიის ერთიან ასპექტში განეხილა. ამასთან არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოების ცხოვრებაში აღიარებს და ცნობს ზოგადის და საერთოს დანიშნულებას, როგორც საერთო

კანონზომიერებისა, ინდივიდუალურსა და განსაკუთრებულს. ამგვარი მრწამსით ილია ჭავჭავაძე, იმდროინდელ ისტორიკოსებსა და მეცნიერებს ევარებაზე მალლა დადგა.

ამა თუ იმ ერისა თუ სახელმწიფოს ისტორიის კვლევის პროცესში, ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივ ვითარებას, ვინაიდან ყოველ საგანს და მოვლენას თავის ადგილზე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზის მსვლელობა და განვითარების შესაძლებლობა. „მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება, და აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას. ბევრი, ძალიან ბევრი, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიკურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მიმდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, და ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერებდა კაცი. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყანაშიაც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიოს. იტყვიან სხვა ქვეყნები რაში გამოგვადგებიან, ჩვენ სხვანი ვართ, ისინი სხვანო. იტყვიან, მაგრამ მსაქმელნი ამაში ძალიან შეცდებიან“. /ი. ჭავჭავაძე თხზ. სრული კრებული ტ. 6 გვ. 118/

ისტორიული მეცნიერების კვლევაში, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ილია ჭავჭავაძე გვევლინება არა მარტო ქართული ერის მეისტორიედ, არა მარტო ისტორიის დანიშნულებისა და ამოცანის გენიალური გამსაზღვრელი, არამედ მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემების გენიარული მკვლევარადაც. მისი კვლევის ობიექტი მსოფლიო ისტორიისა უძველესი დროიდან იწყება, თითქმის ყოველ აქტუალურ საკითხს ეხმაურება და მეოცე საუკუნის დამდეგამდე ვრცელდება. ამასთან დროისაგან გარდასული ფაქტების ილიასეული ინტერპრეტაცია, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზედაც იქცევა ყურადღებასა და თანამედროვეობის გადაუჭრელ პრობლემებს ესადაგება.

ილია ჭავჭავაძე, არსებული ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის შედეგად მიუთითებდა, რომ კაცობრიობამ უძველესი დროიდან განვლო სამი ეტაპი: — ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია. ამასთან იძლევა ამ სამი ეტაპის მისეულ დახასიათებას.

ყურადღებას იპყრობს ილიასეული მოსაზრებები, პირველყოფილი თემები წყობისა, რომლის ეკონომიკურ საფუძველს საზოგადოებრივი საკუთრება წარმოადგენდა; „თვითეულს თემის კაცის სახელობას წილადხდომილი მიწის ნაჭერი სჭერია. დროებით, დროგამოშვებით, ვერე გაწილადებულს მიწებს ისევ თემი დაუბრუნდება ხოლმე და ხელახლად დაუყოფდა წილისყრით თემის კაცებს, რომ თვითეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა. თანასწორობა მიწის

მფლობელობაში ამ სახით დამკვიდრებული იყო. მეტწილად ამის
ჩამოგარდნას გზა შეღობილი ჰქონდა“ /ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ.
კრებული, ტ. 6 გვ. 120/. შემდეგ ილია მიუთითებს, რომ
პირველყოფილი საზოგადოება ყველა ხალხში იყო და ყველას გავლილი
აქვს, ეს ეტაპი, პირველყოფილ-გვაროვნული წყობა თავის დროზე
ქართველებმაც განვლესო. იგი ხაზგასმით მიუთითებდა რომ
პირველყოფილი თემური წყობის გადმონაშთად უნდა გავიგოთ
სიტყვები: „წყობილება“, „მოწყალე“, „მოწყალება“, „მიცვალებული“
„წყობა“ ასევე იკვლევს ილია სარწმუნოების განვითარების
საფეხურებს და აქაც იძლევა სიბრძნისეულ განსჯას, „ქართველებს
სარწმუნოებრივი წესი, რიგი და სისტემა უნდა ჰქონოდა კარგად
გარკვეული. უმისოდ ძნელად წარმოსადგენია კერპთმსახურება,
რომელიც, როგორც უფრო რთული და განვითარებული რჯული,
წესსა, რიგსა და სისტემას ითხოვს ლოცვისას, თაყვანისცემისას,
მსხვერპლის შეწირვისას და ბევრ სხვას“ /ი. ჭავჭავაძე თხზ. სრ.
კრებული, ტ. 4, გვ. 112/

ახასიათებდა რა სახელმწიფოს იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ
სახელმწიფო, საზოგადოება, სოციალური ფენები, ეს ისეთი კატეგ-
ორიებია, რომელთა წარმოდგენა ცალცალკე შეუძლებელია, რომ
ყოველივე მათგანს სახელმწიფოში მისთვის გამოკვეთილი ადგილი
უნდა ჰქონდეს. „უკეთესი განწყობილება ის არის, საცა თვითეულს
ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითეული მათგ-
ანი ისეა მოთავსებული, რომ თავის სრული უფლება მიღწეული აქვს.
ერთი უწმინდესი და უდიდესი მოვალეობა და საგანი ყოველ საზოგ-
ადოდ მოქმედ ძალისა საერთოდ... ის არის, რომ ამ ყოფამდე მიაღწე-
ვინოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს, და ერთმანეთში
თვითეული მათგანი სრულის კუთვნილი უფლებით და მოვალეობით
მოათავსოს“. /ი. ჭავჭავაძე სრ. კრებული ტ. 5 გვ. 166/

როგორც წერილის დასაწყისში ავლნიშნეთ, ოცდამეერთე საუკ-
უნის მიჯნაზე, ისტორიულ მეცნიერებაში და არა მარტო მეცნიერების
ამ დარგში, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების რაობის
პრობლემა დგას გასარკვევად. ამ მიმართებით გვინდა მოვიტანოთ
ილია ჭავჭავაძის შეხედულება მასზე, წერილის მოცულობის სიდიდის
მიუხედავად მოგვყავს სრულად. ვინაიდან, მასში თანამედროვე
საქართველო მოსჩანს. „ეგრეთწოდებული ეკონომიკური ყოფაცხო-
ვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზე ნაკლებ
ხელხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის
გარეშე დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ
ეკონომიკურ ყოფაცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს
ყველგან და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა. დღეს ყველამ იცის, რომ

თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინაგან-გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიკური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ. ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდა სავსე გქონდეს გული დიდებულ აზრთა გრძნობათათვის. ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოველინებიან კი იქ, საცა ადამიანი მშვიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადაურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეთად სხვა რაზედაც იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მიანდომოს?“. /ი. ჭავჭავაძე, თხზ. კრებული ტ. 7 გვ. 36-37/

ილიამ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, უფრო კონკრეტულად გადმოსცა თავისი შეხედულებები საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობაზე, რომელშიც მარტო წყობის სტრუქტურა კი არ არის წარმოდგენილი, არამედ თუ როგორ იცვლება მოცემული წყობა ახალით, უფრო წინმსვლელით, პროგრესულით. „უოველვან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს — ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარებასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია. დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის — რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდმივი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს... შემსმენელი და გაგებული იქნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს... ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში... ახლად გამარჯვებულ წყობასაც სხვა ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ, ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს... კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“. /ი. ჭავჭავაძე თხზ. სრ. კრებული, ტ. 5 გვ. 89-90/

ილია ჭავჭავაძის სიდიადე და შორსმჭვრეტელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი საზოგადოების განვითარებას, ეკონომიკური წყობის ცვალებადობას, მეცნიერების წინსვლას საშინაო ცხოვრების სრულყოფას მოძრაობასა და განვითარებაში ხედავდა.

ილია ჭავჭავაძის გენიალურ შემოქმედებაში, მის პოლიტიკურ აზროვნებაში, სამართლისა და სახელმწიფო წყობის მისეულ მოსაზრებებში მთავარი და გადამწყვეტი ხალხია, განსაკუთრებით კი ქართველი ხალხი. „ხალხი — ეს თავი და ბოლო ისტორიისა — ზღვაა. ერთი რომ დაიგრილოს ძალა და დიდება მისია. „წერდა ილია ჭავჭავაძე 1871 წელს. მაგრამ ილიას მოღვაწეობის, სულიერი სამყაროს, შემოქმედებითი აზროვნების, ფიქრისა ოცნების ძირითადი კრედიო —

ქართველი ხალხის ცხოვრება და მოღვაწეობა იყო. „ჩვენი საქმიანობის მიზანია: საქართველოს ხალხის ცხოვრება: მისი გამომჯობინება ჩვენი მიზანია და უკანასკნელი სიტყვაა“ /ილია ჭავჭავაძე თხზ. სრ. კრებული ტ. 4, გვ. 180/ ეს მოსაზრება, იმედი და სურვილი წიწამურის ტრაგედიამდე გაჰყვა მას.

დიდი ილია, თითქოსდა მისი სახელისა და დიდების უკვდავყოფის ანდერძს სტოვებდა... როცა წერდა: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანს წმინდანის გვირგვინითა ჰმოსავს“...

მიიწურა 160 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან; საუკუნეების სიმორე ადამიანებს უფრო აახლოებს თანამედროვეობასთან, ქორონიკონის კენტი და ლუწი კაცობრიობას მიაქანებს წარსულისაკენ, უკან იტოვებს ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ ასეთივე აჩქარებული სვლით უახლოებს წელთაღრიცხვა ადამიანებს ახალი გლობალური პრობლემების გადასაჭრელად; დიდი ილიას ნააზრევი, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღეს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის სამსახურში დგას.



„ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინგელიგენცია ყოფილა და იქნება. იგი ბელადია, სარდალია, და ხომ მოგვხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მგრის დამარცხება“.

ილია

რეკავ ჩხარტიშვილი

წიგანურთან თქმული

აქ გავარდნილი ბერდანის ხმა ყურში ჩამესმის,
 აქ მოკლეს იგი — ერის გული, ერის ღვთაება,
 არაგვისპირას გადმოღვრილი სისხლით და ლექსით
 დაიწყო მისი ღმერთკაცობა და უკვდავება.
 წვიმდა წიწამურს, წვიმდა წყნარად, წვიმდა წვრილ-წვრილად,
 წვიმამ და ცრემლმა დაგვისველა ყველას ღაწვები,
 აქ ცხადად ვხედავთ: დიდ სიმაღლეს ახლაც არ სძინავს,
 კვლავ გვდარაჯობენ წამებულნი ერისკაცები...
 მის სადიდებლად აქ ვეება მთებიც დახრილან,
 ყველა ხე ამბობს: ნატყვიარ შუბლს მოვუჩრდილებო...
 „მე ილია ვარ!“ — საუკუნეს ესმის ძახილად,
 „მე ილია ვარ! — ეს რა ჰქენით, ცოდვის შვილებო?!“



ამირან ხაბაზი

ილიას „ივერიით“ ნათლული

1878 წელს ბერლინის ტრაქტატით აჭარა სამუდამოდ დაუბრუნდა დედასაქართველოს. თბილისში ამ ფაქტთან გამართულ ნადიმზე ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა. ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა სიტყვებში ნათლად გამოიკვეთა სწრაფვა აჭარის აღორძინებისაკენ. აქვე დაისვა აჭარის ფოლკლორის, ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შესწავლა-გამოქვეყნების საკითხი. სამი საუკუნის განმავლობაში აჭარა იყო ის შემოღობილი ანეული, რომელმაც მკლევარის ხელი არ მიჰყარებოდა.

ბუნებრივია, რომ ქართული ეროვნული ცნობიერების საჭესთან ამ დროს დიდი ილია ჭავჭავაძე დგას. საყოველთაოდაა ცნობილი ილიას მოუცილებელი ყურადღება აჭარისადმი. ილიას თაოსნობით იგზავნება აჭარაში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. ილიას მოწადინებითა და დახმარებით იხსნება ქართული სკოლები. შეიძლება ითქვას, რომ აჭარის მაჯა დიდ ილიას უბყრია ხელში: როგორ გადარჩა იქ ქართული ენა, ქართული სიტყვა, ქართული ლექსი...

აჭარის ამბები ხშირად ქვეყნდება ილიას „ივერიაში“, აჭარა ჩვენი ერის შეძლებისდაგვარი ყურადღების ცენტრშია.

დიდ ქართველ მამულიშვილთაგან, რომლებიც აჭარაში ყოფილან დიდი ეროვნული მისიით, ფასდაუდებელია დგაწლი ზაქარია ჭიჭინაძისა, რომელმაც ფეხით მოიარა თითქმის მთელი აჭარა და აღვილობრივი მოსახლეობის დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ ზაქარია ჭიჭინაძე ილიას უახლოესი თანამებრძოლი და თანამოაზრე იყო დიდ ქართულ საქმეებში. პროფესორ გურამ შარაძეს თავის ორტომეულში — „ილია ჭავჭავაძე“, ყურადღება მიუქცევია იმაზე, თუ რას კითხულობდა დიდი ილია. აქ გამოქვეყნებულია კატალოგი ილიას ბიბლიოთეკისა და უნდა ვთქვა, რომ მის ბიბლიოთეკაში ყველაზე მეტად ზაქარია ჭიჭინაძეა წარმოდგენილი. ისე ფართოდ რომ ვერცერთი სხვა ავტორი მას კონკურენციას ვერ უწევს. ამ პატარა ფაქტითაც ნათელია, თუ რა დიდ პატივს სცემდა ილია ზაქარია ჭიჭინაძეს და ალბათ ზაქარია ჭიჭინაძე ერის სულიერი მამის მხარდაჭერითაც და ხშირად მითითებითაც ბევრჯერ შესდგომია ჩვენი

მხარის ღელე-ღურდანს, ხელში ჯოხითა და მხარზე ქართული წიგნებით სავსე ხურჯინით.

გასული საუკუნის 70-80 წლებში ზაქარია ჭიჭინაძე რამდენჯერმე ყოფილა ჩემს სოფელში, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში, სადაც შეხვედრია ჩემს დიდ პაპებს, მამა-შვილ სულეიმან და ხუსეინ ხაბაზ-ქამჯარაძეებს, /ქავჯარაძეებს — ა. ხ./ იმ დროინდელ ქართულ მოწინავე პრესაში ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, ვალერიან გუნიას „ცნობის ფურცელში“, ხშირად იბეჭდებოდა ამ ჩამოსვლებით მიღებული შთაბეჭდილებები, ჩვენს ოჯახში გავრცელებული ამბები, ლექსები და მიმოწერები.

სწორედ ზაქარია ჭიჭინაძემ ჩაიწერა ჩვენი გვარის ისტორია, რომ წინათ ქავჯარაძეები გყოფილვართ და მეორე გვარი /ხაბაზი/ შერქმეულია პროფესიის მიხედვით.

1893 წელს ზაქარია ჭიჭინაძე შეხვედრია საუკუნეს გადაცილებულ მოხუცს, ბაბუაჩემის მამას, სულეიმან /სოლომონ/ ხაბაზ-ქამჯარაძეს, მისგან აჭარის გამაჰმადიანების ისტორია ჩაუწერია და შემდეგ იგი სრულად შეუტანია წიგნში „ქართველთა გამაჰმადიანება“.

მისი ნაწერებიდან ჩანს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე არაერთხელ ჩამოსულა სოფელ აჭყვისთავში, ჩვენს ოჯახში. განსაკუთრებულია მისი მოწადინება და ღვაწლი იმდროინდელი აღიარებული სახალხო მეოსნის ხუსეინ ხაბაზ-ქამჯარაძის წიგნის თბილისში გამოსაცემად. 1891 წელს გამოცემულ წიგნში „ქართველი მაჰმადიანები კინტრიშის ხეობაში“, ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „სოფელ აჭყვისთავში ცხოვრობს ერთი ქართველი მაჰმადიანი, სახალხო მელექსე ხუსეინ ხაბაზი, კაცი ხნიერი. ქართველ მაჰმადიანებში ბევრი არიან მელექსენი, მაგრამ იმისთანა იშვიათია. ამის სახელი ბევრმა იცის და ლექსებიც გავრცელებულია. ერთი ამის ლექსი — „დაკარგული ბაჩა“, ყველა მაჰმადიანთ ბავშვმა იცის ზეპირად. ბოვშეს რომ ჰკითხო, თუ ხუსეინ ხაბაზი ვინ არის, ის მაშინვე გეტყვის: — „მეშაირეაო, მისი შაირი იცი რამე? — მოვიგებს: — კი ბატონო, „დაკარგული ბაჩა“ და სხვანი“.

1892 წლის გაზეთ „ივერიის“ 149-ე ნომერში ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ ხუსეინ ხაბაზი წინ აღდგომია ქართველი კაცის დიდ ეროვნულ ტრაგედიას — „მუჰაჯირობას“ და „მისი მეოხებით ამ სოფლიდან ომის შემდეგ 7-8 კომლი გადასულა, დანარჩენი აქ დარჩენილა“. უფრო მოგვიანებით ზაქარია ჭიჭინაძე დამატებით ცნობებს აწვდის „ივერიის“ მკითხველებს: „ხუსეინ ხაბაზი 70 წელს მიღწეული გახლავთ, ქართული წერა-კითხვა იცის და ქართულ წიგნებსაც კითხულობს“.

1892 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერია“ იუწყება: „მოგახსენებთ,

რომ ქართველ მაჰმადიანთ ერთი საყვარელი მეღეჭე ჰყავდა მუსლიმ პაშა /უნდა იყოს ხაბაზი — ა. ხ./ იმის ლექსები შენაირად იღონა მაჰმადიანთ საქართველოში, ამის ლექსთა კრებული იბეჭდება ამჟამად ტფილისში. ხარჯი დაბეჭდვისა როგორც შევიტყვეთ უტვირთნია თავადს იასონ დავითის ძე ციციშვილს, კრებული ჩართულს ექნება ქართული ანბანი“.

1893 წელს იასონ ციციშვილს ლექსები საცენზურო კომიტეტში წარუდგენია და კრებულის დაბეჭდვას ჩარკვიანის სტამბა აპირებს. იმავე წლის 12 მაისის დადგენილებით საცენზურო კომიტეტს კრებულის დაბეჭდვა აუკრძალავს და შემდგენლისათვის აღარ დაუბრუნებია. „ივერიის“ ცნობა იქამდე არ გამართლებულა.

რამდენიმე თვის შემდეგ ვალერიან გუნიას გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყება, რომ: „ხუსეინ ხაბაზის ლექსები შეუკრებიათ და ცალკე წიგნად გამოცემას აპირებენ. ჰუსეინ ქამჯარაძე 70 წლისა გარდაიცვალა, ამის მამაც 5-6 წლის წინათ გარდაცვლილა 100 წლის მეტი“.

დამიბრუნოს“.

როგორც ჩანს, ხელნაწერი ზაქარია ჭიჭინაძეს დაუბრუნეს, რადგანაც თხუთმეტ წლიანი ბრძოლის შემდეგ თბილისში გამოდის აჭარაში დაწერილი პირველი ქართული წიგნი: „ლექსები თქმული მაჰმადიანი მელექსის ხუსეინ ხაბაზ—ქამჯარაძისაგან“ წიგნის რედაქტორია ზ. ჭიჭინაძე, ამ დროს კალენდარზე 1900 წელია.

100 წელი გავიდა უკვე ამ წიგნის გამოცემიდან. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა ამ ისტორიული კრებულის ხელახლა გამოცემა, წიგნი, რომელსაც წინ ყვავილოვანი ქართული ანბანი უძღოდა ჩვენს ოჯახებში შემოსასვლელად. ეს წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. მხოლოდ ვიხსენებთ, რომ ამ წიგნმა, მისმა ავტორმა და ჩვენმა გვარმა პირველივე პოეტური ნათლობა დიდი ილიას „ივერიაში“ მიიღო.



„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა.“

ილია

ილია ჭავჭავაძე

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?...
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალი ხომ შენია...
მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგეკმნეს სახე ბედით მთენია
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლევ, სიმრუდეა!
მათ ღვის მკერდით შეჰმუსრონ მტეროა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ, რად მოგიწყენია?



შენ ხარ ილია, დიდი ილია!

ბედნიერია ის ერი, ვისაც დიდი წინამძღვარი ჰყავს...
და შენ იყავი ქართველი ხალხის საიმედო წინამძღვარი,
ჩვენო ილია, დიდი ილია!

უფრო მეტიც იყავი, რადგან შენ ქართველმა ხალხმა
მამა გიწოდა, ეს მეტად ღირსეული სახელი სხვას
არავის რგებია წილად, რადგან —
შენ ილია ხარ, დიდი ილია!

ჩარგალიდან ისმოდა ვაჟას თუ დაჭრილი არწივის ხმა:

— ყოვებო, ცუდ ღროს ჩამოგდეთ ხელადა, თორემ თქვენს ბუმბულს
ვნახავდი გაშლილს, გაფანტულს ველადაო...

და თითქოს საჭირო იყო შენი დასტურიც: დიახ, ასევე იქნებო
ჩემო ვაჟავ! მთის მგოსანს შენი დასტური გულში ჩარჩა იმედად და
ნუგეშად, — რადგან —

შენ ილია ხარ, დიდი ილია!

ალბათ, ციდან თუ ისმოდა აკაკის ხმა — არ მომკვდარა, მხოლოდ
სძინავს და ისევე გაიღვიძებს, ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმაღ
მასვე დაამიწებსო.

თითქოს საქართველოს ბუღბუღსაც შენი დასტური უნდოდა და
შენც თქვი ომახიანად: დიახ, აგრემც იქნებო. ჩემო აკაკი! მას ეჭაშნ-
ია შენი სიტყვა და გითხრა: — მადლობა ძმაო ილია, შენი დასტური
უცილოდ მინდოდა, რადგან — შენ ილია ხარ, დიდი ილია, ქართველი
ხალხის მამად წოდებული.

შენ ერის მამას კარგის თქმაც გშვენოდა და საყვედურისაც. რა
დიდი გულისტკივილით ამბობდი: „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის
სადმე ერი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობიო“, მაგრამ შენმა
საყვარელმა ხალხმა კარგად შეიცნო შენი გულის გუმანი, კი არ
სწყინდა საყვედური, არამედ სიყვარულის თვალთ შემოგცქეროდა და
გაიმედებდა: დიახაც, გამოვფხიზლდებით ჩვენო მამაო! ასე გეტყოდა
შენი ხალხი, რადგან —

შენ ხარ ილია, დიდი ილია!

შენი გამაფხიზლებელი ხმა ქართველთ ყოველი მხრიდან ესმოდათ,
— არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამოძგზავნაო ქვეყნად ცაბა, მე ცა

მნიშვნავს და ერი მზრდის — მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მიჯნა
ვლაპარაკობ, რომ წამოვუძღვე წინ ერსაო.

შენ ილია ხარ, დიდი ილია! და გეტქმოდა კიდევ, რომ იყავი კაცი
ზეციერი... და ეს სჯეროდა შენს სათაყვანებელ ხალხს.

ყველაფერ სიკეთეს მიაწერდი „ოსმალეთის საქართველოს“, რომ
უწარჩინებულესი მამანი, საღმრთო — საერო თხზულებათა მწერალნი
ამ მხრიდან იყვნენო... და დიდი შოთა რუსთაველიც ამ მხარის მკვიდ-
რიაო, — არაფერი გეშურებოდა მისთვის, ოღონდაც იგი მთელი
სიდიადით წარმოგეჩინა, რომ ქართველთა მიძინებულ გულს
გალვიძებოდა და შენებრ ყური მიეპყრო „ოსმალეთის საქართველოს-
ვის“... და ვანა ამოდ? ეს ასე იყო საჭირო, შენი ჩაგონება იყო თურმე
აუცილებელი, რადგან —

შენ ილია ხარ, დიდი ილია!

შენ ასწავლიდი მშობლიურ ხალხს: — თუკი ერი შეპირობებულია
ისტორიის ერთობით, ერთად ყოფნით, ერთიანი გვარტომობით, ერთი
ჭირ-ვარამის გადამტანია... ერთი პატარა შემთხვევა და იფეთქებს
მიძინებული ისტორია და სული სულს სიყვარულით მიეხუტებაო. ამ
დღეში ვართო „დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“ და არ
გვაშინებს სარწმუნოების სხვადასხვაობაო... და თუ საჭიროა, რომ
სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ
ქართველი უკუდგება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი
ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა წინაპართაო...
შენი სიტყვები, ქართლის მოძღვარო, აღიბეჭდა მარადიულად ქართ-
ველთა გულში, რადგან —

შენ ხარ ილია, დიდი ილია!

და საქრისტიანო საქართველო მოზღვავებული გრძნობებით
ეტრფოდა და ესიყვარულებოდა „ოსმალეთის საქართველოს“ გულის
გულთან მისატანად.

როცა დადგა ჟამი და დედის იქმნა „ოსმალეთის საქართველოს“
ნაწილი, იმ დღეს ზეიმობდა მთელი საქართველო... და მაშინ აკაკიმ
აჭარელთა დებუტაციას ასე უთხრა: — ჩვენი დაცილება არ შეიძლება,
ჩვენი ორად გაყოფა არ შეიძლება, უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკეცდება
და ლხინი კი ნახევრდებაო... დღეს კი, რაკი შევერთღით, უჩვეულო
ლხინი გვაქვს... და ჩემო საყვარელო აჭარავ, რაც ვინდა თხოვე დედას,
იგი აღვისრულებსო. წამოდგა ილია ჭავჭავაძე და იკითხა: რა უჭირსო
ჩემს სათაყვანებელ აჭარას? სულსაც მივცემთ, გულსაც მივცემთ,
ოღონდ ფეხზე დადგეს, მომაგრდეს და აღზევდეს ყოველმხრივ. „დედა
ენა“ უნდაო?! აჰა, შენ აჭარავ, „დედა ენა“... და ილია ჭავჭავაძის ზრუნ-
ვით გაიხსნა პირველი ქართული სკოლა ბათუმში 1881 წელს... და
სამასი წლის შემდეგ, პირველად მიუხსდნენ მერხებს ჩაქურიან-

ყაბალახიანი ბიჭები... და განა აქ არ დაეწაფნენ „დედა ენას“ „შემდგომი ცნობილი მამაცი პატრიოტები — მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები“? როცა ისინი მომწიფდნენ და ეროვნულ ბრძოლის ველზე გაინავარდეს, შეუწყვეტელ ქუხილს ჰგავდა მათი ხმა: — ვინ დამიყო მამული, საქართველო ერთია, ჩვენი მდინარეები დიდ დედაწყალს ერთვით, ვინ დამიყო მამული, საქართველო ერთია!

დიახ, გახარებდა სამხრეთელ პატრიოტ ქართველთა ომახიანი ხმა... შენი სიხარული კი, ჩვენო სათაყვანებლო ილია, დიდი ნუგეში და სათავე იყო ეროვნული სიკეთისა, რადგან — შენ ხარ ილია, დიდი ილია!

ისიც გავიხსენოთ, თუ რამ ავალღელვა, დიდო ილია! რამ და აჭარლებს მუჰაჯირად აყრამ და უცხოეთში გარდახვეწამ. მჭმუნვარედ იკითხე: — რატომ სტოვებენ ჩვენი ძმები სახლ-კარს, მამა-პაპეულ მიწას? რამ აიძულაო ისინი? ეს ყველაფერი რუს წვრილმან, უვიც მოხელეთა ბრალიაო და მათკენ მიმართე შენი ბასრი მახვილი... თანაც მოძმეთ მოუწოდე: — აჭარის დიდ ჭრილობას ჩვენვე უნდა დავადოთ მაღამოო. წადით და პატიოსნად ემსახურეთ ძმებს. თქვენ იყავით შემხებნი, ხალხსა და მეფის მთავრობას შორის. ყოველმხრივ დაეხმარეთ ჩვენს ნატანჯ ძმებს და გაუადვილეთ ჭირ-ვარამიო... და შენს ძახილს მიჰყვნენ ქართველები, ბატონო ილია, რადგან —

შენ ხარ ილია, ილია!

... და როცა წიწამურში ვერაგებმა შუბლში მოგარტყეს ტყვია... და როცა შენს კუბოს დახედა სნეულმა აკაკიმ, გულმოკლულმა ოხვრით თქვა: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ველარა ნახავ!“

დიახ, არ მომკვდარა საქართველო...

დიახ, არ მოკვდება საქართველო...

მაგრამ უშენოდ არ იქნება საქართველო, ქართველთა სათაყვანებლო მამავ, როგორც არ იქნება საქართველო, ურუსთაველოდ... რადგან —

შენ ხარ ილია, დიდი ილია!

და ჩვენ, სამხრეთ საქართველოდან აღჩენილი პატრიოტები მთელი შთაგონებით და რწმენით ფიცს ვდებთ შენს მარადიულ სულთან: ჩვენ მუდამ ვიქნებით შენი გზის ღირსეული, მამაცი მგზავრნი... და თუ საჭირო იქნება, სულს მივცემთ, გულს მივცემთ, სიცოცხლეს მივცემთ ჩვენს გამზრდელ ერს და ქვეყანას. დიახ, შენ გეფიცებით, რადგან —

შენ იყავი მოძღვარი და მამა ქართველი ხალხისა

შენ ხარ ილია, დიდი ილია!

რამაზ ხურამიძე

ილიას პაღლი

თორმეტი ათეული წლის წინათ ილია ჭავჭავაძე ქართველებს აცნობებდა, თუ რა საშინელ დღეში იყვნენ აჭარელი თანამემამულენი, რომლებიც ახლა დედა საქართველოს უბრუნდებოდნენ: „აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა“. იგი რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვდა, ხელი შეეწყო ხალხისათვის, მიშველებოდა ფულით, დაენახვებინა თავისი ყურადღება, კეთილგანწყობილება, მზრუნველობა და გულდადება, ამ საპასუხისმგებლო ქამს ილია მიმართავდა მთელს საქართველოს, გულგრილად ნუ შესცქერით საკუთარი ძმების უბედურებას, უფლება არა გაქვთ ცარიელ გულისტკივილს დასჯერდეთო: „როგორ თრთის და იკრუნჩხება მიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ჭუჭყუამშრალ დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწის ღონემიხდილი დამწეული მამა, იმედდათქმული რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა.... ქართველობაგ.... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებს, რომელნიც დღემდენ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორავით“!

დიდი ილიას ამ შთამაგონებელ მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურა მოწინავე ქართველობა. ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ გიორგი წერეთელი, რომელმაც 1879 წლის 13 თებერვალს ვრცელი წერილი მოათავსა გაზეთ „დროებაში“. წერილს ეპიგრაფად ილიას ლექსი წარუშმძვარა:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,

ეგ ვერაფერი სიყვარულია;

საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,

ვინც ბედისაგან დაიხარულია

ორი დღის შემდეგ, 15 თებერვალს „დროებაში“ გამოჩნდა პირველ შემომწირველთა სია: აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გიორგი წერეთელი, სტეფანე მელიქიშვილი, იოსებ მელიქიშვილი.

მეორე სია გრიგოლ ორბელიანით იწყება. მომდევნო სიებში შემომწირველთა შორის არიან: მოსე ჯანაშვილი, ანტონ ლულაძე, ალექსი ჯყონია, ივ. ალექსი-მესხიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ მაჩაბელი, დიმიტრი ბაქრაძე და მრავალი სხვა ქართველი მოღვაწე... ვის არ შევხვდებით ქველმოქმედთა შორის — თბილისელ ხელოსნებს, ქუთაისელ მოქალაქეებს, სამოსწავლო ინსტიტუტის შეგირდებს, „ღროების“ ასოთამწყობებს, სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს, ფასანაურელ ქალებს, გორელ მასწავლებლებსა და შეგირდებს, დაბა ყვირილას მცხოვრებლებს, ახალციხეში გამართული სპექტაკლის მონაწილეებს, კასპის და საგარეჯოს მცხოვრებლებს, ივრის ხეობის ჯანმრთელობის დამცველი საზოგადოების წევრებს, ჯიბრაილის საბაჟოს ჩინოვნიკებს, ნუხის ინტელიგენციას, პეტერბურგელ მოსწავლეებს, ალიბეგლოს, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, ვაჩანაძიანის, ბაკურციხის მცხოვრებლებს, ვეჯინის და რუისის წარმომადგენლებს, რაჭის მაზრის მარშალს, ერსა და ბერს, დიდსა და პატარას, საქართველოში მცხოვრებ ყველა ტომის წარმომადგენელს.

მოსახლეობის სიბეჩავე და უნუგეშობა სხვა უფრო სერიოზული საშიშროების გამო აღელვებდა ილია ჭავჭავაძეს. თავგზააბნეული ხალხი ძნელად ეგუებოდა ახალ წყობილებას, ახალ ჩინოვნიკებს. მცირე მიზეზიც საკმარისი იყო. რომ დედაბუდიანად აყრილიყვნენ და გადასახლებულიყვნენ. ამის ნიშნები შემოერთებიდან პირველივე დღეებში გამოჩნდა. მიზეზი ბევრი იყო, მაგრამ ძირითად მიზეზად ილიას სამართლიანად მიაჩნია თვითმპყრობელობის ბეცი პოლიტიკა, მეფის მოხელეთა თავგასულობა და ძალმომრეობა. იგი პირდაპირ სვამს კითხვას: რამ მიიყვანა ხალხი ამ საბედისწერო გადაწყვეტილებამდე? და თვითონვე იძლევა პასუხს: „ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნავი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა.... როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალყზე დგება, ამათ შორის, საცა-გამოუსადევი, უხეირო, თავზედ ხელაღებული იყო, ის ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს?... თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდის მიიყვანს საქმეს“...

ილიას ეს ნათქვამიც არ დაუტოვებია ქართველ მოწინავე საზოგადოებას უყურადღებოდ. ახლადშემოერთებულ კუთხეებში, მაზრებსა და სოფლებში იგზავნებოდნენ პატრიოტები, რომლებიც სიკეთისა და ერთგულების თესლს თესავდნენ და აღივებდნენ, მათ შორის იყვნენ: გრ. გურული, ნური ხიმშიაშვილი, მიხეილ მეფისაშვილი, დავით წერეთელი /აკაკის ძმა/, ივანე ჯაიანი, კოწია ერისთავი, ახმედ ხალვაში და სხვა მრავალი ქართველი მამულიშვილი. თუ აჭარა-შავშეთიდან

მოსახლეობის აყრა-გადასახლებას მასიური ხასიათი არ ქონდა. სწორედ ამ აღმიანების დამსახურებაა.

ილიას დიდად აწუხებდა ბათუმის საბაჟოს მოხელეთა თავგასულობა, რომელიც იმ დროს შემოღებულ პორტო-ფრანკოსთან იყო დაკავშირებული. „ივერია“ ხშირად აქვეყნებდა წერილებს მებაჟეთაგან მცხოვრებლების შევიწროებაზე, რასაც საბაჟოს გამგეობის მოხელეთა მწვავე რეაქცია გამოუწვევია, — კორესპოდენტ-ისათვის ტყუილის თქმა შეუწამებიათ. შემდეგ, იმავე საკითხზე კორესპოდენტია მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულა, რის გამო, როგორც „ივერია“ წერს, მთავრობა იძულებული გამხდარა ელიარებინა, რომ „შევიწროებანი“ მართლაც არსებობდნენ და, სხვათა შორის, იგინიც შეიქმნენ მიზეზად, რომ დღეს მთავრობამ საჭიროდ დაინახა ეგრეთ წოდებული „პორტო-ფრანკო“ მოსპობს სამუდამოდ ბათუმში“. 27 ივლისის დებეშით უცნობებით პორტო-ფრანკოს გაუქმება, რასაც ილია ჭავჭავაძე სიხარულით შეხვედრია, ამასთან იგი ამხელს მიზეზს, რამაც გამოიწვია პორტო-ფრანკოს /საქონლის შემოტანა უბაჟოდ და გატანა ბაჟით/ შემოღება.

ილია ჭავჭავაძის გულისტკივილს იწვევდა ბათუმში და მის შემოგარენში მიწათმფლობელობის საქმის მოუგვარებლობა, რაც დიდად უშლიდა ხელს ამ „დიდი მერმისის მომლოდინე“ ქალაქის განვითარებას. საქმე ის იყო, რომ განთავისუფლებიდან 10 წელიწადზე მეტი გავიდა და მიწის საკუთრება ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული, არ ემორჩილებოდა მტკიცედ დადგენილ რაიმე წესს. არავინ უწყობდა, არ უწყობდნენ თვით სასამართლოებიც კი, რა საბუთებით დაედგინათ კუთვნილება მიწისა, რომელსაც კაცი ფლობდა ოსმალეთის მთავრობის დროს. 1879 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ შექმნილი „ბათუმის საადგილმამულო კომისია“ ათი წელი სინჯავდა საბუთებსა და სიგელებს, მაგრამ მიწის კუთვნილების საკითხის გარკვევას თავი მაინც ვერ მოაბა. ილიას თქმით, ასეთი დავიდარაბა დიდად აზიანებდა მოქალაქეთა ინტერესებს და ხელს უშლიდა ქალაქის განაშენება-განვითარებას. იგი 1889 წელს ზედიზედ აქვეყნებს სარედაქციო წერილებს „ივერიაში“, დეტალურად ხსნის ამ გაუგებრობას მიზეზებს და მოითხოვს მიწათმფლობელობის საკითხის, როგორც ქალაქის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობის, დროულ მოგვარებას, ამასთან იძლევა რეკომენდაციებს, რაც ექვს პუნქტად არის ჩამოყალიბებული. ერთი წერილის ბოლოს ილია იმედს გამოთქვამს, რომ ეს აშლილი და აწეწილი საქმე დაბოლოვდება და „როგორც ქალაქი ბათუმი — ისეც იქაური მკვიდრნი თავ-თავის კუთვნილებას ხელ-შეუხებლად და შეურყევლად დაისაკუთრებენ“. როგორც ვიცით, ამას თავისი შედეგი მოჰყვა: მომდევნო წლებში მიწის კუთვნილების

საკითხი გაირკვა და ქალაქმაც ინტენსიურად იწყო განვითარება. ურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძის ახლო ურთიერთობა ბატრიოტ, აბდულ მიქელაძესთან.

აქ სრულიად მოგვაქვს ილიასადმი მიწერილი ა. მიქელაძის წერილი, რომლითაც კიდევ ერთხელ დასტურდება მათი ახლო ურთიერთობა:

„დიდად პატივცემულო, ბატონო ილია გრიგორის ძეგ! თქვენი პატიოსანი წერილი აჭარაში მე გადმომცა ზ. ჭიჭინაძემ, რომელი წერილითაც მე მივიღე თქვენი მოწერილი მადლობა და სალამი. ვალადაც გრაცხ მოგწეროთ და გაცნობოთ ჩემი დიდი მადლობა და სიხარული რომ თქვენი პატიოსანი წერილი მივიღე. დიდად გმადლობთ და გმადლობთ მით უფრო რომ /მზათ ხართ/ უპატრონოთ ქვეყანას, ერს, ქართველ მაჰმადიანებს, რაც შეეხება ჩემ შრომას და მეცადინეობას სასარგებლოდ ჩვენის სამშობლოს ისტორიის ნიშნებს, მე რაც ძალა და ღონე მექნება ვეცდები, რომ ძველი ნივთების კრებას და შეძენას ურადღება მივაქციო და არ მოვაკლო შრომა, რასაც შევიძენ ჩუქვებით და ყიდვით, ყოველთვის თქვენს რედაქციას წარმოვუდგენ და თუ სად, რომელ კუთხეში რა იქნენა შეძენილი, იმასაც ვაცნობებ. ჩემგან წარმოდგენილი სპილენძის გულსაკიდი ნაპოვნია. თქვენს წერილს მე ვინახავ... ზელმწიფის ფერმანივით.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

ავგისტო, 30 დღე, 1984“

ეჭვიც არ არის, რომ მიწერ-მოწერა მომდევნო წლებშიც გაგრძელდებოდა. სამწუხაროდ, აბდულ მიქელაძის არქივი, აუარებელი ზელნაწერები, ძველი სიგელ-გუჯრები, რომლებითაც მან აღადგინა აჭარაში ქართული გვარები, სხვა საბუთები, მთლიანად დაიღუპა მათი პატრონის დაპატიმრების დრო /1913/

ერის მამა მთელ საქართველოსთან ერთად დაიტირა აჭარის დებუტატად. ქართველ მაჰმადიანთა მინდობილობითა და სახელით მემედ აბაშიძემ შეადგინა შემდეგი შინაარსის დებუმა: „ქართველი მაჰმადიანები, აღშფოთებული ნიჭიერი მგოსნის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილიკო ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა. ქართველთა საუკეთესო ძალნი უნდა შეერთდნენ ამ ბოროტმოქმედების გამოსაკვლევად, რომ ამით მაინც შეიმსუბუქონ ეს დიდი სახალხო მწუხარება“.

მემედ აბაშიძემ ილიას დაკარგვით გამოწვეული თავზარდაცემა გამოხატა წერილში „სამშობლოს ძმანო და დანო“! რომელიც „ნიშადურში“ დაიბეჭდა.

ჩვენ არა გვაქვს სამხრეთ საქართველოს კეთილდღეობისათვის დიდი ილიას მიერ გაწეული ღვაწლის სრულყოფილი განხილვის პრე-

ტენზია, ვიტყვით მხოლოდ, რომ აჭარის განთავისუფლებიდან მთელი 30 წლის მანძილზე ამ მხარის მოსახლეობის ცხოვრებაში, არ დარჩენილა რაიმე საკითხი, ერის დიდი წინამძღოლი რომ არ შეხებოდა ბრძენის გონებით, სამშობლოს სიკეთისათვის ანთებული გულით, სათუთი ხელებით.



„ილიას სურდა ქართული ლიგერაგურა აღმოსაფლეთის გაველებისაგან გაენთავისუფლებინა და გაეევროპელებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიგერაგურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრეც იყო. თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა.

არტურ ლაისტი

ბორის მებრეველი

ილია ჭავჭავაძეს

ანაზღად შენს წიგნს ხელში ავიღებ,
ლამაზი ფიქრით გული ბრწყინდება.
სამჯერ თუ ოთხჯერ მაქვს წაკითხული,
კიდევ წაკითხვა რატომ მინდება?

ფრაზების შუქი თვალწინ მიბრწყინავს
და გულში ქრება მძიმე დარდები,
ოცნების ფრთებით ცაში მივფრინავ,
სხვა სამყაროში გადავსახლდები.

მამულზე ფიქრით გულანთებული
შენ იფერფლები, როგორც სანთელი.
მე მაჯადოებს მაღლიან კალმით
გამოძერწილი ხასიათები.

წიგნიდან დინჯად გვესაუბრები,
კაცი ბრძენი და მცოდნე ყველაფრის
წიგნი აზრებით დაყურსულა,
როგორც მტევნებით ქვრივის ვენახი

ჩემი ცრემლები შენს ნაწერს აწვიმს
მსურს დაგემსგავსო მწერლურ მზერაში,
შენი ხატება ცოცხლდება თვალწინ
სახენათელი და ბუმბერაზი.

ოცნების ცაზე მზესავით ჩანხარ
და გული გეწვის, როგორც აბედი.
საქართველო რომ განახა ახლა,
არ მგონია გაიხარებდი

მოგვანატრებია დიდი წარსული,
შუღლია ისევ ბედის მთარსავი.
მამულის მკერდზე ჩანს წიწამური,
შეუხორცებელ კრილობასავით.

ნოზარ ბახილაძე

„ენა საღვთო რამ არის“...

საქართველოს ოდითგანვე გარს ეხვია ურიცხვი მტერი. ვის არ ხიბლავდა და იზიდავდა მისი წარმტაცი ბუნება — ცამდე აწვდილი მთები და აქოჩრილი ველ-მინდვრები, წყალუხვი მდინარეები და ზათიანი ჩანჩქერები... ბევრჯერ დამდგარა დღის წესრიგში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ მაინც არ ჩაუწყდა ბეწვის ხიდი და გადარჩა, არ აღიგავა პირისაგან მიწისა; ზოგჯერ ერთზე ათი მოდიოდა, მაგრამ მაინც არ გავიწირეთ — უფლის ნებით მაინც ვღვებოდით ფეხზე, ღვთის წყალობით მაინც ირწეოდა აკვნები ჩვენს ოჯახებში.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთს შეუერთდა. ქართველი ხალხი იმედოვნებდა რომ ამიერიდან ქვეყანა შვებით ამოისუნთქავდა, მაგრამ აშკარად მოტყუვდა. მართალია, საქართველო გადაურჩა თურქეთისა და ირანის მონობას, მაგრამ ახლა რუსეთმა დაადგა მას ქედზე თავისი კოლონიური მონობის უღელი. ეს იყო ჩვენი სამშობლოს ეროვნული ტრაგედია, რასაც ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა და სისტემატურად ჯანყდებოდა. მეფის რუსეთმა ჯერ იყო და ხმლით ჩააქრო კახეთისა და მთიულეთის აჯანყება, შემდეგ ციმბირს გაამწესა 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი და ბოლოს უფრო საშიშ და მზაკვრულ ხერხს მიმართა — იერიში მიიტანა მშობლიურ ენაზე და ამ გზით განიზრახა ქართველთა სახსენებლის მთლიანად ამოვდება. ამასთან დაკავშირებით ილია წერდა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დავვათმობინა, ვერ წავგართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავჩიით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევიჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დავგაკლო-რა-შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული — კი თან გავვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოვვაცლის, სახელს გავვიქრობს, გავვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს სხვანი დაეპატრონებიან“ /ი. ჭავჭავაძე, ტ. 4 თბ. 1987 გვ. 176/

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იანოვსკები, კატკოვები, ლევიცკები, რუდოლოფები და „ბნელეთის სხვა მოციქულნი“ /ი. გოგებაშვილი/ ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლიდან განედევნათ ქართული ენა, უკიდურეს შემთხვევაში, ისე შეემცირებინათ ქართული ენისა და

ლიტერატურის საათები, რომ ფაქტობრივად იგი მეორეხარისხოვან საგნად ექციათ. მათი მეთაური და სულისჩამდგმელი იყო კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომელიც საქართველოს 1878 წელს მოველინა. ამ წელს იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ სკოლებიდან განდევნა ქართული ენა. ქართველს საქართველოში მშობლიურ ენაზე არა თუ სწავლა-განათლების მიღება, არამედ უბრალოდ საუბარიც კი ეკრძალებოდა.

1902 წელს იანოვსკი გარდაიცვალა. პეტერბურგის პედაგოგიურმა საზოგადოებამ ყოფილი წევრის პატივსაცემად კრება გამართა, სადაც აღინიშნა მისი „დიდი დამსახურება“ ერისა და ქვეყნის წინაშე. კრებაზე ვინმე ველივანოვს უთქვამს: „კავკასიაში თოთხმეტ წელიწადს ვცხოვრობდი. ამ თოთხმეტ წელიწადს ისე შევისწავლე კავკასია, როგორც ჩემი ხუთი თითი, ყოველი მხარე დავიარე, არაფერი არ დამრჩენია უნახავი და უნდა გაუწყოთ, რომ კავკასიელები არ იფიწყებენ თავიანთ ენას... მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ქართველები ცდილობენ /დღემდის მაინც ცდილობდნენ/ მთელი კავკასიის გაქართველებას! წარმოიდგინეთ, ქართველებს უნდათ, რომ ქართული ლაპარაკი იყოს, ქართულად სწირავდნენ“.... /ნ. გრიგალაშვილი, ისტორიის გზაჯვარედინი, ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1990 წ. 27 იანვარი/

აი, ამ ვინმე ველივანოვის ნაცოდვილარში აშკარად ჩანს ის „დანაშაული“, რაც ქართველ ხალხს მიუძღოდა დამპყრობელთა წინაშე. ჩვენდა საბედნიეროდ, გვეყვანდნენ ქედმოუხრელი მამულიშვილები, რომლებიც გაბედულად ებრძოდნენ შავრაზმელებს და, როცა საჭირო იყო, დიმიტრი ყიფიანივით თავსაც სწირავდნენ ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს. ერთ-ერთი ასეთთაგანი სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო. მან პირველმა ყველას გასაგონად განაცხადა: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას ცოდვილის ხელი არ უნდა შეეხოსო“. დიდმა მწერალმა, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის თეორია“ და ხელოვნური ენის „შემოქმედნი“, შემდეგ კი ხმა აიმაღლა იანოვსკი-კატკოვის გეგმის წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიზნად ისახავდნენ ქართული სკოლებიდან მშობლიური ენის გაძევებას. ილიას კარგად ესმოდა დიდი რუსი პედაგოგის კ.დ. უშინსკის სიტყვების აზრი, რომ „სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც... წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი; მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ის ვერასოდეს ვეღარ შექმნის მას; ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნა, მაგრამ ენისა კი — არასოდეს: მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც /კ.დ. უშინსკი, რჩეული პედ.

თხზულებანი, თბ. 1974 გვ. 150/.

კონსტანტინე უშინსკის ამ სიტყვების ჭეშმარიტება რეალურად დაადასტურა ჩვენმა ცხოვრებამ. სამოცდაათი წლის მანძილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის რუკიდან გაქრა ათობით ერი და ეთნიკური ჯგუფი. ამის ძირითადი მიზეზი იყო დედაენის დაკარგვა და რუსული ენის გამშობლიურება, გათავისება.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა“. იგი არის ერის სულიერი ცხოვრების მატრიცა, ის დედაძარღვი, რითაც ადამიანი თავის ერს უკავშირდება. ეროვნული სული, ეროვნული ხასიათი და ფსიქიკა ყველაზე მეტად მეღვანდება დედაენაში. უდედაენოდ არ არსებობს ეროვნული თვითმყოფლობა, ეროვნული კულტურა, ეროვნული აზროვნება და თვითშეგნება. ყოველივე ეს კარგად იცოდნენ იმათ, ვისაც პატარა ერების მოსპობა სურდა. ამიტომ იწყეს სკოლაში ეროვნული ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის განკუთვნილი საათების თანდათანობით შემცირება და ბოლოს თითქმის ნულამდე დაიყვანეს. ამ ფაქტის წინააღმდეგ ერთ-ერთმა პირველმა ილია ჭავჭავაძემ აიმაღლა ხმა. იგი, იაკობ გოგებაშვილთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესა და სხვა სამოციანელებთან ერთად, თავგამოდებით იბრძოდა მშობლიური ენის დასაცავად... „... უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია, — წერდა იგი. — მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი — კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დაზვისაა, დათრგუნვისაა, გათახსიერებისაა, — და განა ეს სასურველია ვისმისთვის“ /ი. ჭავჭავაძე, ტ. 4 თბ. 1987 გვ. 195/

თავისი აზრის განსამტკიცებლად ილია ჭავჭავაძე ხშირად იშველიებს გამოჩენილი პედაგოგების ი. ა. კომენსკის, ჰ. პესტალოცის, ა. დისტერვერგის, კ.დ. უშინსკისა და სხვათა მოსაზრებებს, ზოგჯერ კი პედაგოგიკის მეცნიერებასაც მიმართავს. იგი წერს: „პედაგოგის ძირეული კანონი... ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაგებით უნდათ ბავშვმა რამე ისწავლოსო, ჯერ თავისი /ენა ნ.ბ./ კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო“ /იქვე, გვ. 199/

ამით ილია უცხოური ენების შესწავლის წინააღმდეგ კი არ გამოდის, არამედ ემყარება მეცნიერულად დასაბუთებულ იმ ჭეშმარიტებას, რომ „ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება“ /ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1938, გვ. 209/ თუ ამას არ გავითვალისწინებთ და ერთდროულად დავაწყებინებთ ორივე ენის შესწავლას, მაშინ ბავშვი ამაოდ დაშვრება და ვერც ერთს შეისწავლის და ვერც მეორეს. ამიტომაც იყო, რომ ილია მკაცრად ილაშქრებდა იანოვსკის

გეგმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით დაწყებით სკოლაში /სამწევრიანი კურსით/ რუსული ენა, როგორც სასწავლო საგანი, პირველი კლასიდანვე უნდა შემოედო, მესამე კლასიდან კი ყველა საგანი, ქართულთან ერთად, რუსულადაც უნდა ესწავლებინათ.

დაწყებით კლასებში ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნით ილია რუსული ენის წინააღმდეგ კი არ ილაშქრებდა, არამედ საჭიროდ მიიჩნევდა მის შესწავლას დაწყებითი სკოლის შემდეგ, როცა ბავშვები მშობლიურ ენაში კარგად გავარჯიშებული იქნებოდნენ. იანოვსკიმ კი ყოველივე ეს „დაივიწყა“ და ილიას ცილი დასწამა, თითქოს იგი სკოლიდან რუსული ენის განდევნას მოითხოვდა.

ბრძენ ილიას კარგად ესმოდა დიდი გოეთეს სიტყვების მნიშვნელობა: „ვინც დედაენის გარდა არა ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედაენა იცის“. ამიტომაც მოუწოდებდა იგი ქართველ ახალგაზრდებს, მშობლიურ ენასთან ერთად, საფუძვლიანად შეესწავლათ უცხოური ენები, განსაკუთრებით კი რუსული ენა, რომელსაც თავად ბრწყინვალედ ფლობდა. რუსულ ენას იგი „გონების საზრდოს“ უწოდებდა. „თქმა არ უნდა, — წერდა იგი, — რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ... არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა ჩვენს გონებასა და გამოჰყვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწავებოდეს ამ ორ წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო /და არც ახლა არის ნ.ბ./ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა“... /ი. ჭავჭავაძე, ტ. 4 თბ. 1987 გვ. 277-278/

ილია ჭავჭავაძე ერთი წუთითაც არ კარგავდა იმის იმედს, რომ დადგებოდა დრო და ქართული ენა კვლავ აღსდგებოდა, კვლავ მოიბოვებოდა ჩვენს სკოლებში თავის პირვანდელ უფლებას, ქართველი ბავშვი კი ელირსებოდა ნანატრ ეროვნულ თავისუფლებას. ამ საქმეში ეროვნულ სკოლას საგანგებო როლი უნდა შეესრულებინა.

როგორც დავინახეთ, თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად რთული პერიოდის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძემ ვაჟკაცურად გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ატარა ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელი და ეროვნული დროშა, რომელიც მას ერმა გადასცა, როგორც თავის სულიერ მამასა და წინამძღოლს.

ილია ჭავჭავაძე და ხალხური საუნჯე

ათეული წლების განმავლობაში იმედით უმზერდა და ყურადღებით უსმენდა მშობელი ერი ილია ჭავჭავაძეს. ისიც მოძღვრავდა, „ღმერთთან ლაპარაკობდა“ და წინ მიუძღოდა მშობელ ხალხს. იშვიათია ერი, რომელსაც თავის წინამძღოლად, მამად და უგვირგვინო მეფედ ელიარებისოს მწერალი. ასეთი იყო დიდი ილია.

გამორჩეულად მრავალმხრივი მოღვაწე იყო ილია ჭავჭავაძე. პოეტი დიდია, როცა დიდია მისი პიროვნებაო, — ამბობდა გოეთე. ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი უფრო დიდი იყო — როგორც პიროვნება, თუ როგორც შემოქმედი. მასში მამულიშვილობა, ერისკაცობა, შემოქმედებითი სიმაღლე და სიძლიერე ერთმანეთს ავსებდა და ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენდა მას.

დიდ ილიას სამშობლოსადმი სამსახურის ორ მთავარ ფენომენად ხელოვნება და მეცნიერება მიაჩნდა. ხელოვნებით ადამიანთა სულის აღზრდას, ხოლო მეცნიერებით ადამიანთა აზროვნების განვითარებას ესწრაფოდა. მხოლოდ ხელოვნებით გაკეთილშობილებული და მეცნიერებით განათლებული ადამიანები მიაჩნდა სამშობლოს ჭეშმარიტ მსახურებად და პატრიოტებად. „ცხოვრება ძირია, ხოლო ხელოვნება და მეცნიერება მასზე ამოსული შტოები არიან... მეცნიერება და ხელოვნება ეს ორივე ერთსა და იმავეს მსახურობენ“ — ამბობდა იგი.

ამ კუთხით უდგებოდა ის, აგრეთვე ხალხურ საუნჯეს. ზეპირსიტყვიერებას „დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ“ /ი. ჭავჭავაძე თხზ. II გვ. 502/ და მოითხოვდა „ხალხის ცხოვრების“ ყოველმხრივ და ჰარმონიულად შესწავლას, „იმისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოებების“ შეკრებას.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეთაური. იგი ამ საზოგადოებას უწევდა პრაქტიკულ დახმარებას, აძლევდა მიმართულებას, მითითებას და აგრეთვე, სამოქმედო პროგრამას. ერთ-ერთი ასეთი იყო ხალხური სიტყვიერების შემკრებათავის გამოცემული პროგრამა /1881-1882 წ.წ./ რომლის შექმნასაც უშუალოდ თვითონ

ხელმძღვანელობდა. ასეთი პროგრამის შექმნის ფაქტი თავისთავად ცხადყოფს მის დიდ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას ხალხური ზეპირსიტყვიერი ნიმუშებისადმი. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე თვითონ გვევლინება ფოლკლორული მასალის შემკრებად. ჩვეულებრივი კოლექციონერებისაგან განსხვავებით ის ამ ნიმუშებს პრესაში აქვეყნებდა. გარდა ცალკეული ხალხური ლექსებისა გამოქვეყნდა, აგრეთვე, კრებული „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძის მიერ“ წიგნი პირველი, თფილისი, გამოცემული ი. მელიქიშვილის და ე. ხელაძისაგან, 1873/

ცალკეული ფოლკლორული ნიმუშების შეკრება-პუბლიკაციასთან ერთად ასეთი კრებულის გამოცემა, ფოლკლორული მასალის შემკრება დასახმარებლად სპეციალური პროგრამის შექმნის თაოსნობა, ამასთანავე, ორიგინალურ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებში ხალხური საუნჯის შემოქმედებითი გარდასახვა აშკარად მიუთითებს ილია ჭავჭავაძის შეხედულებასა და დამოკიდებულებაზე ქართული ეროვნული ფოლკლორის მიმართ.

დღეშეთში მოსამართლედ მუშაობის დროს 1871 წელს, ილია დაუახლოვდა მთიულებს, მოხევეებს, ხევსურებს და ფშაველებს, მათგან მოისმინა და ჩაიწერა მრავალი ზეპირსიტყვიერი ნიმუში, მათ შორის ისეთი პოპულარული ლექსები, როგორიცაა: „გავვიძელ ბერო, მინდიაჲ“, „დუყეთს იყრება ლაშქარი“, „ავარდა ბატონიშვილი“, „ვერ გაიგეთა ქართველნო“, „ირემო, მთასა მყვირალო“ და სხვები. ამ კოლექციებიდან სამოცზე მეტი დასახელება დამოწმებულია პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ ოთხტომეულის მეოთხე ტომში /1964 გვ. 308/

ფოლკლორული ნიმუშებისადმი ილია ჭავჭავაძის დიდ სიყვარულსა და ყურადღებაზე მეტყველებს პოეტის თანაკლასელის მეგობრისა და თანამოაზრის კოხტა აფხაზის მოგონება: „მამულის უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა ილიას. მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტიერები და სიამოვნებით უგდებდა ყურს“. /ი. ჭავჭავაძე თხზ. 1950 გვ. 27/

ილია ჭავჭავაძემ ხალხურ საუნჯეს მიმართა თავის ისეთ უკვდავ ნაწარმოებებში, როგორიცაა „განდეგილი“, „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „მეფე ღიმიტრი თავდადებული“, „გლაზის ნაამბობი“ და სხვ. მეტად საინტერესოა პოემა „განდეგილში“ აღწერილი ბეთლემის შედარება თვით ბეთლემის ირგვლივ არსებულ ფოლკლორულ მასალებთან. საერთოდ ამ მასალებისა და, კერძოდ, ცნობილი მოხევური ლეგენდის მიხედვით

ვახუშტი ბატონიშვილმა ჩაიწერა ბეთლემის აღწერილობის
მონაცემები, მასში ვკითხულობთ:

„მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკვეთილნი ფრიად
მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალნი არს,
რამეთუ არს ჯაჭუთი რკინისა, გადმოკიდებული ქუაბიდან, და მით აღვ-
ლენ, იტყვიან უფლის აკუანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა
უსუეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა. უაღად ძირსა მისსა
არს მონასტერი კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ“. /ქართლის
ცხოვრება 1 გვ. 357/.

ფოლკლორული მასალების მიხედვით ბეთლემზე ჯაჭვია გადმოკ-
იდული, ბეთლემში ბერი ცხოვრობს. მწყემსმა ქალმა ბერების წმინდა
აბანოში იბანავა. ამის გამო ხატი ვანრისხდა. მწყემსი ქალი ერთ
კლდესთან შედგა, სინათლე შენიშნა, შველა ითხოვა. ბერმა იგი
ქვაბულში ამოიყვანა. მწყემსი ქალი ცეცხლს მიუჯდა. ქალმა ბერი
აცთუნა. აი, ასეთია ბეთლემის ირგვლივ არსებული ზეპირსიტყვიერი
მასალების ძირითადი მომენტები.

ასეთივე სურათს ვხედავთ ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“. პოემა
მთლიანად ამ სიუჟეტზეა აგებული. ნაწარმოების გენიალობა კი იმაში
მდგომარეობს, რომ იგი ვმობს ცხოვრებიდან გაქცევას, ასკეტიზმს.
როგორც ვხედავთ, ხალხურ სიუჟეტზე დაყრდნობით დიდმა ილიამ
მოგვცა ზოგადსაგანობრიო იდეებით შთაგონებული მსოფლიო
მნიშვნელობის ნაწარმოები. ანალოგიურად შემოქმედებითი მეთოდით
შექმნა ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას „გველის
მჭამელი“, ვოეთეს „ფაუსტი“ და სხვა.

სახალხო გმირი მუდამ იყო სამაგალითო და მისაბადი. მის პირად
მავალითზე იზრდებოდნენ თაობები, ბაძავდნენ მას, თავისთავში
ზრდიდნენ სამშობლოს განუზომელი სიყვარულის გრძნობას. ასეთ
სახალხო გმირს ილია ჭავჭავაძე ადრეული წლებიდანვე ეძებდა. იგი
ვანსაკუთრებული სისავსით გამოიკვეთა პოემაში „აჩრდილი“. ასეთი
გმირი ბედნიერია თუკი სამშობლოსათვის დაიღუპება. „მას
ვანაცოცხლებს სიმღერა ხალხთა“, რომელსაც „აკვანზედ დედა
უმღერებს შვილსა“. ეს სიმღერა გმირის სახელს შორეულ საუკუნეებს
ვადასცემს.

პოემაში ვკითხულობთ:

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება
ნეტა იმ ვაჟვაცს, ნეტა იმ გმირსა
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება“.

/ი. ჭავჭავაძე, ტ. 1 გვ. 136/

ფოლკლორული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი, ცხოვრების

სასიკეთოდ გარდამქმნელი სახალხო გმირის სახე ასე წარმატებით
ჩამოაყალიბა და დაახასიათა პოემაში „აჩრდილი“.

ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის თვალსაზრისით
მეტად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის „რამდენიმე სურათი ანუ
ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. მასში განსაკუთრებით საყურა-
დლებოა სახალხო გმირის არსენას სახე, ურმული სიმღერების ტრადი-
ცია, ცხენის მიერ მხედრის გამოღვიძება და ფოლკლორიდან მომდ-
ინარე სხვა მომენტები.

მთვარიანი ღამის იდილიაში დახატულია მეტად შთამბეჭდავი
სურათი, თუ როგორ „მიჭრიალებს“ და „გზას აღვიძებს“ ურემი. აქ
საინტერესოა ის, რომ მეურმე „მწუხარ სიმღერას დაჰლულუნებდა“,
ხოლო როცა მხედარს კუდიგორის გზა მიასწავლა, „... ისევ უფრო
მწუხარედ თავისი სიმღერა დაიღულუნა“. ხალხური ურმულის
შესრულების ეს ტრადიცია ცოცხალ და შთამბეჭდავ სურათს ქმნის
პოემაში. ნაწარმოების მომდევნო სცენაში ვხვდებით მეტად საინტ-
ერესო სურათს — მოახლოებული უცხო მხედრის დანახვაზე კაკოს
ცხენმა დაიჭიხვინა და მძინარე პატრონი გამოაღვიძა. ეს პლასტიკური
სურათი გააზრებულია ხალხური ეპოსიდან, სადაც ცხენი თავის
მძინარე პატრონს გამოაღვიძებს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან
აცილების მიზნით. ფოლკლორიდან მომდინარე ეს პოეტური სცენა
მეტად პოპულარულია. იგი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“
გვხვდება: მძინარე ტარიელს თავისი ცხენი თითს მოაკვნეტს და ამით
გამოაღვიძებს, რომ ზიფათს გადაარჩინოს.

ილია ჭავჭავაძის პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი
ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მოცემულია სოციალური უსამართლობის
მძაფრი სცენა, მეტად საინტერესოა, რომ სწორედ ამ ეპიზოდთან
დაკავშირებით გამოჩნდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ
მებრძოლი სახალხო გმირის არსენას სახე.

ნაწარმოებში ვკითხულობთ:

„მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლესკაცი, როგორც ძმა ჰყვარებია.

.....

აბა კაციცა ისა ყოფილა

და ქუდიც იმას, ძმავ, ჰხურებია“.

/გვ. 164/

ცნობილი ხალხური ლექსის პოპულარული გმირი არსენა
ოძელაშვილი არის როგორც ავტორის, ასევე მისი პოემის სახელოვანი
პერსონაჟების — კაკოსა და ზაქროს იდეალური გმირი. აქვეა ლაპარაკი
ისეთ ხალხურ ტრადიციაზე, როგორიცაა ზღაპრის მოყოლის მორ-
იგეობითობა. ცნობილია, რომ ასეთი შემოქმედებითი მეთოდით შეი-

ქმნა „ათას ერთი ღამის ზღაპარი“.
განსახილველ პოემაში ვკითხულობთ:
„სალამოს ჟამზედ ისევ იმრიგად
ცეცხლსა ანთებულს მივუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგედ
თითქოსდა მაინც ყველა ვიტყოდით“.

1867/

ასეთი ყურადღებითა და შემოქმედებითი სიფაქიზით ეკიდებოდა ი. ჭავჭავაძე ფოლკლორულ მასალას, ქმნიდა მეტად დასამახსოვრებელ პოეტურ სცენებს და შთამბეჭდავ პერსონაჟებს.

სიუჟეტური თავისებურებებით, გამოსახვის საშუალებითა და პატრიოტული ჟღერადობით მეტად საინტერესო ილია ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. იგი ისტორიული ხასიათისაა. ცნობილია, რომ მონღოლთა ყაენს ქართველები აუჯანყდნენ. ამის გამო ქვეყანას აოხრება ემუქრებოდა. ქვეყანა აოხრებისაგან რომ გადაერჩინა, ქართველთა მეფე დიმიტრი თავად წავიდა ყაენთან. ილია ჭავჭავაძის დასახელებულ ნაწარმოებში ლაპარაკია მეფე დიმიტრის თავდადებასა და პატრიოტობაზე. ყოველივე ეს გადმოცემულია საინტერესო პოეტური ხერხით. იგი ნასაზრდოებია ამბის თხრობის ხალხური ტრადიციით: საყდრის წინ თავმოყრილმა ხალხმა თხოვნით მიმართა ბრმა მეფანდურეს, ფანდურზე დაემღერებია ისეთი რამ, რაც „გულს ჟანგს მოაშორებდა“, დარდს შეუმსუბუქებდა. ბრმა მეფანდურემ აიღო ფანდური და დაამღერა. მისი შთამავონებელი სიტყვების საშუალებით გაიგო ხალხმა, თუ ვინ იყო, რას წარმოადგენდა ქართველი ერი წარსულში, როგორ სწირავდა ხალხი თავს ქვეყნის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

მეფანდურემ სიმღერა ასე დაიწყო:

„მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით.

გეტყვით გულის გასათბობსა.

ვინ ვიყავით, რა ვიყავით

ჩვენ ქართველნი წინა დროსა“

1878/

ასე საინტერესოდ გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ სახალხო მომღერლისა და მთქმელის ტრადიციული ხალხური სახე, მისი საინტერესო ლექს-სიმღერითა და თხრობით ხალხის დარაზმვა და პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება.

ზღაპარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრია ხალხურ შემოქმედებაში. მას ყველა ასაკის ადამიანები სიამოვნებით ისმენენ და კითხულობენ. ზღაპარს ყოველთვის დიდი სიყვარულითა და ყურადღებით ეპყრობოდნენ გამოჩენილი ადამიანები. ალ. პუშკინის

სიტყვით, ზღაპარი, მართალია, სიცრუეა, მაგრამ იგი ჭკვიანი ახალგაზრდისათვის ბრძნული გაკვეთილია.

ასეთივე დიდი სიყვარულით ეპყრობოდა ზღაპარს ილია ჭავჭავაძე. იგი პერსონაჟის პირით ამბობს, რომ ვინც „წიგნი იცის“ და ვისაც ზღაპრის კითხვა შეუძლია, იგი ბედნიერი კაცია, მის „ბედს ძალლი არ დაჰყევს“.

ილია ჭავჭავაძის ცნობილ ნაწარმოებში „გლახის ნაამბობი“, ვკითხულობთ:

„— ეგ რა არის? — ვკითხე და დავანახვე წიგნი.

— ზღაპრების წიგნია

— აბა, თუ ღმერთი გწამს, წაიკითხე, მეც გავიგონო, — ვუთხარი მე ხვეწნით.

დამიჯერა იმ კაი კაცმა და დაიწყო ისეთნაირად კითხვა, რომ ღმერთო შეგცოდნე, შური მომერივა... მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხა, ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყევდა“. /ი. ჭავჭავაძე ტ. 2 გვ. 41-42/

ზღაპარს დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს. მას ახასიათებს აგრეთვე ესთეტიკური და აღმზრდელობითი ფუნქცია. დიდი ილიასათვის ფოლკლორული ნაწარმოების როგორც შემეცნებითი, ასევე ესთეტიკური და აღმზრდელობითი თვისებები მეტად მნიშვნელოვანი იყო ადამიანთა სულის გასაყვითელშობილებლად. ამიტომაც არის, რომ ფოლკლორულ ნიმუშს „ხალხის გენიას“, „შეუცდომელს“ და „ყოველთვის მართალს“ უწოდებს. ფოლკლორისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ყველაზე რელიეფურად გამოჩნდა ნაწარმოებში „კაცი-ადამიანი?!“ მასში ვკითხულობთ:

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირსუკანაო“ სადა ხარ ახლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი სადაცა ხარ, ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვია: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“ /იქვე, გვ. 124/

ილია ჭავჭავაძე ამავე ნაწარმოებში კიდევ უფრო აღრმავებს თავის აზრს ანდაზის მიმართ და მას ისევე „დაურღვევლად“ მიიჩნევს, როგორც — ქვეყანას.

„მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

სწორედ ასეთი სიყვარულისა და ყურადღების შედეგია, რომ ანდაზები მარჯალიტებივითაა გაბნეული ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში. მის მდიდარ, მრავალმხრივ და მრავალფეროვან შემოქმედებას გამომსახველობითი სიზუსტე, სიტყვის ძალა და აზრის

სინატიფე შეკმატა ხალხურმა სიბრძნემ. ვახტანგ კოტეტიშვილის ცნობით, ილია ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში გამოიყენა ორას ოთხმოცდათორმეტი ანდაზა ექვსასჯერ, სხვადასხვა შემთხვევასა და სიტუაციაში. /ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები 1967 გვ. 29/ ეს თავისთავად მიუთითებს, თუ რაოდენ აქტიურ და მუდმივ შემოქმედებით ბრუნვაში იყო ხალხური სიბრძნის ისეთი ზუსტი და კონდენსირებული ფორმულა, როგორიცაა ანდაზა. მას დიდი მწერალი აზრის მიზანსწრაფულ გამოხატულებად იყენებდა. ამიტომაც იყო, რომ იგი ზუსტად და ამომწურავად პასუხობდა ცხოვრებისეულ კითხვებს, წამოჭრილს მხატვრული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სფეროებიდან. ხალხი უსმენდა დიდ ილიას და სჯეროდა მისი, როგორც წინამძღოლის, მასწავლებლის, მრჩეველის, ჭირისუფლის, დიდი შემოქმედისა და დიდი მოღვაწის. ილიაც უსმენდა ხალხს, ანუგეშებდა, აიმედებდა და არწმუნებდა, რომ „მარად და ყველგან“ დარჩებოდა მასთან, სამშობლოსთან, როგორც „თანამდევი უკვდავი სული“



„არც ერთ ქართველ მწერალს გახულ საუკუნეში ისეთი ლოგიკურად გამიჯნული და მტკიცე მსოფლმხედველობა არ ჰქონია, როგორც ილია ჭავჭავაძეს, გარდა, ამისა, ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა ის, რაც მის საუკუნეში არამც თუ არც ერთ ქართველ მწერალს, არც ერთ ქართველს არ ჰქონია, ის იყო პიროვნება“.

კონსტანტინე გამსახურდია

ლავრა გომრავაძე

გრიგოლ ვოლსკი და პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში,
ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად
და სატევრად-ხმალი ხელში.

18-19-ე ს.წ.

1879 წლის დამდეგს „ივერიამ“ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, რომელიც იმ დროისათვის უაღრესად საყურადღებო მოვლენა იყო და კარგად „...ეხმაურებოდა გვიანდელ თერგდალეულთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პროგრამას“ /ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მე-13-14 საუკუნეებში, თბილისი, 1967 გვ. 157/.

პირველი, ვინც ამ ნაწარმოებს შეეხო და უარყოფითად შეაფასა კიდევ, მაშინ უკვე ცნობილი პუბლიცისტი გიორგი თუმანიშვილი /1845-1920/ იყო.

მის კვალს მიჰყვა ასევე გამოჩენილი მოღვაწე და კრიტიკოსი ალექსანდრე სარაჯიშვილიც /1851-1914/

ამ ნეგაციას იმავე წელს პირველი აღუდგა წინ ახალგაზრდა მგოსანი გრიგოლ ვოლსკი /1859-1909/.

თავისი უზადო ნიჭის წყალობით ვოლსკის /უმწიფარიძე/ არ გაძნელებია ამ პოემის არსში ჩავდომა და მკაცრადაც გამოეპასუხა წინამორბედ რეცენზენტს.

მგოსანი ალ. სარაჯიშვილის თითქმის არცერთ გამონათქვამს არ ტოვებს უყურადღებოდ და მისთვის ჩვეული გონებამახვილობითა და შეუპოვრობით ცდილობს მათ უარყოფას.

გრ. ვოლსკი დიდად აღუშფოთებია მეფის ილიასეული პორტრეტის არსში გაურკვევლობას და მის „უცნაურ ვმირად“ გამოცხადებას, რომლის მოქმედებაც თითქმის „...უფრო გულშემატკივარ ხუცესის საქციელსა ჰგავს, ვინემ მამულიშვილისას ან გმირისას“ /დროება, 31, 1879 წელი/

„თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დაამახინჯეთ პოეტისაგან

გამოხატული დიმიტრი“ — წერს გრ. ვოლსკი და შთამბეჭდავად ესწრაფვის ბატონი კრიტიკოსის მოსაზრებათა გაბათილებას.

საგულისხმოა მისი აზრი ბრმა მეფანდურეზეც. იმ დროს, როდესაც ალ. სარაჯიშვილი ამ პერსონაჟს სრულებით აცალკავებდა პოემის ავტორისაგან /და დაბალი წარმოდგენისაც იყო მასზე /გრ. ვოლსკი პირიქით, მეფანდურესა და პოეტს მთლიანობაში წარმოგვიჩენს და სწორადაც შენიშნავს: „დიდი შეცდომაა... პოეტისა და მეფანდურის გაცალ-ცალკეება“.

და შემდეგ:

„პოეტი, მეფანდურეც რომ თავიდან მოგვეცილებინა, ერთ ნამცეცს არ ავიხსნიდათ და არ გამოთქვამდა იმაზე მეტს, რაც ახლა არის გამოთქმული“ /„დროება“, №34, 1879/

საფიქრებელი იყო, რომ ნიჭიერი მოღვაწის ამ საყურადღებო გამოსვლით რამდენადმე მაინც შეიცვლებოდა ვითარება, მაგრამ ეს არ მოხდა და სილოვან ხუნდაძემ /1860-1928/ კვლავ მიმართა მახვილი ამ ნაწარმოებისადმი. მართალია, ის ალ. სარაჯიშვილივით აღარ იწუნებს მოხუც მეფანდურეს, მაგრამ სამაგიეროდ ისე წარმოაჩენს მას, რომ მეფე მის ჩრდილადაც ძნელად აღიქმება /„კვალი“ №18 1894/

ს. ხუნდაძემ ყამთააღმწერელის მონათხრობისა და პოემის შედარებაც სცადა, მაგრამ მაინცა და მაინც მნიშვნელოვანი განსხვავებანი ვერ შენიშნა და ასეთი დასკვნა შემოგვთავაზა: „პოეტის ფანტაზიასა და აღმაფრენას აქ ბევრი არაფერი უმუშავნია“ —ო.

გრ. ვოლსკი „კვალის“ აქტიური მკითხველი იყო და არ შეიძლება ინტერესით არ გაცნობოდა ს. ხუნდაძის წერილსაც, მაგრამ იმ დროს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ხმოსანთა არჩევნების მომზადებით იყო დაკავებული და ქუთაისელი კრიტიკოსის საპასუხოდ აღარ ეცალა.

ნიჭიერი პოეტისა და კრიტიკოსის მახვილ თვალს არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდა ის სიახლენი, რაც ილ. ჭავჭავაძის ამ პოემას გააჩნდა მე-14 საუკუნის ქართველ ისტორიკოსთან შედარებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მართო ეპითეტ „თავდადებულის“ ასე წინ წამოწევა რად ღირდა.

ყამთააღმწერელს არა აქვს ეს ეპითეტი ისე გამოკვეთილად ნაჩვენები, როგორც ილ. ჭავჭავაძეს.

მე-14 საუკუნის ისტორიკოსი მეტწილად „სულის დადებასა“, „სულის განწირვასა“ თუ „თავის განწირვაზე“ ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ საბოლოოდ ყველას მაინც „წამებულს“ ამჯობინებს /„ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი 1959. გვ. 288-290/

ილ. ჭავჭავაძეს, როგორც ჩანს, ცოტა არ უფიქრია ეპითეტთა ამ

სიმრავლიდან თავისი ღროისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი და მეტყველის ამორჩევაზე.

მართალია, ეს ეპითეტი /„თავ-დადებული“/ უკვე ვახუშტი ბაგრატიონს /მე-18 ს./ ჰქონდა გამორჩეული /ვახუშტი, საქართველოს ისტორია 1, დიმიტრი ბაქრაძის გამოცემა, ტფილისი, 1885 გვ. 259/. მაგრამ ილიამ მას სულ სხვა ადგილი მიუჩინა ამ მეფის ცხოვრებაში.



„ილია ჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საოცარი ორაგორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძეგლსავით ეჭირა. მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვევებდა, და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო.

მიხეილ ჯავახიშვილი.

ანზორ ლორთქიფანიძე

მოხევური კილო ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“

ილიას მიერ გამოყენებული მოხევური კილოს ნიმუშები, საინტერესო მასალას გვაწვდის ძველი ქართული ენის გრამატიკის საკითხების შესწავლის თვალსაზრისით. ამ მიმართებით საყურადღებოა ზმნათა ფორმები: მოხევური კილო განსაკუთრებით გამოირჩევა ზმნათა არქაული უღლებითა და ფორმებით. ამ კილოკავში ფშავ-ხევსურულთან ერთად შემონახულია ხოლმეობითის ფორმები და განსაკუთრებით აწმყოს ხოლმეობითისა.

„მგზავრის წერილებში“ არაერთგზის გვხვდება აწმყოს ხოლმეობითის ფორმები. ასე, მაგალითად: „ქართველ ვარნ, მახევე“. „შენ რაი მილეთის ხარნ?“ „ტალავარ არა გაქვენ ქართველთა, რუსად მორთულხარნ“. „იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის“. „გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ“.

„მგზავრის წერილების“ მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ მოხევური კილოს აწმყოს ხოლმეობითის ფორმების უღლება პირთა მიხედვით: 1 პირი: ვ-არ-ნ, 2 პირი: ხ-არ-ნ, 3 პირი: არ-ნ-

აკად. აკ. შანიძის განმარტებით აწმყოს ხოლმეობითი „გამოხატავს მრავალგზის გამეორებულ მოქმედებას წარსულში, ან ისეთ მოქმედებას რომელიც ჩვეულებრივია და მარადის ხდება“ / აკ. შანიძე, ძველი ქართული ენა, თბ. 1976 წ. გვ. 63/

თუ დავუკავშირდებით „მგზავრის წერილებში“ ლელთ ღუნისას საუბარში დადასტურებულ ზმნათა ზემოთმოტანილ ფორმებს, ისინი კონტექსტის მიხედვით თვალნათლად აწმყოს ხოლმეობითის შინაარსს გამოხატავენ აკად. შანიძის განმარტების თანახმად და განსხვავდებიან ჩვეულებრივი აწმყოს ფორმისაგან. მართალია, ახალი ქართულისათვის ჩვეულებრივი აღარ არის აწმყოს ხოლმეობითის მორფოლოგიური ნიშნებით გამოხატვა და ასეთი ფორმები აწმყოს მწკრივის ზმნებით გამოიხატება ლექსიკური საშუალებით „ხოლმეს“ გამოყენებით, მაგრამ მოხევური კილოს ზემოთ მოტანილი ფორმები ინარჩუნებენ ძველი ქართულის არქაულ ფორმას და აწმყოსაგან მორფოლოგიური ნიშნებით განირჩევიან.

რაც შეეხება მოხევური კილოს ძველ ქართულთან მიმართებისას,



ეს კილოკავი აწმყოს ხოლმეობითის წარმოების მიხედვით განსხვავდება რამდენადმე და, ალბათ, უფრო ადრინდელ და საყოველთაო პრეისტორიულ კანონზომიერებას ემყარება. საქმე იმაშია, რომ ძველ ქართულში დადასტურებული აწმყოს ხოლმეობითის ფორმები აწმყოს ზმნებისაგან თავისი მორფოლოგიური ნიშნებით მხოლოდ 3 პირის ზმნებში განირჩევიან ორსავე რიცხვში. მაგალითად, აწმყოში თუ გვექონდა არ-ს /ის/ არი-ან /ისინი/ აწმყოს ხოლმეობითში შესაბამისად გვექონდა არ-ნ /ის/ და არი-ელ /ისინი/.

რაც შეეხება მოხვეურ კილოს, მასში დადასტურებული ილ. ჭავჭავაძისეული 1-2 პირის მორფოლოგიურად გამოხატული აწმყოს ხოლმეობითის ფორმები გვაფიქრებინებს, რომ დავსვათ ასეთი კითხვა: ხომ არ შემოუნახავს მოხვეურ კილოს აწმყოს ხოლმეობითის მწკრივის უფრო არქაული ფორმა, რომელიც თავდაპირველად შესაძლოა საერთო წესი ყოფილიყო დანარჩენ ქართულ დიალექტებშიც? ეს კი გვაფიქრებინებს, რომ შემდგომ ზოგიერთ დიალექტში თანდათან შეიზღუდა და პირნაკლი გახდა, რასაც თავისი მიზეზი უნდა ჰქონოდა. კერძოდ ის, რომ თუკი მე-3 პირის ფორმებში აწმყოს ხოლმეობითის მაწარმოებელი „ნ“ სუფიქსი პირის ნიშანია, 1-2 პირის ფორმებში, ერთპირიან ზმნებში, ცხადია, პირის ნიშანი არ არის და ვერც იქნება „ნ“ სუფიქსი, რადგანაც ამ ფორმებში პირის ნიშნებად „ვ“ და „ხ“ პრეფიქსები გვაქვს. სწორედ ამიტომ ილ. ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილი მოხვეური კილოს ერთპირიანი ზმნის ფორმებში: ვ-არ-ნ /მე/, ხ-არ-ნ /შენ/ და არ-ნ /ის/ „ნ“ სუფიქსი 1-2 პირის ფორმებში პირის ნიშანი კი არ არის, არამედ -აწმყოს ხოლმეობითის მორფოლოგიური ნიშანი. რაც შეეხება 3 პირის ფორმას არ-ნ /ის/, აქ „ნ“ სუფიქსი ერთდროულად 3 სუბიექტური პირის ნიშანიცაა და აწმყოს ხოლმეობითის მორფოლოგიური ნიშანიც.

რაც შეეხება ორპირიან ზმნებს, ამ შემთხვევაში „ნ“ სუფიქსი ერთდროულად პირის ნიშანიც არის და ხოლმეობითის მორფოლოგიური ნიშანიც. ქართული ენის აღმოსავლურ კილოკავების ორპირიან ზმნებში დღემდეა შემორჩენილი ხოლმეობითის ფორმები, განსაკუთრებით ობიექტური წყობის ინვერსიულ ზმნებში, რომლებიც მორფოლოგიური თვალსაზრისით გარდაუვალია, მაგრამ სინტაქსური თვალსაზრისით—გარდამავალი. ამ ზმნებს ამის მიხედვით ინვერსიულად აქვთ სუბიექტ-ობიექტის პირის ნიშნები გამოხატული და განსხვავდებიან გარდამავალი ინვერსიული და გარდაუვალი არაინვერსიული ზმნებისაგან. გარდამავალი ინვერსიული ზმნებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ ყველა სერიის მწკრივში ინვერსიულად აქვთ გამოხატული სუბიექტ-ობიექტის პირის ნიშნები, როცა გარდამავალი და ნახევრადგარდამავალი /საშუალო გვარის/ ზმნები მხოლოდ 3 სერი-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის მწკრივებში განიცილიან ინვერსიას, სწორედ ამიტომ ასეთი ზმნები ბოლო დრომდე რამდენადმე განსხვავებული ფორმით ეწარმოებათ აწმყოს მწკრივის ფორმა, რაც ჩვენი აზრით, აწმყოს ხოლმეობითის გადმონაშთი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა ასეთი ინვერსიული ზმნა უმეტეს შემთხვევაში მრავალგზის გამეორებული მოქმედების წარსულში ან განუწყვეტელი მოქმედების შინაარსის გამოხატველია. ორპირიანი აწმყოს ხოლმეობითის მწკრივის ფორმები განსხვავებით ერთპირიანებისაგან პირნაკლი არაა და მათ სამივე გრამატიკული პირის ფორმები ეწარმოებათ.

„გზავრის წერილებში“ გვხვდება მრავალი ასეთი ორპირიანი ხოლმეობითის გამოხატველი ზმნები, როგორც აწმყოს ხოლმეობითის მწკრივისა, ასევე სხვა მწკრივებისაც. ასე, მაგალითად: ილია ჭავჭავაძე მოხვევ ლელთ ღუნიას ეკითხება: „რა გქვია, ძმობილო?“ ამ წინადადებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორპირიანი ინვერსიული ზმნა გ-ქვ-ი-ა-ნ /შენ ის/. ამჟამად ჩვეულებრივ ვხმარობთ სალიტერატურო ფორმას გ-ქვ-ი-ა /შენ ის/, /ამ და ამგვარი ინვერსიული შინაარსის ზმნების მიმართ ქართულ ენათმეცნიერებაში ორგვარი თვალსაზრისი გვაქვს: ერთის მიხედვით, რომლებიც თავდაპირველად ჩამოაყალიბა აკად. არნ. ჩიქობავამ თავის წიგნში „მარტივი წინადადებების პრობლემა ქართულში“, ისინი სხვადასხვაგვარი სინტაქსური შინაარსისა და მორფოლოგიური აგებულებისაო არიან. ე.ი. სუბიექტ-ობიექტი ინვერსიულად აქვთ გამოხატული. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, რომელიც განავითარა აკად. აკ. შანიძემ, ასეთი ზმნები გარდაუვალი არიან მორფოლოგიურადაც და სინტაქსურადაც. ე.ი. სუბიექტ-ობიექტი ინვერსიულად არა აქვთ გამოხატული. მე პირადად ვემზრობი და ვიზიარებ პირველ თვალსაზრისს, თუ რატომ და რისთვის, ეს ცალკე საუბრის თემაა და ამჟამად იგი ნაშრომის მიზანს სცილდება/.

მაშასადამე, გ-ქვ-ი-ა-ნ /შენ ის/ ისტორიულად აღმოსავლურ დიალექტებში აწმყოს ხოლმეობითის ფორმა უნდა ყოფილიყო და სწორედ ამ მიზნით უნდა ჰქონოდა დართული „ნ“ სუფიქსი, რომელიც ამ შემთხვევაში პირის ნიშანიცაა და აწმყოს ხოლმეობითის მწკრივის მაჩვენებელიც. ეს ზმნა მართლაც ხოლმეობითის შინაარსისა ყოველთვის და მრავალგზის გამეორებულ განუწყვეტელ მოქმედებას გამოხატავს. სწორედ ამიტომ მას აწმყოს მწკრივი ძველ ქართულში რეალურად არც უნდა ჰქონოდა, ალბათ ამიტომაცაა, რომ იგი თითქმის ყოველთვის „ნ“ სუფიქსიანი ფორმით გვხვდება ლიტერატურულ წყაროებში. ასე, მაგალითად, დავიმოწმეთ „ვეფხისტყაოსანი“ „მოშაირე არა ჰქვია, თუ სადმე თქვას ერთ, ორი“. /„ვტ“, თბ. 1992 წ./; „მიჯნური შმაგსა გვქვია აზაბულითა ენითა“ /„ვტ.“ 1992 წ./; „მე

ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა მწველისა“/ ასევე, „ნ“ სუფიქსიანი ფორმით გვხვდება ეს ზმნა, ვაჟა-ფშაველასთან პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“:

„რა გქვიან, სახელი მითხარ,
ხეცსური ჩანხარ ივრით
— ნუნუა მქვიან, ძმისაო,
გადმოხვეწილი ჭიელით“.

მაშასადამე, ორი პირის მქონე ეს ზმნა სამივე გრამატიკული პირის ფორმებში „ნ“ სუფიქსით წარმოგვიდგება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი აწმყოს ხოლმეობითის მწკრივისაა და არა-აწმყოს მწკრივისა. ამის მიხედვით ეს ზმნა ასე იუღლებს: მ-ქვი-ან /მე ის/, გ-ქვი-ან /შენ ის/ და პ-ქვი-ან /მას ის/ და რომ ეს ასეა და „ნ“ სუფიქსი ამ შემთხვევაში აწმყოს ხოლმეობითის მაწარმოებელია როგორც 3 ობიექტური პირის ნიშანი ინვერსიის საფუძველზე, ამას ადასტურებს ძველ ქართულში დადასტურებული ზმნები. პროფ. ივ. იმნაიშვილის წიგნში „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია: მოტანილი მაგალითებიდან დავიმოწმებთ ერთი და იმავე ზმნის, როგორც აწმყოს, ასევე აწმყოს ხოლმეობითის ფორმებს: აწმყოს მწკრივის ფორმა /დასახ. წიგნი 1971 წ. გვ. 277/ „არა გმოსიეს სამოსელი ქორწილისა“ აწმყოს ხოლმეობითი: „არამედ ჰმოსიენ მას სელისა სამოსელი“. გ-მოსი-ეს /შენ ის/ აწმყოს მწკრივის ფორმაა, ხოლო გ-მოსი-ენ /შენ ის/ აწმყოს ხოლმეობითის ფორმა. ოღონდ ეს ზმნა ინვერსიული არაა ისევე, როგორც გ-აცვი-ა /შენ ის/ და სუბიექტია ის /„სამოსელ“/ ხოლო შენ — ობიექტი. მაგრამ გვაქვს ინვერსიული ტიპის ზმნის აწმყოს ხოლმეობითის ფორმაც, რომელიც მოტანილია ივ. იმნაიშვილის მიერ /გვ. 280/: „ხოლო ამასზედა ნუ გიხარიან“ გ-ი-ხარ-ი-ნ /შენ ის/ ინვერსიული ორპირი და ამ ტიპის ზმნათა უღლების ფორმები სამივე გრამატიკულ პირში: 1 პ. მ-ი-ხარ-ი-ნ /მე ის/, 2 პ. გ-ი-ხარ-ი-ნ /შენ ის/ და 3 პ. უ-ხარ-ი-ნ /მას ის/ ამის მიხედვით აწმყოს მწკრივში იქნებოდა ასეთი ფორმები: 1პ: მ-ი-ხარ-ი-ა, 2პ: გ-ი-ხარ-ი-ა და 3 პ: უ-ხარ-ი-ა; როგორც ჩანს, შემდეგ ზოგიერთ დიალექტში მოხდა თავდაპირველად არსებული საერთო წეს-ნორმის აღრევა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმების საწარმოებლად აწმყოს მწკრივის ფორმას დამატებით დაერთო ნ სუფიქსი: 1პ: მ-ხარ-ი-ან, გ-ი-ხარ-ი-ან, უ-ხარ-ი-ან. აღმოსავლური კილოს წარმომადგენელ მწერალთა ნაწარმოებებში ჩვეულებრივად ასეთი ფორმები არცთუ იშვიათად გვხვდება.

რაც შეეხება დასავლურ კილოებს, კერძოდ აჭარულს, აქ ასეთ ინვერსიულ ზმნებში „ნ“ სუფიქსით ინვერსიული სუბიექტის მრავლობითი რიცხვია გამოხატული: უ-ხარ-ი-ან /მათ ის/, ს-ძულ-ან /მათ ის/, პ-გონ-ი-ან /მათ ის/, უ-კავ-ი-ან /მათ ის/, უ-ყვარ-ან /მათ ის/, აქვან

მათ ის/ ს-ცივ-ან /მათ/ ს-ძინვ-ან /მათ/ და ა.შ. აჭარულში, ან სუფიქსით ინვერსიული ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება როგორც მხოლოდითი რიცხვის სამივე გრამატიკული პირის ფორმაში, ასევე, მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ფორმებში.

მართალია, ინვერსიულ ზმნებში საყოველთაო წესით არ გვაქვს ყველა პირის ფორმაში აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმები დაპირისპირებული, მაგრამ ერთ-ერთ ზმნას, რომელიცაა ა-ქვ-ს /მას ის/, ყველა პირის ფორმა ეწარმოება როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში შდრ: ა-ქუ-ს /მას ის/ და ა-ქუ-ნ /მას ის/ ან ა-ქუნ-ს /მას ის/ და ა-ქუნ-ნ /მას ის/ მხოლოდით რიცხვში და ჰ-ქონ-ან და ჰ-ქონ-ედ მრავლობით რიცხვში /დეტალურად იხ. ივ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 245/

დავუბრუნდეთ „მგზავრის წერილებს“. აქ, როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს ინვერსიული ზმნების აწმყოს ხოლმეობითის ფორმებიც: „ადგილ არაა გონჯაი, პატარა გვაქვან“. „ტალავარ არ გაქვან ქართველთა“. გვ-აქვ-ნ /ჩვენ ის/ და გ-აქვ-ნ /შენ ის/ აწმყოს ხოლმეობითის ფორმებია.

მაშასადამე, ობიექტური წყობის ინვერსიულ ზმნებს, როგორც ძველი ქართულის ლიტერატურული წყაროები და „მგზავრის წერილები“ ადასტურებენ, ნაწილობრივ ორსავე რიცხვში ეწარმოებოდათ აწმყოს ხოლმეობითის ფორმები სამივე გრამატიკული პირის მიხედვით. სუბიექტური წყობის ზმნები, რამდენადმე განსხვავებულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათ აწმყოს ხოლმეობითის ფორმები მხოლოდ 3 პირის ფორმაში ეწარმოებოდათ როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში ასეთ ზმნებში მხოლოდობის მორფოლოგიური მაწარმოებელი მხოლოდითი რიცხვის 3 პირში არის „ნ“ სუფიქსი, ხოლო მრავლობითი რიცხვის 3 პირში — „ედ“ სუფიქსი. ეს წესი საერთო და საყოველთაო ყველა ზმნისთვის. ობიექტური წყობის ზმნებში კი, თუ საერთოდ არაა, ზოგიერთი ზმნის ხოლმეობითობას აწმყოში აწარმოებს როგორც „ნ“ სუფიქსი ორსავე რიცხვში, ასევე „ედ“ სუფიქსი — მრავლობით რიცხვში. ამიტომ ასეთ ზმნაში მორფოლოგიურად არ განირჩევა მხოლოდითი და მრავლობითი 3 პირის ფორმებში, რადგან პირის ნიშნად ორსავე რიცხვში „ნ“ სუფიქსი გვაქვს. ასე, მაგალითად: აქუ-ნ /მას ის/ ან აქუნ-ნ /მას ის/ და აქუ-ნ /მათ ის/ ან აქუნ-ნ /მათ ის/; ჰ-ქონ-ედ /მას ისინი/ და ჰ-ქონ-ედ /მათ ისინი/.

„მგზავრის წერილები“-ს მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ საყოველთაოდ არაა, თავდაპირველად მოხვეწურ კილოში მაინც იწარმოებდა აწმყოს ხოლმეობითი სუბიექტური წყობის სამივე გრამატიკულ პირში. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, როგორც აღვნიშნეთ, ერთპირიანი არის /ის/ ზმნის აწმყოს ხოლმეობითის

ფორმები: 1პ: ვ-არ-ნ /მე/, 2პ: ხ-არ-ნ /შენ/ და 3პ: არ-ნ /ის/ თუკმა პირის ფორმაში არ-ნ /ის/ „ნ“ სუფიქსი პირის ნიშნად ითვლება, 1-2 პირის ფორმებში: ვ-არ-ნ /მე/ და ხ-არ-ნ /შენ/ ეს გამოირიცხებულია, რადგან ზმნა ერთპირიანია. ამიტომ აქ „ნ“ სუფიქსი მხოლოდ აწმყოს ხოლმეობითის მაჩვენებელი უნდა იყოს. მრავლობით რიცხვში კი შეიძლება სხვა ვითარება გვქონდეს. ამ შემთხვევაში „ნ“ სუფიქსი შეიძლება მრავლობით რიცხვსაც გამოხატავდეს და ხოლმეობითობასაც. სწორედ ამიტომაც, რომ ანალოგიურად აქუ-ნ /მას ის/ ორპირიანი ზმნის მიხედვით მოხვედრ კილოში ემთხვევა ამ ერთპირიანი ზმნის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის აწმყოს ხოლმეობითის ფორმები: „თვითეულ კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექმნების, ვიწროდ ვარნ“. „იქაველ კაცს ფერი არა აქვენ, ჯანი არა აქვენ, აქაველ ჯამრთელნი არნ“ „აწინა?... ერთობა სადა არნ? რუსობაჰი ვარნ“. „აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯულურ არნ“. „აწინა ყაველნი ქართველნი ძმანები ვარნ“. „ერი დავარდნილ, გალახულ არნ“. „იგი ციხეი არშისა ციხედ ცნობილ არნ“.

ამ წინადადებებში გვაქვს როგორც მრავლობითის, ასევე ხოლმეობითის ფორმებიც. ზმნებში კონტექსტით გაირჩევა რიცხვი, რადგან წარმოების მიხედვით არ განსხვავდებიან ზმნის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები: „ვიწროდ ვარნ“ ნიშნავს „ვიწროდ ვართ“ აქ ვ-არ-ნ /ჩვენ/ მრავლობითშია. ასევეა „რუსობაჰი ვარნ“: ვ-არ-ნ /ჩვენ/; წინადადებაში „აქაველ ჯამრთელნი არნ“, არ-ნ /ისინი/ 3 პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაა, ასევეა ნაწყვეტში „აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯულურ არნ“ ამის საპირისპიროდ გვაქვს მხოლობითი რიცხვის ფორმებიც: „ერი დავარდნილ გალახულ არნ“ არ-ნ /ის/; „იგი ციხეი არშისა ციხედ ცნობილ არნ“. არ-ნ /ის/.

ასე რომ „მგზავრის წერილების“ მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ ამ ზმნის უღლების ნიმუში აწმყოს ხოლმეობითის სამივე გრამატიკულ პირსა და ორივე რიცხვში: მხ. რ. 1 პ: ვ-არ-ნ /მე/, 2პ: ხ-არ-ნ /შენ/, 3 პ: არ-ნ /ის/ მრ. რ. 1 პ. ვ-არ-ნ /ჩვენ/, 2 პ: ხ-არ-ნ /თქვენ/, არ-ნ /ისინი/

„მგზავრის წერილებში“ გვხვდება სხვა ხოლმეობითის ფორმებიც. კერძოდ, ესენია უწყვეტლის ხოლმეობითის ზმნები: „ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის“ და ა.შ. გვაქვს აგრეთვე 2 ხოლმეობითის ფორმებიც: „მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭოს სრულ სოფელს, გუჯარიც მაჰსცის საშვილიშვილოდ“. აწინა ქვრივობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის?“ და ა.შ.

მოხვედრ კილოსათვის დამახასიათებელია აგრეთვე „ში“ თანდებულის აფრიკატიზებული „ჩი“ ფორმით ხმარება, რასაც ადასტურებს „მგზავრის წერილებიც“. „ჰამადი-სმადი არაა სახლჩი, ნაშ-

ოვერ დუქანში მიდის“, „უსვენარ თერგჩი კალმახი იცის“ „ცარიელ მშვი-
იდაბა მიწაშიც გვეყოფის“, „მაზიდნა ღვინოი, შეგზავნა ციხეში“ და ა.შ.
აღსანიშნავია აგრეთვე ზმნისწინთა ცვლილებაც, რაც დამახასია-
თებელია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კილოებისათვის:
„მან შეველა ვერ მასცის, შაწუხდის უშველი ერი“, „კახნი სულ მთვ-
რალნი მაზოცნის“ და სხვ. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი სადაუ-
რობის „მო“ და ხელობის „მე“ პრეფიქსების მიმართ: „ხელთ იგდეს
მახევეთ კვლავადა ციხე“, „თავისა ქალს მზედ-უნახველს მალვინობა
შეუთქენა“.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებაც,
რომლებიც არ იკვეცებიან იმ ბრუნვებში, რომლებშიც ეს
ჩვეულებრივია: „კახთა, ღვინოის მწყურვალთა, ლამაზი ქალაის მზირ-
ალთა, თავი იღორნეს, სრულ ითვრნენ ღვინოით. ქალაიმ განახვნის
ციხის კარნი“. „მან მაჰსცა იმ ქალაის მამას იგ ციხე, გუჯარიც მაჰსცა“
და ა.შ.

საბოლოოდ დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“
უძვირფასესი შედევრია დიალექტოლოგიური თვალსაზრისითაც.



„გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნე
საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შეჰქმნა და თავისი
სისხლით კიდევ დაჰკირა“.

ტიციან ტაბიძე

ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა


როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ ლიტერატურაში ახალი ორიენტაციის პირველი სრულფასოვანი გამომხატველია. იგი ეროვნულ ნიადაგზე დგას და ერის ინტერესებს, მის განწყობილებებს გამოხატავს რომანტიკული პოეზიის ფორმაში. ევროპული გზით მიდის ზოგადსაგანობრივ მოტივებამდე და იდეურად ეხმაურება მსოფლიო მნიშვნელობის პოეტებს. ქართული მწერლობის საფუძველი ევროპეიზმია, ხოლო პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც მტკიცედ და საბოლოოდ დაამკვიდრა ახალი ერა ქართულ ლიტერატურაში, ნიკოლოზ ბარათაშვილია /პავლე ინგოროვსა/.

ახალი ორიენტაციის ეს ხაზი მემკვიდრეობით გაავრცელა ილია ჭავჭავაძემ, როგორც ორიგინალურ, ისე მთარგმნელობით შემოქმედებაში. ილიას მიაჩნდა, რომ თარგმნა შემოქმედებაა.

ილიას გატაცებას ბარათაშვილის შემოქმედებით ადასტურებს ბარათაშვილისადმი მიძღვნილი მისი ლექსები, უფრო კი პოეტური გრიგალი, რომელიც ბარათაშვილის „მერანიდან“ არის მონაქროლი. ბარათაშვილის პოეზიის გავლენასთან არის დაკავშირებული იმ საზომის არჩევანიც, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნისას გამოიყენეს. ამ ტრადიციის თარგმნით საფუძველი ჩაეყარა შექსპირის ტრადიციების მაჩაბლისეულ თარგმანს ქართულ ლიტერატურაში.

ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობითი ხაზი ხალხური პოეზიიდან და რუსთაველიდან გურამიშვილისა და ბარათაშვილის პოეზიაზე გავლით მოდის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანებამდე.

ილია ჭავჭავაძით იწყება ამ ხაზის შეგნებული პროპაგანდა და ქართული ლიტერატურის მიერ განვლილი გზის შეგნებული ანალიზი. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა პოეტ სიმონ ჩიქოვანის მსჯელობა წერილში „ილია ჭავჭავაძის ლირიკული ლექსები“. ჩიქოვანს მოაქვს არტურ ლაისტის მოგონება ილიას შესახებ. ილია აღტაცებას გამოთქვამდა გოეთეს პოეზიით, დიდად აფასებდა გოეთეს შინაგან აზრსა და გრძნობას. თავისი პოეტური ბუნებითაც ჩამოჰგავდა მას.



„აჩრდილის“ ავტორი შინაგანი ბუნებით ნაწილობრივ მანცხი, ბიბლიურ მოხუცს მიაგავს, რომელიც პოეტის შთაგონებას მყინვარზე მოველინა, — წერს ს. ჩიქოვანი.

მართალია, ახალგაზრდა ილიამ „მგზავრის წერილებში“ გოეთე მიუწვდომელ და ცივ მყინვარს შეადარა და დაუდგრომელ თერგთან შედარებულ ბაირონს მიუძღვნა თავისი გულთბილი აღტაცება, მაგრამ უფრო გვიან მან იგრძნო და იცნო კიდევ თავისი სიახლოვე დიდ გერმანელ ოლიმპიელთან.

ბაირონს გულწრფელად აფასებდა თვით გოეთეც და ამიტომ ბუნებრივია ილიას აღტაცება ბაირონით და არა მარტო ბაირონით. ილია დიდი თავყვანისმცემელი იყო შექსპირის შემოქმედებისა და საერთოდ ყველაფრისა, რაც კი დასავლეთის მოწინავე ცივილიზაციას გამოხატავდა. ილია იყო პირველი დიდი მოაზროვნე, რომელსაც ნათლად ჰქონდა შეგნებული ზემოაღნიშნული ახალი ორიენტაციის მნიშვნელობა /„ახალი“ იმიტომ ვუწოდეთ, რომ განგვესხვავებინა იგი ანტინაციონალური და ისტორიული ძალმომრეობის შედეგად მოვლენილი აღმოსავლური ორიენტაციისაგან/. არსებითად ამაში არაფერი იყო ახალი, ვინაიდან ეს ხაზი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში და რუსთაველის პოეზიაში იღებდა სათავეს. ეს „ახალი“ ტენდენცია უაღრესად ეროვნული ხასიათისა იყო და მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ქართულ ლიტერატურას მუდამ ჰქონდა მიღრეკილება იმ იდეური ზოგადკაცობრიულისაკენ და პოეტური უნივერსალობისაკენ, რომელიც მთელი სისრულით დასავლეთში გაიშალა, ხოლო საქართველოში კი ვერა უკუღმართი ისტორიული პირობების გამო.

ამიტომაც ცნებაში „ევროპეიზმი“ ილია გულისხმობდა ქართული ლიტერატურის განვითარების განსაკუთრებულ, ეროვნულ ხაზს. ეს ხაზი, მისი გაგებით, ახალ საუკუნეებში აღადგინეს ჯერ დავით გურამიშვილმა, შემდეგ განაგრძეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ და ბოლოს ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელიც ილიას აზრით იყო ბრწყინვალე წარმომადგენელი „ევროპეიზმისა“.

თავისი პირველივე ლიტერატურული გამოსვლა ილიამ მიუძღვნა თარგმანის პრობლემას. ეს იყო წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა. „შეშლილის“ თარგმანი ჟურნალ „ცისკრის“ 1861 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა. ეს წერილი ცხადყოფს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია მხატვრულ თარგმანს მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში და თარგმანის პრობლემას აყენებდა სხვა ისეთ პრობლემათა გვერდით, როგორიცაა ქართული მართლწერის, ნაწარმოების სტილის, მწერლობის ამოცანების, წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებისა და სხვა ასეთი

პრობლემები.

ილიას მხატვრული თარგმანი წარმოდგენილი აქვს, როგორც მშობლიური ლიტერატურის განვითარების პროცესში მონაწილე სრულფასოვანი შემოქმედება. თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული ფორმით თარგმანი ამ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს და სათარგმნი ნაწარმოების შერჩევასაც ეს ამოცანა უნდა წყვეტდეს. ილია ასე აყენებს საკითხს: „რა საჭიროა ახლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური სხოლის მწერლების გაცნობა?... იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება? თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კოზლოვსა?...“

მაშასადამე, სათარგმნი ნაწარმოების შერჩევის პრინციპის მტკიცედ დაცვას ილია გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რათა მკითხველს თავს არ მოახვიონ ისეთი ნაწარმოები, რომელიც არაფრით არ შეესაბამება იმ განწყობილებას, ვითარებას, მოვლენებს, რაც ქვეყანაში არსებობს და რომლის გაუმჯობესებასაც არ შეუწყობს ხელს.

პრაქტიკულად თარგმანის ამ ამოცანის გადაწყვეტას ილიამ მიუძღვნა თავისი საუკეთესო თარგმანები.

ილია წინააღმდეგია სენტიმენტალისტი მწერლების და მათი ეპიგონების თარგმნისა ქართული ლიტერატურის იმ ეტაპზე, როცა მას სრულიად გარკვეული სოციალური და ესთეტიკური ღირებულების ნაწარმოებები ესაჭიროება. ილია ანალიზს უკეთებს კოზლოვის შემოქმედებას, მის ნიჭსა და უნარს და მის მიერ შესრულებულ თარგმანებს. მართლაც და, რაღა დროსია სენტიმენტალიზმი, როცა საქართველოში უკვე არა მარტო მძლავრი რომანტიკული ბაზა იყო ჩამოყალიბებული, არამედ სოციალური ატმოსფეროც მომზადებული იყო ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების შესაქმნელად.

ილიას აზრით, უფერულია და დროისათვის შეუსაბამოც კოზლოვის მიერ თარგმნილი ფრანგი ანდრე შენიეს, პოლონელი რომანტიკოსის მიცკევიჩის ლექსების თარგმანები, რომელთაც კოზლოვმა არ შეარჩინა არც სხეულის ფორმა და არც დამახასიათებელი სახეები, მაგრამ ყველაზე მეტად კოზლოვი ბაირონის თარგმანაში დამარცხებულია. ილია წერს: „სად არის კოზლოვის თარგმანში ის მეზი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა?... ბაირონის ნაცვლად, რომელსაც ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ უპყრია მეზი, იმ ბაირონის ნაცვლად კოზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეჭია აშუღლად“.

ამრიგად, ილია მოითხოვდა დედნის ფორმისა და შინაარსის გადაღებას მთლიანობაში, დამახასიათებელი მხატვრული ძალისა და ენერგიის დაცვით. ეს ილიას საერთო კრიტერიუმი იყო ყოველგვარი თარგმანის განსჯის დროს. ამიტომაც რაც არ უნდა ცუდი და უარყოფითი იყოს თვით კოზლოვის ნაწარმოებები, მაინც იგი თუკი „კაცმა იკისრა მისი გადმოთარგმნა, გულმოდგინედ და მსგავსად უნდა გადმოეთარგმნა და არა ისე უწყალოდ გაეფუჭებინა, როგორც თავად ერისთავს გაუფუჭებია“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეალიზმის პოზიციებზე მდგარ ილიას ვერ უპატიებია სენტიმენტალისტი კოზლოვისათვის, რომ ეს უკანასკნელი ეროვნულ კოლორიტს არ იცავს თავის ნაწარმოებებში. როგორც ილია ამბობს, კოზლოვის „შეშლილი გოგო რაღაც ურუსო რუსია, კოზლოვის ფანტაზიის შვილი და არა რუსის „ცხოვრებისა... კოზლოვის „შეშლილი“ სრულიად შეშლილია ქართულს ენაზე; ერთი ბეწო შებრალება და სიყვარული არა ჰქონია იმის მთარგმნელს — არც მისი, რაც უთარგმნია, არც თავისივე ამორჩეულ პოეტისა, არც ხელოვნებისა, არც თავისი მშობლიური ენისა. მარტო ჩანს, რომ საკვირვლად ჰყვარებია თ. ერისთავს რითმების რახარუხი. „რითმების რახარუხსა“ და ენისა და აზრის შეუსაბამობის ანალიზს ილია დიდ ადგილს უთმობს თავის წერილში, რათა ამ ნეგატიური გზით დაასაბუთოს თავისი იმ პოზიტიური მთარგმნელობითი მეთოდის პრინციპები, რომლებიც რეალისტური მეთოდია და დედნის ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში გადმოღებაში, დედნის საერთო სტილის დაცვაში მდგომარეობს.

თარგმნის რეალისტური მეთოდის ილიასებური გაგება იმას ნიშნავს, რომ ამ მეთოდით მომუშავე მწერალი უცხო ლიტერატურულ ნაწარმოებს ისეთივე სინამდვილედ უნდა თვლიდეს, როგორც ყოველი მწერალი თვლის მის წინაშე მდგარ ასახვის ობიექტს. ის დედანს უნდა უყურებდეს, როგორც სინამდვილეს, რომელიც ახალ ენაზე შექმნილ ნაწარმოებში უნდა აისახოს არა ნატურალისტურად, როგორც ფოტოგრაფიული ასლი, არც თვითნებურად, როდესაც მახინჯდება დედნის ძირითადი ფორმალურ-იდეური თვისებები, არამედ რეალისტურად — დედნის დამახასიათებელი და ტიპური თვისებების შენარჩუნებით, ცალკეული დეტალების, მათ შორის სტილისტური ნიშნების რეპროდუქციით.

ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აზრისა და მისი ენობრივი გამოსახვის ურთიერთ კავშირს. მიაჩნია, რომ ენა აზრის უშუალო სინამდვილეა და ამ დებულების დასამტკიცებლად უამრავი მაგალითი მოაქვს იმისა, თუ როგორ ითიშება ერთმანეთისაგან ენა და აზრი ცუდ თარგმანში, იკარგება აზრის სინამდვილე, რომელსაც ენა უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ილიასათვის ენა არა მარტო ლოგიკური და



გრამატიკული კატეგორიაა, არამედ მხატვრული ფენომენიცაა და მთარგმნელისაგან მოითხოვს ჭეშმარიტი მხატვრულობის დაცვას თარგმანში. ამ საკითხს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ცნობილია, რომ საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მხატვრული ნაწარმოების ენას აკრიტიკებენ გრამატიკული სიზუსტის პოზიციებიდან. ასეთ შემთხვევაში სავსებით მოსალოდნელია შეცდომა ისევე როგორც იმ შემთხვევაშიც, როცა პირიქით, ცდილობენ ხოლმე მხატვრულობით გაამართლონ ენობრივი დამახინჯებანი.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ილიას აზრი თარგმნის პრობლემასთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენის-მიბაძვისა და გადმოკეთების შესახებ. მე-19 საუკუნეში და შემდეგაც უცხო ნაწარმოებთა მიბაძვები და გადმოკეთებანი საკმაოდ დიდ ადგილს იჭერდნენ ქართულ ლიტერატურაში და გარკვეულ როლსაც ასრულებდნენ. ილია პრინციპულად ანსხვავებს ერთმანეთისაგან თარგმანს და გადმოკეთებას. პირველ შემთხვევაში „სხვისი ცხოვრება, ხასიათსა და ზნეჩვეულებებში გამოთქმული“, უნდა ნაჩვენები იყოს „უტყუარად და შეუცვლელად“. მეორე შემთხვევაში კი, ილიას აზრით, „უცხო ხატი სხვისი ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენი ცხოვრების ხატად გარდაიქმნება და რამდენადაც ეს გარდაქმნა დიდია,—იმდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი...გადმომკეთებელს.... უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა. გადმომკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს, და ამას გარდა თვითმოქმედი ძალიც შემოქმედობისა... გადმომკეთებელი უფრო თვითმოქმედი, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც, რაც არ უნდა ვთქვათ, მაინც ცოტად თუ ბევრად მონაა მისი, ვისაც სთარგმნის“. ილია უპირატესობას, ცხადია, ორიგინალურ შემოქმედებას ანიჭებს, მაგრამ როცა ორიგინალური არ არის, გადმოკეთება სჯობსო. ამგვარად, ილიას სავსებით სწორად აქვს წარმოდგენილი თავისი დროის ლიტერატურის განვითარების პროცესი და ამ პროცესში სამივე მოვლენის—თარგმანის, გადმოკეთებისა და ორიგინალური შემოქმედების როლი.

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა არა მარტო მხატვრულ თარგმანს, არამედ საერთოდ თარგმანს, როგორც, ერთის მხრივ, ხალხებს შორის კულტურული გაცვლის, მათი ურთიერთ დაახლოების, ხოლო მეორეს მხრივ, მშობლიური ქართული ლიტერატურის უცხოური ნაწარმოებებით გამდიდრების ერთადერთ საშუალებას. შეიძლება ითქვას, ილიამ შექმნა მოძღვრება თარგმანის შესახებ. იგი შეიქმნა მთარგმნელობითი საქმიანობის სულის ჩამდგმელი და მეთაური მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი და ნაყოფიერი

მთარგმნელი იყო. მის კალამს ეკუთვნის ათეულობით ლირიკული ლექსის, დრამატული და პროზაული ნაწარმოებებიც თარგმანი, რომლებიც შევიდნენ მშობლიური ლიტერატურის საგანძურში.

მაგრამ ვიდრე ილიას თარგმანებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია პასუხი გავცეთ კითხვაზე: იცოდა თუ არა ილიამ ევროპული ენები /ინგლისური, ფრანგული, გერმანული/, ხოლო თუ იცოდა, რა დონეზე? რაც შეეხება რუსულს, იგი მან ბრწყინვალედ იცოდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ილიამ უცხო ენები კარგად არ იცოდა. მართალია, შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანასთან დაკავშირებით იგი სწავლობდა ინგლისურ ენას, მაგრამ თვით ამ თარგმანის სიშორე დედნისაგან ადასტურებს ილიას მიერ ინგლისური ენის სუსტად ცოდნას. იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეს ფილიპე გოგიჩაიშვილს თითქოს უსაყვედურებია ილიასათვის, რატომ თავისუფლად არ ლაპარაკობს ევროპულ ენებზეო. ამ აზრს იცავს ცნობილი მთარგმნელი და მკვლევარი ქეთევან ბურჯანაძე. პროფესორ მიხეილ ზანდუკელის აზრით, ილიას უნდა სცოდნოდა ფრანგული ენა, ვინაიდან მან თარგმნა ფრანგი მწერლის ბიუვეს რომანი „იზა“. პროფესორი გივი გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ „იზა“ რუსულიდან იქნებოდა თარგმნილი, როგორც ამ დროს თარგმანთა უმრავლესობა. სულ სხვა აზრისაა გერმანული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ვენერა კავთიაშვილი. იგი წერს: „ილია პირველი იყო ქართველთა შორის, ვინც პაინეს ლექსები ქართულად თარგმნა, მაგრამ... ერთ მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: ილია ჭავჭავაძის მრავალრიცხოვან მკვლევართა შორის, მიუხედავად უმეტესი მათგანის შესანიშნავი გამოკვლევებისა, თითქმის არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, იცოდა თუ არა მან უცხო ენები და თუ იცოდა, დაახლოებით რა დონეზე. თუ ფრანგული და ინგლისური ენების ცოდნაზე რაღაც წარმოდგენა მაინც გავგაჩნია, მსგავსს ვერ ვიტყვით მის მიერ გერმანული ენის ცოდნასთან დაკავშირებით“. მკვლევარს მიაჩნია, რომ ილიამ გერმანული იცოდა. პროფესორი ალექსანდრე კალანდაძე ნაშრომში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ დაბეჭდვით აცხადებს: „როგორც ჩანს, უნივერსიტეტში /იგულისხმება პეტერბურგის უნივერსიტეტი, სადაც ილია სწავლობდა ტ. ხ./ სწავლის დროს ილია გერმანულ ენას იმდენად ფლობდა, რომ შეეძლო მხატვრული ნაწარმოები უშუალოდ გერმანულიდან ეთარგმნა“.

მაინც საიდან უნდა სცოდნოდა ასე კარგად ილიას გერმანული ენა? ცნობილია, რომ იგი 1848-51 წლებში ჰაკეს პანსიონში სწავლობდა. ილია ჰაკეს შესახებ წერს: „პანსიონს განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკე, ჰაკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომ-

ანდრეა ნეიტგარტმა თავისი შვილების აღსაზრდელად, ხოლო ნეიტგარტის წასვლის შემდეგ თბილისში დარჩა. შემდგომში ილია გიმნაზიაში გადავიდა სასწავლებლად, ხოლო საცხოვრებლად ისევ პაქესთან ანუ გერმანულ ვარემოში დარჩა.

ილიამ რომ გერმანული ენა იცოდა, ამას ადასტურებს აგრეთვე მისი წიგნების ფონდი. მას ჰქონია ს. ბუგლეს წიგნი „თანამედროვე გერმანიის სოციალური მეცნიერება“ /გერმანულ ენაზე/. მეოთხე გვერდზე, სქოლიოში გერმანულ ენაზე მოცემული ტექსტისათვის ილიას მიუწერია რუსული თარგმანი, ხოლო დრეზდენში გამოცემული არტურ ლაისტის წიგნის მთელ რიგ გვერდებზე ილიას გაკეთებული აქვს აღნიშვნები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძე საკმაოდ კარგად ფლობდა ევროპულ ენებს, პირველ რიგში კი გერმანულს.

ზემოხსენებული დებულების საილუსტრაციოდ განვიხილოთ ილიას ზოგიერთი თარგმანი.

ილია ჭავჭავაძე შეუურიგებლად ებრძოდა ისეთ თარგმანებს, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებთან, მათ განწყობილებასთან. ასეთ ვითარებაში მის მიერ ფრანგული საკმაოდ ვულგარული რომანის „იზას“ თარგმნა გაუმართლებელი ჩანს, მაგრამ შესაძლოა, ილიამ ეს რომანი მოცალეობის ეამს თავშესაქცევად თარგმნა იმიტომ, რომ ამ ვხითაც ხელი შეეწყო ჟურნალ „ივერიისათვის“, რომელშიც „იზა“ დაიბეჭდა. ჩანს, მაშინაც უჭირდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს.

ილიას შემოქმედებითი ზრახვები არც თუ ისე მრავალრიცხოვან პოეტურ თარგმანებშია საძიებელი. მის მიერ თარგმნილ ავტორთა და ნაწარმოებთა უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელს მოჰყენდა ამ ინტერესთა მრავალმხრივობას და მრავალფეროვნებას, ხოლო ამ თარგმანებში გამოხატული მოტივები მიუთითებდნენ ილიას ინტერესთა მიმართულებას ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალური საკითხისადმი. ამ თარგმანებში ჩანს ილიას „ევროპეიზმის“ იდეა. 1856-61 წლებში ილია თარგმნის გოეთეს, შილერის, სკოტის, ბაირონის, ჰაინეს, რიუკერტის, ანდრე შენიეს, პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებს. ამ ლექსებში გამოხატულია სხვადასხვა ამაღლებული, წმინდა ლირიკული ან სატრფიალო მოტივები, რომლებიც ემსახურებოდნენ ილიას პირადად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

როგორც ზემოთ ითქვა, ილიამ იმდენად კარგად იცოდა გერმანული ენა, რომ შეეძლო ორიგინალიდან თარგმნა, ხოლო რუსულს, შესაძლოა, კონტროლისათვის იყენებდა.

შედარებისათვის ავიღოთ ადგილი რუსი მთარგმნელის მიხაილოვის მიერ ჰაინეს ლექსიდან „როცა შევეყრებ შენს თვალებსა“ და შევ-

ადაროთ ილიას თარგმანთან.

ილია:

როცა შევეყურებ მე შენს თვალებსა

გმინვა და ტეხა გულის დუმდება

ილიას „გმინვა და ტეხა“ შეესაბამება ორიგინალს. მიხაილოვს კი ეს სიტყვები თარგმნილი აქვს „ჭექა-ქუხილად“.

ორიგინალთან მიხედვით უცდია ილიას მეორე ლექსის „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა“ თარგმნის დროს. ლექსის ბოლო ორი სტრიქონი ასე ჰქონდა ილიას თარგმნილი:

გადაგვხვევი რა ორივ ხელით,

მოვკვდები ტანჯვით და ნეტარებით.

სტრიქონი „გადაგვხვევი რა ორივ ხელით“ ჟურნალ „კვალში“ ასეა დაბეჭდილი: „მე მაგრათ მოვხვევ შენს ტანს რა ხელით“. ეტყობა, ილია ცდილა ორიგინალთან უფრო მიეახლოებინა დედანი.

როდესაც კითხულობთ ილიას მიერ თარგმნილ ბაირონის ებრაულ მელოდიას „სტიროდეტ“, არ შეიძლება არ იგრძნოთ ილიას უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი და მისი დიდი გულისტკივილი, როდესაც იგი სტიროდა მათ „ვისი ტაძარნი ნანგრევ არიან... ვისი მამული სამშობლოსა არარა არს გარდა სიზმრისა.“ ძნელი არ არის იმის მიხედვრა, ვის გულისხმობდა ილია, როდესაც ამბობდა ბაირონის პირით: „მელას აქვს ზვრელი და თვის ბუდე-ჩიტს, კაცსა — სამშობლო, და ისრაილსა — არა რა, გარდა თავის საფლავისა“.

1872 წელს ილიამ თარგმნა ტომას მურის ლექსი „ირლანდიისადმი“, რომელშიც იგივე მოზღვაებული და მტკივნეულად მწვავე სიყვარულია სამშობლოსადმი ჩაქსოვილი, რაც ილიას ლირიკულ შედერვში „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“.

ამ თარგმანში იგივე ცეცხლი ანთია და ის ტკივილი იგრძნობა, ის ღრმა დრამატული ინტონაცია ისმის, რაც ილიას ზემოთ ხსენებულ ლექსში, რომელიც 1861 წელსაა დაწერილი.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე გახლავთ მე-19 საუკუნის არა მხოლოდ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი, არამედ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების, მათ შორის ორიგინალური და მთარგმნელობითი ლიტერატურული მოღვაწეობის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. ყველაზე დიდი, რაც მან თარგმნის სფეროში გააკეთა, ეს იყო მე-17 საუკუნის დიდი ინგლისელი ტრაგიკოსის, გენიალური შექსპირის ქართულად ამეტყველებისათვის საფუძვლის ჩაყრა, ხოლო შეუდარებელმა ივანე მაჩაბელმა შექსპირი ქართველი ხალხის საკუთრებად აქცია.

პრიტიკა სანათურია ლიტერატურისა

ტფილისი. 2 თებერვალი

ყველაზე დიდი ნაკლი ჩვენის ქართულის ლიტერატურისა ის არის, რომ ეგრედ წოდებული სალიტერატურო კრიტიკა სრულიად არ არსებობს ჩვენში. ბევრნი ინდურებიან და სამართლიანადაც, რომ ეს ასეა, მაგრამ კრიტიკა ჩვენში მაინც ვერ იშვა და ვერ. უკრიტიკოდ კი სვლა და წარმატება ლიტერატურისა, თუ არ რიცხვით, ღირსებით მაინც ძალიან ძნელია და, რომ ვთქვათ შეუძლებელია, არც ეს იქნება, ვგონებთ, მეტი. ცხოველყოფელობა ლიტერატურისა, მისი სიცოცხლე, მისი სული და ზორცი თავს იჩენს არა მარტო მით, რაც იწერება, არამედ ნაწერების განკითხვითაცა. რაც უფრო ბევრი ნაწერია და მაღალისა და დაბალის ხარისხისა, მით უფრო საჭიროა კაცს ხელთ ეჭიროს იგი სანათური, რომელსაც კრიტიკა წარმოადგენს. კრიტიკა სწორედ სანათურია ლიტერატურისა, იგი სწორედ სამტკიცია, რომელიც ფქვილს არჩევს ქატოსავან.

რამდენადაც ამ უწმიდაესს დანიშნულობაზე ახლოა კრიტიკა იმდენად იგი სამსახურს უწევს მკითხველ საზოგადოებას და თვით ავტორებს, რომელთა შორის იგი მოციქულიც არის და ხელმძღვანელიც ერთსა და იმავე დროს. მრავალ სალიტერატურო საგნებში გზის განება, კარგისა და ავის გარჩევა, ღვარძლის დაგლეჯა, მარგვლა ზორბლის გაძლიერებისათვის, ადვილი საქმე არ არის. ამას ნიჭიც უნდა და დიდი ცოდნაც და ამასთან მაღალზნეობაც, რომ მიდგომით, თვალღებით მართალს არ უმტყუნოს და ტყუილს გზა არ მისცეს. საცა კაცი სჯის, იქ შეცდომაც შესაძლებელია, მაგრამ ყოველის კაცის მართალი ის არის, რაც გულით მიაჩნია მართლად და არა მიდგომით და თვალღებითა, ან იმ განზრახვით, რომ ამას ვასიამოვნო, იმას ვაწყინო და სასწორი განკითხვისა ერთ-ერთ ამისთანა უღირსს სურვილს დააძლევინოს.

ხოლო კრიტიკამ რომ თავი იჩინოს, კრიტიკა რომ აღმოცენდეს და თავისი სანატრელი ფრთა გაშალოს, ამისათვის საკმაო არ არის არაერთი სურვილი. კრიტიკა ერთი დიდი საფეხურია ზეალსვლისა, კაცთა საზოგადოების წარმატების გზაზედ. კრიტიკა საზოგადოების გონებისათვის ასაკის საქმეა, როგორც ბავშვს ვერ მოეთხოვება წვერულვაში ჰქონდეს, ისეც საზოგადოებას კრიტიკა, თუ გონების

უასაკობით ხსენებულ ზეადსავლის საფეხურამდე არ მიუღწევია. კრიტიკა ციდამ ვერ ჩამოვარდება მანანასავით, რაც გინდა, ხელები ბევრი ვიშვიროთ ცისკენ. მისი მშობელი და გამჩენელი თვით საზოგადოებაა და იგივეა მისი მზრდელი და ძუძუმწოვბელი.

ამ შემთხვევაში პირველი ნიშანი საზოგადოების ასაკოვნებისა და აღმატებულობისა, სხვათა მრავალთა შორის, ის არის, რომ საზოგადოება სხვისის აზრის შეწყნარებამდე ტანში იყოს გამართული. შეწყნარება დაჯერებას კი არ ჰქონდა, გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მიექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდეც იმას ჰქვია, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარს სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყავი ისე მიუწყათ. ყოვლად საკადრისი საქციელი გონებაგახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არაა. ვისაც ეს არა სჭირს. ტყუილად თავსა სდებს განათლებაზე, ტყუილად აბრიყვებს თავისთავსაც და სხვებსაც, განათლებული ვარო. იგი ყოველ გონებადაზნაურულზედ უარესია.

საცა ჩვეულ არ არიან ასეთს პატივით მოექცნენ სხვის აზრს, ის კრიტიკა მშვიდობიანი სამსახური კი არ არის საზოგადოების წინაშე, არამედ თავის გამომეტებაა საღანძღავად, საქიშობად, ჭუჭყისა და ჩირქის მოსაცხობად და ამასთან თვის ხმაც კრიტიკისა ღალატებაა უდაბნოში. მართალია, კი საქმისათვის, მართლისათვის თავდადება, უშიშროება, დეე მღანძღონ, ჭუჭყი, ჩირქი მაცხონ, ჯვართ მაცვანო, ოღონდ რაც მართალი მგონია, იმას ფეხი მოგაკიდებინო საზოგადოებაშიო, დიდი სასახელო რამ არის, მაგრამ დიდს ვაჟკაცობას, დიდს სულის ღონესაც თხოულობს და ყველა ეს დიდბუნებოვანის კაცის საქმეა. ზოლო სად არის ამისთანა კაცი? ეს საჭიროება თავგამეტებისა, ეს ამოება ღალატებისა განა არ უნდა უშლიდეს კრიტიკის მოვლენას, მხნეს გულს არ უნდა უტეხდეს და გულგატეხილს გასამხნეველად ღონეს არ უნდა უფრო უუძღურებდეს!....

ესეთი გარემოება ისე არსად ჰხუთავს სულს კრიტიკას, როგორც პატარა ქვეყანაში, როგორც ჩვენია, საცა ყველანი თითქმის ერთს ვიწრო მოედანზე ვტრიალებთ ურთიერთობისათვის. მართალია, არიან პატარა ქვეყნები, საცა კრიტიკა ფრთავაშლილია, მაგრამ იქ თუ შინობაში შემწყნარებელი არა ჰყავს გამკითხველსა, გარედ მაინც ჰმოულობს, რადგანაც ან ამ პაწია ქვეყნების ენა, ან იგი, რომლის წყალობითაც კრიტიკა თავისას ამბობს, სხვაგანაც გავრცელებულია. ქართული ენა კი ამას სრულიად მოკლებულია, ქართული მარტო საქართველოში იცინა. მაშასადამე თუ არ შინ, გარედ ჩვენებურ კრიტიკოსს გამკითხავი არა ჰყავს.

შინ კი ყველანი თითქმის ერთმანეთს ვიცნობთ, თითქმის ყოველ
დღე ერთმანეთს ვხვდავთ, ზოგს წინადავე დაკვებულნი მაქვს
პყავს, ზოგს მოწუნარნი, ზოგს სწყინს, ჩემს საყვარელს კაცს რად
რასმე უწუნებენო, ზოგი სჯავრობს, ჩემს უსიამოვნო კაცს რად
აქებენო, თუნდ ძაგება თუ ქება ისე ცხადი იყოს, როგორც ორჯელ ორი
ოთხია. ჩვენში თუ წუნი რამე დასდეს ვისსამე ნაწერს, რაც გინდ
საბუთიანი და ცხადი წუნი იყოს, არიან იმისთანანი, რომ მტრობაში
ჩამოგართმევენ ისე უარარაოდ, უმიზეზოდ, საბუთების უჩხრეკელად.
არიან იმისთანებიც, რომ თუ აქებ ვისმე, მოუწონებ ნაწერს, რაც გინდ
საბუთიანი ქება და მოწონება იყოს, მაინც ნათელმირონობას, ფარ-
ისევლობას დაგწამებენ და ქებას თუ მოწონებას ახსნიან მით, რომ
სადილ-ვახშმებით მისყიდული ხარ. აქ ჩვენში განკითხვა გამკითხველ-
ისა კაცის გუნებაზეა მიგდებული და არა გონებაზე, რომლებმაც
მარტო საბუთით უნდა პსაჟოს. აქ „მე ასე მინდა, ასე მიაგება“, უფრო
მეტად სჭირს, ვიდრე საბუთით გამოჩხრეკილი და გულში გამონასკე-
ილი მართალი.

საკვირველი იქნება, რომ თვითეული ეს გარემოება ცალკე და
ყოველი ერთად პირში ბურთი არ იყოს კრიტიკისათვის, პირს წყლით
არ უვსებდეს კრიტიკასა. იქ, საცა კაცი კაცს ამართლებს იმით, რომ
კაცია და გუნებაო, თქვენს კრიტიკას ისეთს კუდს გამოაბამენ, თქვენ
თვითონ ისეთს ჭუჭყში ამოგავლებენ, რომ თავი და ბედი უნდა
იწყველოთ — ეს რა ღმერთი გამიწყრა და ხმა ამოვიღეო, რატომ ჩემთ-
ვის არ ვიჭეკიო.

რაც ბეჭდურ სიტყვით შეუძლებელია ჩირქი მოგვცხონ, იმას
მითქმა-მოთქმითა და ჭორებით მოგცხებენ. მითქმა-მოთქმა, ჭორი ჩვენ-
ში უფრო შორსა სწვდება, პატარა ქვეყანაა, მალე შემოუვლის ხოლმე
გარს, ვიდრე ბეჭდური სიტყვა, რომელიც დღემდე ტაატიტ დადის.
თუნდაც კარგი მარბენალიც იყოს, სრულიად უღონოა კუდმო-
ძუბულს ქურდულს მითქმა-მოთქმას და ჭორებსა უკან სდიოს და
პირში ლაგამი ამოსდოს.

მითქმა-მოთქმა და ჭორი თავსავეთ ჩუმ-ჩუმად დაძვრება
სოროებში და მოდით და სდიეთ! ტყუილუბრალოდ გაგაუპატიურებენ,
თავზე ლაფს დაგასხამენ, თავს მოგჭრიან.

ეს კიდევ არაფერი: მითქმა-მოთქმას და ჭორებს როგორმე აიტანს
და გაუძლებს კაცი. კიდევ ვიტყვით, ჩვენი ქვეყანა პატარა ქვეყანაა,
ყოველ ცისმარა დღეს ერთმანეთს თვალთ ვეჩხირებით, გინდა თუ არა,
ერთმანეთს ვხვდავთ, მოდით და იმისი გაბუტვა და თვალთა ბრიალი
აიტანეთ, ვისაც ნაწერი დაუწუნეთ, თუნდ ძალიან საბუთიანადაც.
რომ გამკითხველს გაკითხული მტრად გადაეკიდება და ეცდება სხვაც
გადაჰკიდოს, ამას ეჭვი არა აქვს და ყოველს ამას უნდა თუ არა

გაძლება? განა ჯვართცმა არ არის ასეთი გარემოება კრიტიკოსისათვის!... აი სწორედ ეს არის: საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო, და აკი გაცილილია კიდევ ჩვენში კრიტიკა. კრიტიკოსიც ადამიანია, იმასაც უნდა ქვეყანაში ტკბილად, სიამოვნებით ცხოვრება და განა უნდა გიკვირდეს, რომ ამ ტკბილისა და მშვიდობიანის ცხოვრების წყურვილმა სძლიოს იმ ჯვართცმას, რომელიც მოელის ჩვენში კრიტიკოსსა იმ საწამლავს, რომელიც დაშხამავს ყოველ წუთს მისის სიცოცხლისას.

ყოველი ეს არის ჩვენში იმიტომ, რომ აზრის შეწყნარებამდე ჯერ არ აღგზრდილვართ. საბუთიანი განკითხვისა კი არ ეშინიან კრიტიკას, უსაბუთოდ განკითხვა ლანძღვია, ვინებაა და გონებადაზნულის, გულწამხდარის კაცის საქმეა. შეწყნარება სხვისა აზრისა, ესე იგი, საბუთიანი განკითხვა მართლმსაჯულებაა, გულგაწმენდილის, ჭეშმარიტად განათლებულის კაცის საქმეა. სხვისა აზრის შეწყნარება რომ საზოგადოებაში იყოს, კრიტიკაც ხმას ამოიღებს, ფრთას გაშლის, თუ ამასთან ყოველივე სხვა გარემოება მზაა საამისოდ. ეხლა კი, მინამ კაცი, თუნდ კარგად მომზადებული, კრიტიკას ხელს მიჰყოფს, ჯერ თავზედ ხელი უნდა აილოს, ჯვარსაცმელად თავი დასდოს, სალაყბოდ და გასაუბატიურებლად გახდეს, ჭუჭყისა და ჩირქის მოცხებას არ შეუშინდეს, ნაცნობები და მეგობრები გადაიკიდოს, გამოესაღმოს მშვიდობიანს ცხოვრებას, მოიწამლოს თავისის სიცოცხლის დღენი, ერთი სასიამოვნო დღე არ ჰნახოს და ყოველ ამ უბედურების წინაშე არ შედრკეს. ძნელია კაცმა ამოდენა დიდსულოვნება და გულოვნება იქონიოს, თუმცა კი დიდად სანატრელი, მაგრამ ნატვრა და ახდენა ნატვრისა ერთი და იგივე არ არის.

კიდევ ვიტყვით, პატარა ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა და ამიტომაც ყოველივე ხსენებული უბედურება აქ უფრო შესაძლებელია, ვიდრე სხვაგან, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სხვის აზრის შეწყნარება ჩვენში ჯერ მოუწევარი ხილია და კვახე ხილი კი, როგორც მოგეხსენებათ, კბილსა სჭრის.

იტყვიან მაშ დიდსულოვანი და გულოვანი ყოფილა იგი თითო-ოროლა კაცი, რომელთაც ჩვენში ზოგიერთხელ კრიტიკის ხმა მორთესო. არა ბატონებო, ჩვენებური კრიტიკაც იმ საფეხურზეა, რაზედაც საზოგადოება, რომელსაც მართო ერთადერთი საწყაოდ ის ხელმძღვანელი აზრი აქვს, რომ „კაცია და გუნებაო“, ჰბუდობს. მე ასე მინდა, ასე მიამება“ უფრო ჰლაპარაკობს ჩვენში, ვიდრე განკითხულის ნაწერის საქმეები თუ საწუნი.

ეხლანდელი ჩვენებური კრიტიკა ან ღვარძლის ნთხევია იმის თავზე, ვინც ნიშანშია ამოღებული, უარარაოდ, უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად, ან ქვების ხმა და გუნდრკუთ კმევა ეგრევე უარარ-

აოდ, უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად. ამისთანა კრიტიკოსს რა აქვს, რომ იმის დაკარგვის შიშმა დააბრკოლოს? ამისთანას ჭორო და მითქმა-მოთქმა რას ჩამოართმევს, რაც არა აბადია რა? რას გაუფრთხილდეს, რომ ღმერთს გასაფრთხილებელი არა უღირსებია რა? კარს იგი ჰკეტავს, ვისაც დასაკარგავი საუნჯე რამა აქვს. ვისაც არაა, იმისი ქონი ფარლალაა: თუ ღმერთმა მიშველა და შემოვიდა ვინმე, იქნებ იმას დარჩეს რამე აქ, თორემ აქედამ რას წაიღებს, რაც არ არისო. ეს გულოვნება კი არ არის, პირდაპირი ანგარიშია.

სულ სხვაა ვისაც გრძნობა ადამიანურ ღირსებისა გაღვიძებული აქვს, ამ საუნჯეს კაცი ისე ადვილად ვერ გაიმეტებს სხვის მიერ სათელავად და ჩირქმოსაცხობად, ჭოროებისა და მითქმა-მოთქმის ლაფში სათრევად. მართალია ადამიანთა სასახელოდ, ბევრი ყოფილან სიმართლისათვის წამებულნი ქვეყანაზე და ამიტომაც არიან წმინდათა შორის შერიცხულნი. ხოლო ეს ყველას არა აქვს დიდებული უნარი სიმართლისათვის ჯვარს ეცვას. ამისთანა ბუნებისანი იშვიათნი არიან. შესწირე თავი მართალს, დეე, გლანძღონ და გათრიონ, დეე, მოგიწამლონ სიცოცხლე, ჩაგიმწარონ წუთ-სოფლის დღენი, ადვილი სათქმელია და ძნელი საქნელი.

1898 წ. 7 თებერვალი



„ილიას მიერ ჩამოკრული ბარი დღემდე რეკს, დღემდე გუგუნებს, — ყველა ნამდვილი ქართველის, საქართველოს ყველა ღირსეული მოქალაქის გულში. საჭიროა მხოლოდ რამდენიმე წამის სიჩუმე, რომ ყველა ჩვენთაგანმა გაიგონოს თავისი სულის სიღრმეში ამ დიდი საერო ბარის მიუჩუმებელი ხმა“.

გურამ ახათიანი

1. ილია ჭავჭავაძე — პოეტი /ლექსი/	3
2. შოთა ზოიძე — ცხოვრება „გონების თვალი“ /ნაწყვეტები წიგნიდან „საქართველოს გოლგოთა“/	4
3. ილია ჭავჭავაძე — ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში /ლექსი/	19
4. გუთრამ შარაძე — ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა	20
5. ილია ჭავჭავაძე — ჩატეხილი ხიდი /ნაწყვეტი მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“/	26
6. ილია ჭავჭავაძე — ქართვლის დედას /ლექსი/	30
7. იური ბიბილეიშვილი — ილია ჭავჭავაძის მგზავრის წერილები და თანამედროვეობა	31
8. ილია ჭავჭავაძე — დედაო ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია /პოემიდან „აჩრდილი“/	44
9. თეიმურაზ კომახიძე — ილია — აჭარის მოჭირნახულე	45
10. ილია ჭავჭავაძე — დავ თუნდ მოგვკვდ, არ მეშინიან /ლექსი/	58
11. აკაკი წერეთელი — გამოსათხოვარი სიტყვა	59
12. მემედ აბაშიძე — საშობლოს ძმანო და დანნო!	60
13. ილია ჭავჭავაძე — ბელნიერი ერი /ლექსი/	62
14. იოსებ ბეჭირიშვილი — მემედ აბაშიძე ილიას მკვლელობის შესახებ	63
15. ილია ჭავჭავაძე — მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული /ლექსი/	70
16. შოთა ჯაფარიძე — ი. ჭავჭავაძე და ისტორიული მეცნიერების კვლევის აქტუალური საკითხები	71
17. რეზო ჩხარტიშვილი — წიწამურთან თქმული /ლექსი/	87
18. ამირან ხაბაზი — ილიას „ივერიით“ ნათლულნი	88
19. ილია ჭავჭავაძე — ჩემო კარგო ქვეყანავ... /ლექსი/	92
20. მამია ვარშანიძე — შენ ხარ ილია, დიდი ილია!	93
21. რამაზ სურმანიძე — ილიას მადლი	96
22. ბორის მეტრეველი — ილია ჭავჭავაძეს /ლექსი/	101
23. ნოდარ ბასილაძე — „ენა საღვთო რამ არის“	102
24. ჯემალ ჯაყელი — ილია ჭავჭავაძე და ხალხური საუნჯე	106
25. ლაურა გიორგაძე — გრიგოლ ვოლსკი და პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“	113
26. ანზორ ლორთქიფანიძე — მოხევური კილო ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“	116
27. ტიტე ხინთიბიძე — ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა	123
28. ილია ჭავჭავაძე — კრიტიკა სანათლებლო ლიტერატურისა	131

ტექნ. რედაქტორი: გენადი კომიხიძე

კორექტორი: მარინე ბერიძე

ჟურნალზე მუშაობდნენ: მანანა ჩაველიშვილი, ანზორ მიქელაძე, ალბერტ შაქარაძე

გადაეცა წარმოებას 1. 09. 97. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 09 97. ქაღალდის
ზომა 60X90 1/16 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი
8.5, პირობითი საღებავატარება 7.5, შეკვ. №331, ტირაჟი 200.

ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა ქ. ბათუმის სს „სტამბა“-ში
დ. თავდადებულის ქ №16 ☎ 7-37-31

500.

8-87

7 $\frac{125}{2}$

97-147
საქართველოს
საგარეო საზღვარების
სამსახური